

4355
7614.

უილიამ შექსპირი

82
ბიბლიოთეკა
ზოოლოგიური



მისეტი

უთმოქმედებიანი ტრაგედია

წიგნთა მუზეუმი
ბიბლიოთეკა
ზოოლოგიური

K6.449 F83.823
3

ივანე მაჩაბლის

ნათარგმნი ინგლისურიდან

სკპ-2000
გაერთიანებული

საბელ- წოდება №	4355.
კუთხე №	7614.
შეკრი- ბის ოთახი №	

ტფილისი

სტატიკარტვ. ამხანაგობისა. | Тип. Груз. Изд. Товарищ.

1893

664J66

Дозволено цензурою. Тифлисъ 10, Апрель 1893 года.

სავაჭრო-საგარეო
 დეპარტამენტი
 ეროვნული
 ბიბლიოთეკა

ვილჩირის შერიფი.

ტრესელ და ბერკლეი, ლედი ანნას მხლებელნი.

ელისაბედ დედოფალი, ცოლი მეფის ედვარდ მეოთხისა.

მარგარიტა, ქვრივი მეფის ჰანრი მეექვსისა.

იორკის მთავრის მეუღლე, დედა მეფის ედვარდ მეოთხისა,
კლარენსისა და გლოსტერისა.

ლედი ანნა, ქვრივი უელსის პრინცის მეფე ჰანრი მეექვსის ძის
ედვარდისა, მასუჟან მეუღლე გლოსტერის მთავრის რიჩარდისა.

პატარა ქალი კლარენსისა.

ლორდები და სხვა კარის-კაცნი, გზირი, მწერალი, მოქალაქენი, კაცის-
მკვლელები, შიკრიკები, ჯარის-კაცი და სხვ.

მოკმედება ინგლისშია.



33
706

ბიბლიოთეკა
საქართველოს
საგარეო ურთიერთობების
მინისტროს



მოქმედება პირველი

სურათი I

ლონდონი. ქუჩა.

(შემოდის რაჩარდ გლოსტერი.)

გლოსტერი. აგერ შესცვალა იორკის მცემ მბრწყინავ საფეხულად
 უთანხმოება ჩვენი მწკავი სამთრის სუსხივით,
 და რაც ამ ღვასს აწვა გულზედ შავი ღრუბელი,
 აწ ოკეანის მწვედიადს უფსკრულს ჩამარხულია.
 კხლა გვიშეკნებს შუბლს გვირგვინი გამარჯვებისა,
 სახსოვრად ჩლუნგი იარაღი ჰკიდია კედელს,
 ბრძოლის ჰქქის ხმა სახიანი შეცვლილ ღვინად
 და დარბაზობად იურიშით მტერზედ მისეკვა.
 აწ თითქო ომმა შეჭმეს ხნაღმა გახსნა შუბლი
 და მის მავივრად, რომ მოახტეს დარბაზულს რაშსა
 და შეუძრწუნოს სული ისეც შეშფოთებულს მტერს,—
 იგი უერს უგდებს ქალთ ოთახში ფანდურის ხმასა
 და შეეძრევა სტუნვა-პრანტვით ვნებით დამდნარი.
 მაგრამ მე ხომ ამ თამაშისთვის არ ვარ შექმნილი,
 და კერც სარკის წინ ვიარშიევი ჩემსავე სახესთან;
 მე, უშნოდ გათლილს, არ მჭკს სატრფო შეხედულობა,
 რომ მოვაწონო თავი ცუნტრუბი, გოსტა გომბიოთ;

არა რა მჭკს მე ერთმანეთთან შეფერებული;
მუხთაღ ბუნებას ზუგსივარ უსახურობით
და უჭამური, შეთათხნალი გაურეკივარ
ცოცხალთა შორის ნაადრეკად მუცლით ნასხლეტი.
ნასკერდაც არ დამთავრებულს, უმზგავს და საზვარს
ძალღნიც კი შეეფენ, როცა იმათ გვერდით უდგავარ...
და აი ესრედ მოდუნებულს მშვიდობის ჟამსა
სხვა არაფერი დამჩენია დროს გასართობად,
თუ არ იგი, რომ გუფურო ჩემს აზრდელს მზიან დღეს
და ჩემის თვალთ გაწვიცადო ეს სასიხრობა.
რასან ასეა, არშიეობა რაჟი არ ძალ-მიძს,
და ვერ აუკეები ამ ტეხილ ჟამთა დროს გატარებას,
მაშ სიბოროტით მაინც უნდა კიბინო თავი
და ჩაკუმწარო სხვებს ამაო სიამოვნება.
ამასა ვიქ მე და ისედაც გაგაბი ქსელი
ცილის-წამებით, სიზმრებით და ლოთთა უბედობით,
რომ სასიკედილოდ გადაგვიდე ერთმანეთს მეფე
და მეორე ძმა ჩემი კლარენს. თუ შეფე კდვარდ
ისე დადგება მტეცეცდ თავის სიტყვას და აზრზედ,
ვით მე ვადგავარ ცბიერებას, სიცრუეს, ღაღატას,
მაშინ კლარენსი უნდა ჩასვან ცინეში დღესეკ.
ეს იმის გამო, რომ მკათხავსა უთქვამს მეფისთვის
შენ შეიღთ ის დახოცს, ვის წოდებაც გ-ანთ იწეება.—
კლარენს მოდის აქ... ფიქრნო ჩემო, ჩაიმაღენით,
სულის სიღრმეში.

(შემოდის გეორგ კლარენსი დარაჯებით შემორტყმული ბ ბრაკენბურა.)

გამარჯვება, ძმაო! რას ნიშნავს,

რომ შეჭურვილი დარაჯები აგდებენია?

კლარენსი. ჩემს ხელმწიფეს უზრუნვია, რომ ამ დარაჯთა

უჩნებლობისთვის გამაცადონ ტოფერამდე.

გლასტერი. ეგ რა მიზნით?



კლარენსი.

გეორგ მჭევან და იმ მიზეზით

გლასტური. შენი ბრალთა მერე ეგა? რაკი გერეა,

უნდა ციხეში ნათლები დაგმავტიმროს.

იქნება სურდეს ტოუერში ახლად მოგნათლოს?

რა ამბავია? მითხარ სწორედ, გამაგებინე.

კლარენსი. დიღ გეტუოდი, რომ მცოდნოდა და გეფიცები,

არა რა ვიცი ჟერ სრულიად; მხოლოდ გაპიგე,

წინასწარ-თქმულსა რაღაც სიამბრებს ერწმუნებაო

და ანბანიდან ასო „განი“ ამოუშლია,

რადგან ერთ მკითხავს უთქვამს მისთვის, ეს ასო „განი“

შენთ ჩამომკალთ წაართმევსო მემკვიდრეობას;—

და რაკი გეორგ მჭევან, ვითომ მე უნდა ვიყო.

ზოგი ამას და ზოგი კადეკ სხვა ცუდმადობას

ჩემი დაჭერა, როგორც გცანია, გადუწვევტია.

გლასტური. ცოლის აჟოლამ იცის ეგა. ტოუერში შენ

მეფე არ გგზავნის. გგზავნის იქა იმის მეუღლე,

მიღუდი გრეი. იმას, კლარენს, ჩაუგონია,

უსწავლებია ღონე და გზა უკიდურესა.

ის არ იყო რომ თავის ძმასთან, ანტონ კუდგილთან,

იმ ფარისეველ კაცთან ერთად ურჩია მეფეს

ციხეში ჩასმა ღორდ ჰასტინგის, სიდანაც მხოლოდ

მას დღეს უშვებენ? კლარენს, შიშში, შიშში ვართ მედამ.

კლარენსი. ესლა უშიშრად, გეფიცავ ზეცას, სხვა არეინ არის,

თუ არ დედოფლის ნათესავნი და ღამის გზიარნი,

ამბის მზიდაენი შოურის ცოლს და მეფის შორის.

გაიგე როგორ. დაემცირა თავი ღორდ ჰასტინგის

იმ დედაკაცის წინაშე, რომ გამოეთხოვა

ცინიდან დახსნა?

გლასტური. ვიცი, მდაბლად თავყანი ეგა

იმ ღვთაებისთვის ღორდ-კანცლერს და თავისუფლება

მით შეესუიდა... მე რას გეტყვი: თუ გესურს, რომ მეფე

წყალობის თვალით იყოს ჩვენზე, შოურის ცოლის



მსახურად გაკხდეთ, ტანთ ჩაყინვით იმის ღიჟინით
ეს და ის ქერიები ეჭვიანი, დრო-გაცვეთილი,
რაც კი ჩვენმა ძმამ ზე-ასწია, გაადიდებდა,
მარტოდ მარტონი აქ მეფობენ, ნათღიდედობენ.

ბრაკენბიური. გთხოვთ, მომიტყეოთ, ბატონებო, მეფისაგან მაქვს
მე ეს სასტიკად ნაბრძნები, რომ იმის ძმასთან
არ ვის არ მივცე ნება კერძო ღაზარაკისა,
რაც ხარისხისაზე უნდა იყოს.

გლასტერი.

მართლა? კეთილი.

გთხოვთ, ბრაკენბიურ, შენს ძალად კეთილ-შობილებას,
უფრო დაუგდო, თუ გსურს, ყველას, რასაც კი ვიტყვით.
ღაღატყუდ ხომ არ ვღაზარაკობთ. მეფეზედ ვამბობთ,
ტყვიანიაო, სათნოებით საესე და მისა
დედოფალიცა დიდებული, შესაფერ ხნისა,
ეჭვის არ მცოდნე, მშვენიერი. ჩვენ ვამბობთ კიდევ,
რომ შოურის ცოლს ფეხები აქვს მეტად ღამაზი,
აღუბლის ფერი ტუჩები და ყუყუნა თვალნი;
ენაც საამოდ მოუბარო; რომ ნათესაზნი
გაუდიდებდნენ დედოფალსა. განა ეს ყველა
ტყუილი არის? აბა ერთი რა ჰესუს იტყვი?

ბრაკენბიური. ბატონო ჩემო, ყველა კბ მე არ შემეხება.

გლასტერი. შოურის ცოლიც? მეგობარო, იცოდა რა გითხრა,
ვინც შოურის ცოლს შეეხება, ვურჩევდი ყველას,
ერთის გარდა კი, საიდუმლოდ საქმე ეჭიროს.

ბრაკენბიური. ერთი ვინ გახლავთ?

გლასტერი.

იმის ქმარი, როგორ ვერ მისკდი!

არ გამცე კია.

ბრაკენბიური.

ჩემი საქმე არ გახლავთ კბა.

გთხოვთ მომიტყეოთ და მთავართან მორჩეთ ბაასსა.

გლასტერი. შენს ვალს ასრულებ მხოლოდ, ვიცით; დაკმოწინადებით.

გლასტერი. დედოფალს ვეძმეთ, რა გზა გვაქვს რომ არ ვკმორწინებთ!
მშვიდობით, ძმაო. ხელმწიფესთან წავალ და თუ გსურს,



ვიგისრუბე ყველას შენის განთავისუფლებისთვის, თუნდა ხელმწიფის კდკარდა: ცოლს ჩემს დას გუწოდებ.

ვერ წარმოადგენ, როგორ გუფს მწულავს ეს ძმათა-მტრობა.

კლარენსი. გულის-მოძწყველელი არის სწორედ, ვინ მოიწონებს!

გლასტერი. შენი ტყუილობა, დამიჯერე, დიდხანს არ გასტანს:

ანუ დაგიხსნის, ან ციხეში ჩაკედება მერა

შენის გულისთვის; მოთმინება შემოაგრიბე.

კლარენსი. მეტი რა გზა მაქვს, არ ვითმინო! მშვიდობით, ძმაო!

(გაღიან კლარენსი, ბრაკენბიური და დარაჯები.)

გლასტერი. დაადგე მაგ გზას, სიდანაც შენ ვერ დაბრუნდები, საბრალდო კლარენს, გულ-უბრევილო! მე შენ მივევარხარ ისე ძლიერ, რომ ძაღვ შენს სულს ზეცას გაკვზავნი, თუ ჩვენის ხელთ მიგზავნილს ძღვეს არ იუარებს.— ეს ვინ მოდის აქ? ოჰ, ჰასტინგსი, ტყვე თავ-დახსნილი?

(შემოდის ჰასტინგსი.)

ჰასტინგსი. მოწყალე ბატონს გუნატრი მე მშვიდობის დღესა.

გლასტერი. აგრეთვე შენცა, ლორდ კანცლერი. მადლობა ღმერთსა, რომ თავისუფალს ჰაერზედ ხარ. ვით ჯიტანე.

დაპატიმრება?

ჰასტინგსი. მოთმინებით, ბატონო ჩემო, როგორც შეჭიფერის პატიმართა. მაგრამ ღმერთსა კითხოვ, მაცოცხლოს კიდეც იმდენი, რომ ჩემის ტყუილობის მიზეზთა მადლი გადაეუსადო.

გლასტერი. სწორედ, უთუოდ.

კლარენსმაც უნდა გადაუხადოს: ის, ვინც შენ გიმტრო, უმტრო იმასაც და ორივე იმან დაგვზახნათ.

ჰასტინგსი. ის არის ძნელი, რომ არწივნი დაუმწყვდეკვით,

ქორ-მერანო კი თავისუფლად ასწარავნობენ.

გლასტერი. გარედან რაღა ამბავია?

ქასტანგსი.

ისეთი ცუდი

არა ისმის რა იქიდან, ვით შინაობაში:

მეფე დასუსტდა, ავადმყოფობს, მოწყენით არის
და ეჭიბებიც მეტის-მეტად შიშობენ მისთვის.

გლახტერი. ეველასთვის ავი გასაგონი არის ეგ, მართლაც;

არა რიფობდა, თავის თავს არ უფთხილდებოდა
და აი ღამისთვის სიცოცხლე მოიღმოს კიდევ.

ოჰ, ფრიად, ფრიად საწყენია! ღოგინად არის?

ქასტანგსი. დიაღ, ბატონო.

გლახტერი. წადი მასთან, მეც კხლავ მოკალ.—

(ქასტანგსი გადის.)

არ გადარჩება, იმედი მაქვს, მაგრამ ვი უნდა
იცოცხლოს ვიდრე არ გაჰყვანის გეოგრაფი ცაში.
წავალ რომ უფრო განუშტკეირო კლარენსის მტრობა
სიცრუით მაგრად დატყედილის საბუთებითა;
და თუ ცუდად არ ჩამიარა ამ ღრმა ფიქრებმა,
მეორე დილა კლარენსს აღარ გაუთენდება.
მასუკან ღმერთმა მიიბაროს მეფე ედვარდი
და ეს ქვეყანა სანაჯაროდ მე დამიტოვოს.
მაშინ კარგიკის უმცროსს ქალზედ მე ვკარს დავიწერ,—
რა ვუფოთ რომ მას დაუხსოვცე მამა და ქმარი?
ამით არ ვუზღავ დანაშაულს იმ გოგონას,
თუ მამობასაც და ქმრობასაც მე თვით გაუწევ?
სიყვარული ვი არ მაქვს, განზრახვა მაქვს მე
რამ საიდუმლო და მის შერთვით ამისრულდება.
მაგრამ რას ვიმხნავ, ურემს ხარებს უკან რად ვუბამ!
კლარენს ჯერ სუნთქავს, ედვარდ მეფეც ცოცხალი არის.
როს გავისტუმრებ, მონაგები მაშინ ავნესხო.

(გადის.)

სურათი II

იგივე ქალაქი. მეორე ქუჩა.

(შემოაქვთ თავ-აზდილ კუბოთი გვამი მეფის ჰანრი მეექვსისა. აზნაურნი შუბ-ნაჯახებით გვერდით მოსდევენ. მათ შორის არის ტრესელ და ბერკელი.

ლედი ანნა მგლოვიარე კუბოს მოსდევს.)

ანნა. დაუშვით ძირსა ტვირთი ეგე ჰატიოსანი,—
არ გიცი, კუბოს მდებარესა ეთქმის კი ასე!—
დამაცადეთ, რომ თავში გინე, ვიგლოკ-ვიტირო
სიკეთით სავსე ღანკასტერის უდროდ სიკვდილი.

(მზიდანნი კუბოს ძირს დასდგნენ.)

ოჰ, გაყინულო სასკე წმიდის ხელმწიფისაო!
შენ, მქრქალო ფეროლო ღანკასტერთა დიდის ოჯახის!
მეფეთა გვარში მსჭეფარ სისხლის ნაშთო უსისხლო!
მომეცი ნება, შენი ჩრდილი გამოვიწვიო,
გვემა-ტარილი მოკასმინო ბედერულ ანნასი,
შენის ეგვარდის მეუღლისა, შენის შვილისა,
იმისვე ხელთ მკვდარის, ვინც შენ მოგიღო ბოლო.
აი ამ სარკელთ, სიდან შენი სიცოცხლე გაჰქრა,
ბაღსაჲს ჩავანთსკე ჩემ ბედერულ თვალთ გარდმომდინარსა,
თუმც რას გაკვდები! ოჰ, წყეული იუოს ის ხელი,
რამაც დაგხვრიტა ასე მკაცრად. წყეული იუოს
ის გული, რამაც არ შეუდრკა ამ ბოროტებას.
წყეული იუოს სისხლი, რამაც სისხლით დაგცაღა.
ვინც უბედურ გვეო შენის მოკვლით, იმის საზიზღ თავს
დეე დაატუდეს უარესი უბედურება,
ვიდრე გველთათვის, მორიელთა, ან ჯოჯო-ხვლიკთა,
ან სსკა შხამიან ქვემძრომთათვის მემეტებოდეს.
და თუ როდისმე შვილის ყოლა ერგოს მას ხვედრად,

ეკლესიის იგი სახიზარი, უდროდ შობილი,
რომ უბუნებო იმის საზარ სახის დანახვამ
თვით საკუთარი შეპირწუნოს დედა-მშობელი,
და მოელს ჟილავში დამკვიდროს უბედურება.
ან თუ როდისმე ცოლი ჰქუადეს, თვის ქმრის სიკვდილით
გაუბედურდეს უარესად, კიდრე მე გავხდა
ჩემის გაუ-გაცის ქმრით და შენათ ბედუქუღმართი. —
მოდით, წავიდეთ ჩერთზეცკენ მავ ძვირფას ტვირთით,
წმიდა ჰავლეან რომ მიგვაქვს თან იქ დასამარხად,
და როდესაც კი იგრძნობთ რასმე დაღაღულობას,
შეჩერდეთ და მე ცრემლს დავაყრი მეფე ჰინრის გეამს.

(მზიდანე კუბოს აიღებენ და მიდიან. — შემოდის გლოსტერი.)

გლოსტერი. თქვენ, ჰე, მზიდანეო, გაჩერდით და კუბო ძირს დადგით.
ანნა. რა შავ თვალთმაქცმა გამოიხმო ეს ტარტაროზი,

რომ ჩვენს სამღრთო წესს და ჭკულ საქმეს წინ დასდგომოდა?

გლოსტერი. ძირს დასვეს, თქვე ბრეუკებო, ცხედარი, თორემ,
წმიდა ჰავლეს მადლს გუფიცავ, ცხედრად გარდაქმნი ურჩსა.
ერთი ახნაური. ბატონო ჩემო, კუბო მიგვაქვს, გთხოვთ, გზა გვი-
ბოძოთ.

გლოსტერი. უზრდელო ძაღლო, რომ გიბრძანებ, უნდა გაჩერდე.
იქით წაიდე შუბ-ნაჯახი, ჩემს მკერდს აშორე,
თორემ იმავე წმიდა ჰავლეს გუფიცავ, ჩემ ფეხთით
დაგამხოვ, გაგსრეს, შე მხეცო მავ სათამაშისთვის.

(მზიდანე კუბოს ძირს დასდგმენ.)

ანნა. რაო, კანკალებო? შეგეშინდათ? მაგრამ მაგისთვის
როგორ გაგვიცხავთ! მოკვდავნი ხართ და მოკვდავთ თვალი
გშაპის ნახვას ვით აიტანს! იქით, გამშორდი!
შენ, საზიზღარო, ჟოჯოხეთის ხელის-უფალო!
გე შენი ძალა მის სხეულზედ გასტრიადა მხოლოდ,
სულზედ კი ხელი არა გაქვს-რა. წა, გაგვეწაღე!



გლახტერი. ტებილო წმიდანო, ღვთის გულისთვის, ნუღარ ^{გაძლიერდები!} ~~გაძლიერდები!~~ ანნა. წუწყო სატანა, ღვთის გულისთვის, ნუღარ ^{გაძლიერდები!} ~~გაძლიერდები!~~ გაძლიერდები;

ღამის ქვეყანა ბედნიერი ჯოჯოხეთად ქმნა,
ახსო იგი წვეკლა-ქოქეით, მწარე გოდებით!
თუ კი გააძეხს შენთა საზიზღ საქმეთა ნახვად,
უუერე აი, ამ მაგალითს, შესნ ნაჯალათებს! —
ერთი შექსედეთ, ემაწილებო, ჰანრის ჭრილობით
შეკრული პირი კვლავ დააღეს და კვლავ სასხლი სდით! —
აღისფრად იქვე, ანონხილო უსან-ურობავ,
შენმა დანახვამ გამოურწყო აი ეს სასხლი
ფუფე, გაუინულ, აღრეკ სასხლით დაცლილ ძარღვთაგან.
შენმა ნაქმნარმა უკაცურმა და უბუნებომ
ეს სასხლის წარღვნა უბუნებო გამოიწვია! —
ამ სასხლის მქმნელო ღმერთო, შური აკე ამის მკვლელს!
ამ სასხლის მწოვო მიწავ, შური აკე ამის მკვლელს!
ან შენ ზეცაო, მკვლელს დაეც თავს მესი მმუსრავი,
ან, დედამიწავ, შუა გასკდი, ცოცხლივ ჩაქულავ
ისე, როგორც ამ კეთილ მეფის სასხლს ხარბად სწოვ,
სასხლსა დანთხუელს ეშმაკთ-კერძის მარჯვენისაგან.

გლახტერი. კაცთმოყვარების კანონს რატომ არ მისდექ, ლედი,
რადიკ კეთილით უხდის ბორცუს და ლოცვით წვეკლას?

ანნა. ბილწო, შენ არ სდექ არც ღვთის კანონს და არც კაცისას;
თვით მხეცმაც იცის სიბრალული უმძვინვარესმა.

გლახტერი. მას თუ არ გიცი სიბრალული, მხეციც არ მეთქმის.

ანნა. საოცარი, როცა მართალს ამბობს ეშმაკი.

გლახტერი. ის კიდეკ უფრო საოცარი არის, როდესაც
აგრე ჯავრობენ ანგელოზნი. მომეცი ნება,
ღვთიურად სრული ქმნილებაო, როს გვექნება დრო,
ეგე ბრალდება მოვიშორო შენსა წინაშე.

ანნა. X მომეცი ნება, კაცთ გამჯდარო ჭირო და სნება,
როს დრო გვექნება ამ შენს ურიცხვ ბორცუებისთვის
გწვევლო და გქოქო, დაწვევლილო უიმისოდაც.



გლოსტერა. ენით უთქმელო შეგნებაო, მომძეჳარ უური ^{ბრწყინვალე}
მოთმინებითა, რომ შეძინდო შენაცოდება.

ანნა. ვერ საფიქრელო საზიზღრებაჲ, არ გელირსება
შენ ეგ შენდობა, თუ წყეულს თავს არ ჩამოიდრწობ.

გლოსტერი. მაშინ სომ ჩემს ბრალს აღნიშნავს ეგ განწირულება.

ანნა. განწირულება ემაგკვარი შეგინდობს მხოლოდ,
რაკი თვით შენვე ღირსეულად შურს ატებ შენს თავს
სსკების უღირსად, უსამართლოდ სოცკა-ჟლეტისთვის.

გლოსტერი. მე რომ ტყუილად მბრალუბდენ იმათ დასოცკას?

ანნა. მაშინ მკვდარნიც არ იქნებიან... მაგრამ ისინი
მკვდარნი არიან შენის სკლით, სატანის მონაკ!

გლოსტერი. მე შენი ქმარი არ მომიკლავს.

ანნა. მაშ გოცნალია?

გლოსტერი. არა, მკვდარია, და მკვდარია ედვარდის სკლით.

ანნა. სტყუი, ეელ-მადლო. მარგარიტა დედოფალს თითონ
უნახავს, როგორ ასდიოდა მის სისხლის კვამლი
შენს მუსთაღ მსკილს; მიგემიზნა თვით დედოფლისთვის
იგი მსკილია, მაგრამ შენს მძებს სკლი აკერათ.

გლოსტერი. იმისმა ენამ მათი ბრალი მე დამაგისრა

და გამსკლა უსამართლო ცილის-წამებით.

ანნა. შენ გაგასკლა შენმა ჭკუამ ჩასისხლებულმა,
რასაც მუდამ უამს სოცკა-ჟლეტა ატებს საზრუნავად.
აი ეს მეფე შენ არ მოჭკალ?

გლოსტერი. დაკეთანხმები.

ანნა. დამეთანხმები, ძლარბო! მაშ ღმერთს ვთხოვ დათანხმებას,
რომ საუკუნოდ ჩავჭოლოს მაგ აკვანობისთვის.
ოჲ, იგი იყო მშვიდი, წყნარი, სათნოიანი!

გლოსტერი. მაშ უფრო კარგად შეეურება ციურ მეფეს.

ანნა. ჰო, ის ცაშია, სად ვერა დროს შენ ვერ იქნები.

გლოსტერი. მაშ მადლიერი უნდა იყოს, რომ იქ გაკვანე,

რადგან ეკუთვნის ის ადგილი მიწაზედ მუტად.

ანნა. შენ კი არარა არ ეკუთვნის ჟოჯოხეთის გარდა.



გლასტური. ერთს გუთნიდეს კადეკი, თუ მომისმენ, დაგისაქვებო
ანნა. საშურობილეს თუ?

გლასტური. შენსა საწოლს. მოუსვენრობამ

ანნა. დაიდოს ბუდე საუკუნოდ, სადაც შენ წეხსარ.
გლასტური. კადრე შენს გვერდით არ ვაწეხები, ზგრეც იჭეობა.
ანნა. მეც იმედი მაქვს.

გლასტური. დიად, ზგრე.— მიღუდი ანნა,
დავეხსნათ ესეთს ოხუნჯურად ჭკვის შეჭიდებას
და დაღაგებით, წესიურად შეკუდგეთ ბაასს:
ამიხსენ, აბა, გასაკიცხი არ არის განა
ამსრულებულთან ერთად იგი, ვინც მიზეზია
ამ ზღანტაქეტო, ედვარდ, ჭანრის, უდროდ სიკვდილის?

ანნა. მიზეზიც იყავ, შე წეუელო, ამსრულებულიც.

გლასტური. არა, მიზეზი იყო შენი შეკნეირება,
შენი სიტურფე, ძილში რომ თავს დამტრიალებდა
და მაჭეხებდა თუნდ მთელ ჭვეენის ამოსაფლტად.
ოღონდ ერთ საათს მიუერდნობოდი მაგ შენს ტებელ გულისა.

ანნა. კგ რომ მჭეროდეს, კაცის მკელელო, მაშინ ჩემს ღოეებს
ჩემივ ფხსილებით ჩამოუფხედა ამ შეკნებასა.


გლასტური. კერ აიტანდენ ეს თვალნი მაგ შეკნების კლებას;
კერას ივებდი, თუ კი გვერდით გეოლებოდი.
როგორც ჭვეენა მთელი ხარობს შვის სინათლითა,
ისე მე ვხარობ მაგ შეკნებით; კგ არის ჩემი
დღეც და სიცოცხლეც.

ანნა. მწყედიად ღამემ დღე დაგბნელოს,
ჭირმა სიცოცხლე.

გლასტური. ორივ შენ ხარ, ტურფა ქმნილება,
თავს ნუ იწეველი.

ანნა. ნეტა მართლად ორნივე ერთად
ამოვიყარო შენგდ ჭავრი.

გლასტური. მტრობაა მსოფლოდ, შენს არმიყსედ რომ ჭავრსა ურილობ.





ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა

ანნა. არა, ეს მტრობა ღირსია და სამართლიანი,

რაკი ჯავრს ვიური იმსჯედ, ვინც ქმარი მომიკლა.

გლასტერი. ვინც შენ წაგართვა ქმარი, ლედი, ეს იმისთვის ჰქმნა,

რომ დაგესმაროს და უმჯობესს შეგუაროს მალე.

ანნა. მის უმჯობესი ამ მიწაზედ არა დადის-რა.

გლასტერი. არის ისეთი, ვისაც მასზედ მეტად უყვარხარ.

ანნა. დამისახლე.

გლასტერი. ზღანტაგენეტი.

ანნა. აკი ის იყო

ზღანტაგენეტი.

გლასტერი. იგივეა შთამომავლობა,

მაგრამ ამისი ბუნება მას წარმატება.

ანნა. აბა სად არის?

გლასტერი. აი, აქა. (ანნა შეაფურთხებს.) რისთვის მათფურთხებს?

ანნა. ნეტა კი ნერწყვი შენთვის გესლად გადიქნეოდეს.

გლასტერი. მაგ კვარი ტკბილი სათავე ჯერ გესლს არ ჰქმნია.

ანნა. ჯერ შენისთანა საზიზღ ჯოჯოს არ მოხვედრია

გესლას სიბილწე. გამეცალე, თვალთ ნუ მიწამლა!

გლასტერი. არა, შენთა თვალთ მომიწამლეს მე ეს თვალები.

ანნა. ნეტა ასეიტად იქნენ მართლა, რომ ხედვით მოგკლა.

გლასტერი. ნეტავი აგრე, მოკვდეოდი ერთბაშად მაინც!

ესლა კი მელაგენ სიკვდილითა სულის-ჩამდგმელით.

შენთა თვალთ ჩემებს გამოსწორეს მღაშე ცრემლები,

აჭარკეს მათდა სამარცხვინოდ ბავშვის ბარკითა,

აჭარკეს მეტქი ეს თვალები, რომელთ არას დროს

შებრალეებისა ცრემლი არსად გადმოუგდიათ:

არც მაშინ, როცა მამაჩემი იორკ და ედვარდ

ატირდენ რაკი მოისმინეს საწყალობელი

გვებსა რუტლანდის, შაკ კლაფორდის სმლით დატრიალსა;

არც მაშინ. როცა მამაშენი ომში გაწვრთნილი

სიკვდილის ამბავს მოგვითხრობდა მამიჩემისას

და გუღჩილ ბავშვის მგზავსად ოცჯერ მაინც შეჩერდა,



ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა

რომ დაემშვიდა გული მწარედ აჩუქებული;
როცა გარს-მდგომნი წვიმის წყლით დამბალ ხეთ მზგავსად
ლოყებზედ ცრემლებს იპყურებდენ, იმ შავ დროსაც კი
ეს მსნე თვალები ცრემლამდე არ დამძვინებია.
ამ მწუხარებამ რაც კერ უყო, იგი ჰქმნა შენმა
შეგნებებამ და ტირილით ღამის დაგებრძავე.
მე ჟერ არა დროს არათუ არ მიოსოვნაა
არც მეგობრისთვის, არც მტრისათვის; არ არის ჩვეულ
ეს ჩემი ენა აღერსიან და ტეხილს ღაშარავს;
მაგრამ ესლა კი, რაკი მწადის შენ გმფლობელობდე,
ამაჟი გული ჩემი ითხოვს, ენას აჭყებს.

(ღ. ანნა ზიზლით შეჰყურებს.)

ნუ, ნუ ასწავლი მაგ შენს ტუჩებს ზიზლით ყურებას,
ეგ შექმნილია კოცნისთვის და არა მტრობისთვის.
თუ შენს შურიანს გულს შენდობა არ შეუძლიან,
აჰა, ხელთ გაძლევე ამ ჰირ-ბასრ ხმაღს და გთხოვ ჩააგო
ამ ჩემს შენდამი ერთგულ მკერდში, ვიდრე ეს სული
არ ამოხდება, რაიც თავის ღმერთად გსახავს შენ.
აი, ეს გული, სიკვდილს ელის გაშიშვლებული;
მუხლ-მოდრეკითა გეკუდრება რომ მომისწრათუ.

(აძლევს ხმაღს, მუხლს მოიდრეკს და გულს იშიშვლებს.)

ნუღარ აუოვნებ, მე კარ მკვლედი მეფე ჰანრისა,—

(ღ. ანნა ხმაღს გულზედ მიაღებს.)

და ეგ სიკვდილი ჩამაგონა შენმა შეგნებამ.

(ღ. ანნა ხმაღს ძირს დაუშვებს.)

აბა, აჩქარდი, მე მოკვადი ჭაბუკი ედვარდ,—

(ღ. ანნა ხმაღს კიდევ გულზედ მიაღებს.)

მაგრამ ეგ არის ბრალი შენის ციურ სახისა.

(ღ. ანნა ხმაღს ძირს დაადგებს.)

აილე ხმაღი, ან მე შეკდრეთით ზე-აღმადგენე.

ანნა. ადექ, თვალთ-მაქცო, თუმიცა მწადის შენი სიკვდილი,
მაგრამ მე მაინც კერ ვიკისრებ ჟალათად უოფნას.

გლასტერი. მამ მითხარ, თავი მოიკალ-თქო და მეც მზადა ვარ.

(ადგება და ხმაღს აიღებს.)

ანნა. წელანეუ გითხარ.

გლასტერი. გულმოსული იუჯი მაშინ.

სოჭეი ერთხელ კიდეც და რა წამს მაგ სიტყვას წარმოსთქვამ,
ეს სელი, რამაც საუკრული მოგიკლა შენი
შენდა უზომო სიუკარულით, მოჭელავს კვალად
შენს უფრო ერთგულს საუკრულს იმ სიუკარულითვე.
თავი მიზეზი შენ იქნები ორივე სიკვდილის.

ანნა. ოჲ, ნეტავი შენს გულს კაცნობდე.

გლასტერი. მის გამომთქმელი
ჩემი ენაა.

ანნა. ასე გგონებ, ორნივე ცრუობენ.

გლასტერი. არსად უოფილა, სჩანს, სიმართლე.

ანნა. კარგია, კარგი,
სმაღლი ჩაატე.

გლასტერი. მამ დაემშვიდდე? შემატუობინე.

ანნა. მერე შეიტუობ.

გლასტერი. შემძლიან იმედით ვიყო?

ანნა. იმედის ნება ეველსა აქვს.

გლასტერი. გთხოვ, ეს ბეჭედი
მიიღო ჩემგან.

ანნა. მივიღებ, თუმც არ გიმადვირებ.

(ღ. ანნა ბეჭედს გაიკეთებს.)

გლასტერი. ჭხედავ, გარს როგორ შემოეწეო თითს ებ ბეჭედი;
ჩემი ბედგრული გულიც ეგრე მოთავსებული



არის შენს მკერდში. ორივე იძლევა, ორივე შენაა, ^{გაგიგონიათ!}
თუ ნებას მისცემ შენს საბრალს და ერთგულ მოხსნ, ^{გაგიგონიათ!}
რომ ერთი თხოვნა კელაჲ გაბედოს, მაშინ მოწყალებ
საუფურობით დაუძევედრებ ბედნიერებას.

ანნა. რა თხოვნა არის?

გლასტერი. რომ ეს გლოვა მას დახნებო,
ვისაც მიზეზი უმეტესი აქვს გლოვისათვის,
შენ კი წასვად ნებურად კროსბის შეიდანს.
რაკი ჩერთზეის მოხსნატერში დიდებულ მეფეს
დაკასაფლაკებ დიდებულად და მის სამარეს
სინანულისა ცრემლით მოვრწყავ, მეც იქ გაქნდება,
რომ უმდაბლესად თავუანი გცე. შესრულებას გთხოვ
ამ კედრებისას საიდუმლო მიზეზითა გამო.

ანნა. ძალიან კარგი; გხარობ კიდევ, რომ სინანულის
გზას დასდგომინარ; აბა, მოდით, ტრესელ, ბერკლეი.

გლასტერი. მითხარ: „მშუადობით!“

ანნა. ჯერ მაგის თქმის ღირსი არა ხარ;
მაგრამ რადგან შენ თვით მასწავლა ზირფერობასა,
წარმოიდგინე, ვითომ მითქვამს.

(გაღიან ლედი ანნა, ტრესელ და ბერკლეი.)

გლასტერი. უმაწილებო, თქვენი

უბო წაიღეთ

ანნაური. სად გვაბრძნებთ, ბატონო ჩვენო,
ჩერთზეისაგენ?

გლასტერი. არა, ვაიტ-ფრაიარისკენ.

და მომაცადეთ, მეც იქ მოვალ.—

(გაღიან ყველანი გლასტერს გარდა.)

გაგიგონიათ!?

უარშიენია ქალთან ასე, ვისმე, როდისმე?
ვისმე, როდისმე მოუხილავს ამ გზით მის გულად?
ამას ხელთ ვიგდებ, მაგრამ დიდხანს არ ვიყოლიებ.



ქმარი და მამა მოკუეკალ მე და უაღრესის
სიბუღილის წილ შეეითვისე, შეეიტრფიალე.

შეეიტრფიალე, როს ენიდან წყველას სცვიოდა
და თვალში ცრემლის გუბე ედგა; და როცა იქვე
მის მძულვარებას სისისლიანი გვამი მოწმობდა.

საბუთად ქქონდა ეოკელივე ეს დაბრკოლება,
თვის სინიდაისი, თითონ ღმერთიც ესმარებოდა,
და მეკი არვინ არა მეკანდა ხელის შემწყუბო,
თუ არ სატანა და ცბიერი, შირმოთხე სისხე.

ქვეყნიერება მთელი იქა, აქ არაფერი!

და მანც კადევ გაემარჯვე. ჰმ, ჰმ! გადავიწედა

ასე უერად შრინცი ედვარდ, ვაჟეკი ქმარი,
სამისთვის წინად გულმოსულმა ტოუქსბერიში
მე რომ მოკუეკალ? მისს უკეთესს არა რასა შობს

ეს დედამიწა: სრული იყო ის ეოკლის ნიჭით,
ბუნებისაგან უხვობის დროს ქმნილი, ჭკვიანი,
ნამდვილად ღირსი მეფობისა, მხნე, ახალგაზდა.

და მანც კადევ არა ზარობს მომავლურას თვალთ
მე, რომელმაც მის საყვარელს ქმარს გაკუნადგურე,
მოკუესზე ოქროს გაზაფხული და თვითონ ეგე

თვის ქვეშაგებში უნუეკაშო ჭერივად დავტოვე;

მე, რომელიც მთლად ვერ ვუდრი თვით ნახეკარ-ედვარდს,

მე, კოჭდს, სახინარს! ნამდევსა ედებ მთელ ჩემ სამთავროს.

თუნდ გლახის გროშთან, რომ არ ვცნობდი თითონვე ჩემს
თავს:

თუმც მე ვერ ვხედავ, მაგრამ იგი ჰხედავს, ეტუობა,
რომ ვაჟეკი ვარ მოსაწონი, თვალად-ტანადი.

წავალ, ცოტა ფულს დავხარჯავ და სარკეს ვიყიდი
და ერთი ოცს, ან ორმოცს თერმსაც დავიჭირებე,
რომ შეიგონხ, თუ რა სამოსი დამიშვენებს ტანს.

რავი წყალობის თვალთ მევე ჩემს თავს შევხედე,
გახსამტკიცებლად ცოტა ხარჯს ნუ მოვერიდები.



მაგრამ ჯერ ერთი ის ბატონი მიწაში ჩავუღალა
და შერეოხვრით დავბრუნდები ჩემს საყვარელს
სარკის უადგამდე, ბრწყინვალე მწვეკე, გამაზნათე,
რომ სიარულის დროს ჩემს აზრდის მანინე გუფურო.

ს-ურათი III

იგრიე ქალაქი, ოთახი სასახლეში.

(შემოდინა ელისაბედ დედოფალი, რიგერს და გრეი.)

რიგერსი. მოთმენით იუკე, დაო, მათი დიდებულება

განიკურნება სრულად მალე, უეჭველია.

გრეი. რომ მოუსვენრობ, კე იმისთვის უფრო ცუდია;

ღვთის გულისთვის ჩაისხე მტკიცე იმედი

და მსიარულის ღამარაკით ასიამოვნე.

ელისაბედ დედ. რომ ღვარ მუკდეს, ეინ იცის, რა დამძრთება!

რიგერსი. ის რომ ეკეთს ქმარს განმორდება, სხვა არაფერი.

ელისაბედ დედ. კე განმორება არა კმარა უბედურებად!

გრეი. თუნდ რომ დაქვრივდე, კარგი შეილი მოგცა შენ ღმერთმა
აკი ნუგეშად.

ელისაბედ დედ. იგი ჯერედ უმაწვილი არის

და რიხარდ გლასტერს მიანდეს სრულ-წლოვანებამდე.

იმ კაცს მეც ეძულვარ და თქვენგანიც არავინ უყვარს.

რიგერსი. განა გადაწყდა, რომ მფარველად ის ინიშნება?

ელისაბედ დედ. კერე აქვთ აზრად, თუმც სრულად არ გადაწყვეტილა,

და თუ ხელმწიფეს რამ ზუტუდა, კერე იწება.

(შემოდინა ბუკინგამი და სტენლი.)

გრეი. აკერ მთავარი ბუკინგამ და სტენლი მოდიან.

ბუკინგამი. მშვიდობის დილას ეუნატრი თქვენს დიდებულებას.

სტენლი. ღმერთმა გამყოფათ მსიარულად უწინდებობრივ.



ელისაბედ დედ. მე არა ვგონებ, ლორდო სტენლი, შენს ჯიშს
სურვილს

გრავის მეუღლემ რიჩმონდისამ ამინ დაურთოს;
მაგრამ თუმა დაღეს ცოლად გეპას ის ჩემი მოძულე,
მანც დარწმუნდი, ლორდო სტენლი, მე არა მძაგნარ
და იმის ამყს თავხედობას შენ არ მოგკითხავ.

სტენლი. გთხოვთ, დედოფალა, არ ერწმუნოთ ყოველ იმ ცილსა,
რასაც შურათა ავრცელებენ ჩემს მეუღლეზედ;
და თუ მართალი რამ აღმოჩნდა, ის მიაჩემთ
იმის სასუსტეს, სწეულების და ბოღმის ნაყოფს
და არა ბოროტს ფესვ-გამდგარსა.

რივერსა. ბატონო სტენლი,
ნასეთ თუ არა დღეს ხელმწიფე?

სტენლი. ეს არის ესლა
მე და ბუკინგამ კახლდით იმათ დიდებულებას.

ელისაბედ დედ. იმედი არის მოჩენისა, როგორ შეატყუთ?

ბუკინგამი. დიდა იმედი, მხარულად ბრძანდებოდა დღეს.

ელისაბედ დედ. ღმერთმა საიკეთე მიანიჭოს. ელმზარაკეთ?

ბუკინგამი. დიდა, ბატონო. მას ნებაჲს, რომ მთავარი გლასტონ
და თქვენი მძემა შეარავოს ერთმანეთთანა;

სურს, უკანასკნელთ დაუზავოს ლორდი კანტლერიც.

ამ საქმისათვის მათ თავისთან იბარებს ყველას.

ელისაბედ დედ. ნეტავი კერე, მაგრამ ვიცი, კვ არ მოხდება,
და ვაი თუ მირს დაგვაქანოს აწ ბედის ჩარხმა.

(შემოდინა გლასტონი, ჰასტინგს და დორსეტ.)

გლასტონი. მათ ჩემი გნება უნდათ, მაგრამ კერ მოკლენ ჩემთან!

ახა, გამოჩნდენ, ხელმწიფესთან რომ მახეზდებენ, —

გულ-ჩახვეული არის და ჩვენ არ უფარვართო.

ვინც კი ხელმწიფეს ყურს აწკეთებს ამ შიგოთის ხმებსა,

მენდეთ, მისდამი ერთგულებას კერ დაიკვესებს.

რაკი ჰერმონთედ ღმზარაკი არ შემოდინა,



საქართველოს
საქართველოს

არ შემადღიან მოქარგულის ენით ლაჭუცი,
პირში ღიმილი, ფრანგთა წესით დაბლა თავ-დახრა
და სხვა ამ გვარი პრანკვა-გრესა მაიმუნური,—
მტერი გუოფილვარ მოძულე და გულ-ჩახვეული!
მამ გულ-უბრევილო, უბრალო კაცს არ ეცხოვრება!
მაშინვე უნდა შური აგონ ამ გულ-მართლობას
უაღბმა, ფარჩებში გახვეულმა გლეხუჭაებმა.

რივერსი. რომელს უბრძანებთ მაგას, თქვენო უმაღლესობა?

გლოსტერი. შენ, შენ გიბრძანებ უმდაბლესო, უზატოოსნო!

მიტნარ, როდის რა დაგიძავე, როდის გაგინე?

ან შენ, ან შენა? ან სხვა ვინმე თქვენი ჭილაგი?

ჭირმა წაგიღოთ ყველა ერთად! ჩემს სელმწიფესა,—

ღმერთმა ამოოფოს იგი უკეთ, ვადრე ეს თქვენ გსურთ—

ამოსუნთქვასაც აღარ აცლით მშვიდობიანად,

მწარედ აშოოთებთ და აღელვებთ ურცხვ საწივრებით.

ელისაბედ დედ. შენ სცდები, გლოსტერ, თავის ნებით ისურვს შეფემ

გამ და არა სხვის ვისიმე ჩაგონებითა.

თვით სხედავს იგი და ატუბს შენს ეოფა-ქცევას,

რომ გულში მტრობა გაძევს ჩემი, ჩემის შვილების,

ჩემის ძმებისა და ამისთვის თუ დაგიბარათ,

რათა მიზეზი გამოგკითხოთ და მოსპოს იგი.

გლოსტერი. კლარას ვიტყვი, ეს ქვეყანა გაუგულმართდა

და სად არწიენი კერა ბედვენ დასსდომასაც კი,

იქ ჭინჭრატყები ნაკარდობენ; სად წუწენი გლეხნი

გააზნაურდენ, დიდებულნი იქ გლეხდებიან.

ელისაბედ დედ. გვაკმარე, ჩემო მზლო გლოსტერ, მე ვხედავ კარგად,

ზე-ამაღლება გწეინს ჩემი და ჩემიანების.

ღმერთმა ნუ ჭქნას, რომ შენი თავი დაგკჭირდეს სადმე.

გლოსტერი. ჯერ ღმერთი ისე აწუბოს საქმეს, რომ შენ გკჭირდები;

შენის ცდით ჩემი ძმა ცახეში ჩამწევადეულია,

მე მფარველობა ამყარეს და დიდებულთ გვარებს

უღირსად სჭიან, ამცირებენ. კიდევ რას ვხედავ!



ჭიღდოს ჭიღდოზედ და დიდ გვარსაც აძლევენ, რომელნიც სწორედ ორის დღის წინ ეველანი ერთად ერთ კეთილ-შობლად არა ღირდენ.

ელისაბედ დედ. ვფიცავ მის სახელს,

კინც მომაშორა ჩემს უწინდელს კმაყოფილებას და ამიყვანა ამ სიმაღლეს ზრუნვით დაფენილს, რომ ჩემს დღეში არ წამეჭეზოს ჩემი ხელმოწევა მთავარ კლარენსის წინააღმდეგ. ზირაქით მევე ვიყავ ერთგული მის მოსარჩლე. მიღორდ, მეტის-მეტს შეურაცხებას მამენებე მე სამარცხვინოსა, რაკი ტყუილად მბბრალე მავ უღირსს საქციელს.

გლასტერი. მაშ ამ ბოლოს დროს ღორდ ჰასტინგს რომ ციხეში ჩასვეს,

ამასაც იტყვი, არ არისო ეგ ჩემი ბრალი!

რიგერსი. დიდაც იტყვი, რადგან მართლაც, ბატონო ჩემო...

გლასტერი. დიდაც იტყვი, ღორდო რიგერს, ეგ კინ არ იცის! მაგას მეტის თქმაც და ქმნაც როდი გაუჭირდება; ისიც ძალუმს, რომ წინ წაგწიოს, ზე ავამაღლოს, თვითონ კი განზედ გადგეს, და ეს უხვი წყალობა შენს დიდ სამსახურს მიაწეროს და შენს ღირსებას. მითხარი, რა არ შეუძლიან? უღელში გაბმაც მაგის ხელთაა!

რიგერსი. როგორ, კისი უღელში გაბმა?

გლასტერი. როგორ და კისი?! თუნდ ხელმოწევეს შეიუღლებს ეგ, მერე შეენიერს, წამოსადეგს ასაღვანდას!

ბებია-თქვენის საქმროს, ვგონებ, ეს ცოტათი სჯობს.

ელისაბედ დედ. დიდა ხანია, მიღორდ გლასტერ, რაც ასე ვიტან შენს მკვასე-მკვასე საყუდურებს, მწარე დაცინვას.

ვფიცავ, ხელმოწევეს ყოველივეს შეკატუობინებ,

როგორ თავსედად მამენებენ შეურაცხებას.

დიდ დედოფლობას მიჯობს ყოფნა უბრალო გოგოდ,

თუ არ ავადებუ ამ ციხესას და ავად ხსენებას.



(შემოდის მარგარიტა დედოფალი და უკან დადგება.)

მცირედ მასარებს მე ინგლისის დედოფლად უფიქროს!

მარგარიტა (იქით). ღმერთს კეთხოვ კვ მცირე კიდეკ უფრო შე-
გმცირებოდეს!

ჩემი წარმტაცე შენ ღირსება, ტახტი, სამეფო.

გლასტერი. მაგით მსშინებ, ხელმწიფესთან დაგაბეზლებო!

თუ ღმერთი გრწამდეს, ნუ დამზოგავ, ეველა უთხარი

და მე ჩემს ნათქვამს მის წინაშე გავიმეორებ;

დეე ამისთვის თავი მიკრან თუნდ ტოუერში.

დრო არის თქმისა, ჩემი ღვაწლი მთლად მიაგაწყდათ.

მარგარიტა (იქით). ოჲ, შე სატანა, შენი ღვაწლი მე კარგად მახსოვს:

ქმარი მომიკაღ ჩემი, ჰნარი, შენ ტოუერში,

ტიუქსბერიში ჩემი შვილი საბრალლო ედვარდ.

გლასტერი. კიდრემდე შენ და შენი ქმარი გამეფდებოდით,

მის მძიმე საქმეთ მე კზიდავდი ბარგის ცხენივით,

ბლუჟ-ბლუჟად კვლევდი მიწიდან მის ამაჲ მონილეთ

და მომხრებზედ ჟილდოს ვუფნდი; კვრიდი ჩემ სისხლსა,

რომ მის სისხლისთვის მიმენიჭა მეფის ღირსება.

მარგარიტა (იქით). სხვა სისხლსაც ღვრიდი ორთავ სისხლზედ

ბეკრად უკეთესს!

გლასტერი. თქვენ კი ამ დროსა, შენ და შენი მეუღლე გრეი

ლანკასტერთ სახლის განდიდებას სცდილობდით ჩუმიად,—

შენცა, რიუერსო,—შენი ქმარი არ იყო განა,

წმიდა აღბანთან ბრძოლის დროს რომ მოჰკლეს ვით მომხრე

მარგარიტასი? თუ არ გახსოვთ, მე გაგახსენებთ,

ან რა იფაგით დღემდის თქვენა, ან დღეს რანი ხართ,

და მე რა ვიყავ, ან დღეს რა ვარ.

მარგარიტა (იქით). მუდამ უფიქროს

შენ საზიზღარი კაცის-შეკვლედი და ის ხარ დღესაც.

გლასტერი. კლარენსის კიდეკ საბრალლო თვის სიმძმრი ვარვინ

უარ-ჰყო, ფიციც კი გასტყნა... ღმერთო, შეუნდე!

მარგარიტა (იქით). ოჰ, ღმერთმა ჰკითხოს!

გლასტერი. იმისთვის, რომ ბრძოლის დროს ედვარდს დასმარებოდა ტასტის შოვნას; მერე იმ ბედკრულს ამ შრომის ვალდოდ ციხე ერგო. ნეტავი ღმერთს მოეცა ჩემთვის გაყის გული, ედვარდის მზგაცის, ან ის შეეჭმნა ჩემებრ ჩხვილის შემზადლე გულით. ესე ბავშვური გულ-ნაზობა მე არას მარგებს ამ ქვეყანაში!

მარგარიტა (იქით). მაშ ვოჯოხსეთს ჩადი შე ბილწო, იქ იზარმაშე, ტარტაროზო, იქ ისელმწიფე.

რივერსი. ბატონო გლასტერ, იმ არეულ დრო-ჟამს, რომელსაც თქვენ აქ ასსენებთ ჩვენის მტრობის დასამტკიცებლად, ჩვენ კმორჩილებდით ჩვენს სელმწიფეს კანონიერსა. თქვენც რომ სელმწიფედ გეყავდეთ, ეგრე გემორჩილებდით.

გლასტერი. სელმწიფედ გეყავდეთ! მე ეგ თქირი ღმერთმა მამორის, უბრალო მუშად ულენას ვარჩევ!

კლისაბედ დედ. აი, სომ ამობო

არ ვისურებო სელმწიფეებას, რადგან არ ელი შენ არავითარ სისარულსა; ეგრედ განსაჯე, რომ მეც სისარულს არასა ვგრძნობ, თუმც კი ვდედოფლობ.

მარგარიტა (იქით). მართლაც სისარულს დედოფალი მოკლებულია. დედოფალი მე, მარტო მე ვარ, გაუსარული; ველარ ავიტან ამ დამაღვას.—

(წინ წამოდგება)

ჰეი, მისმინეთ,

წაკიდებულხო მეკობრენო, ერთმანეთს რომ სწყწო და იყოფთ ჩემგან ნაცარცე-ნაგლეჯს. რად არ კანკალებთ ჩემს დანახვაზედ? თუ თავს არ ჰხრით თქვენ ჩემს წინაშე, ვით ქვეშევრდომნი დედოფალთან, მაშინ ვით ურჩნი უნდა შიშითა ჰკრთოდეთ, რომ მე ტასტი წამართვიო!— ბილწო მთავარო, რად მიბრუნდი?

გლასტერი. აქ რისთვის მოხველ, შე დაღმეკილო კუდიანო? რა გინდა ჩემგან?



მარგარიტა. მინდა, გიჩვენო ჩრდილი შენის ბოროტ საქმისა.
ვიდრე აქედან წახვალ სადმე.

გლასტერი. შენ განდევნილი

იყავი, კგონებო. დაბრუნებულს სიკვდილი გელის.

მარგარიტა. მე განდევნილი ვარ დიალაც, მაგრამ სასჯელი
ჩემის განდევნით ატანილი მეტობს იმ ტანჯვას,
რაც აქ მეღის, თვით სიკვდილსაც. ქმარი და შვილი
გმართებს შენ ჩემი, შენ სამეფო, და თქვენ ყოველთა
ქვეშევრდომლობა ჟეროვანი, სამართლისამებრ
ეს მწუხარება ჩემი უნდა თქვენ გეწუთებოდეთ,
და მე საიმე კბე თქვენგან დაჩემებული.

გლასტერი. როგორც დაგწვევლა მამანქმამ დიდსულოვანმა,
როს მტერთა-მზარავს თავს ადგავდი ქალადის გვირგვინს
და თვალთ რუსაბერ ცრემლს სირცხვილით ანთსკეინებდი,
როცა აძლევდი მოსაწმენდად კიდეა-დაცინვით
ლამაზ რუტლანდის წმინდა სისხლში ამოვლებულს მკვარს,—
რაც წვევლა ჰირით ამოხდა მას სულ-გამწარებულს,
თავს დაგატყდა შენ და ასრულდა დღეს ყოველივე.
ღმერთი სჯის მაგ შენს ბოროტ საქმეს და არა ჩვენს.

ელისაბედ დედ. უბრალოთ ჟავრის ამომყრელი მართლაც ღმერთია.

ქასტინგსი. იმ ბავშვის მოკვლა სწორედ მსეტია საფერი იყო;
არ გაგონილა ჟერ ისეთი უწყალო საქმე!

რივერსი. მტარვალბამაც გი, როს გაიგეს, მწარედ სტიროდენ.

დორსეტი. ვეელას ჰირზედ ეს კეერა, რომ გადახდებოთ

ბუკინგამი. ნორტუმბერლანდმაც ცრემლი ღვარა მის დანახვანზედ.

მარგარიტა. თქვენ ჩემს მოსვლამდე ერთმანეთსა ყელში სწვდებოდით

და გამოფატრვას უქადიდიოთ; ესლა რა ნახეთ,

რომ დახავდიოთ და მომცვივდიოთ მე კერე მძინვარედ?

განა ზეცაში ის ძალა აქვს იორკთა წვევლას,

რომ იმ ჭეინტლ ბავშვსა ჩანცვალს ქანრის სიკვდილიც,

სიკვდილი ჩემის საყვარელის შვილის ედვარდის,

სამეფო ტახტი და ეს მწარე განდევნა ჩემი?



ქართული
ენოლოგიური

განა კი ჰქერს აბობს წვეკლად და ცაში ადის? მას ჩემ სწრაფ წვეკლათ გზა მიეცით, სჭელნო ღრუბელნო: დე, გარეუნილებამ, თუ ომმა ვერ, მოგიდმოთ მეფე, როგორც დასოცეს ჩემი მაგის გამეფებისთვის! მოგიკვდეს შენი შვილი ედვარდ, უელსის პრინცი უელსის პრინცად ნამყოფ ჩემის ედვარდის ბადალად ნამაღადეკად ჩვენს სიერბეში იმავე სიკვდილით. შენ კი იცოცხლო, დედოფნო, უმაგდიდებოდ ქვედამობილმა, როგორც ვცოცხლობ მე, უბედური. იცოცხლო მეთქი დიდხანს შენთა შვილთა სატირლად და სსკას ჰსედავდე უოკელ შენის უფლებით შემკულს, როგორც მე გსედავ შენ გასკეულს ჩემს დიდებაში. სიკვდილის წინად ბევრად ადრე მოგესპოს დღენი სიხარულისა და მწარე ყაბთ გამოკლის შემდეგ მოკვდი უბოდ, უქმოდ, ტასტით გადმოგდებული! — რიკერს და დორსეტ, თქვენც მოწამედ იყავით მაშინ, შენცა, ლორდ ჰასტინგს, როცა ხანჯლით შვილი მომიკვდეს, — ნუ გელირსოთ თქვენ ნურც ერთს თქვენის დღითა სიკვდილი და ულოდნელად მოგიკვეთათ ღმერთმა სიცოცხლე.

გლოხტერი. მორჩი მაგ ჯადოს, გუდინო, წუწკო ბებერო!

მარგარიტა. გინდა გადამჩე? აქ გაჩერდი, ძაღლო, მისმინე.

თუ ზეცას ჭირი რამ საზარო აქვს მიმაღული, რაიც კი ჩემგან ნანატრს შენთვის აღმატება, დე, ჰქონდეს, კიდრე მომწიფდება შენი ცოდვები და მაშინ უცხად რისხვა-გრგვინით თავს დაგატყოს შენ, ამ საბრალო, მშვიდის ქვეყნის აღმშფოთებელი! სინიდასისა მატლმა გიღრღნას მუდამ ეკ სული, შენთა მეგობართ მუხანათად სახავდე მუდამ და მუხანათნი კი მიგანხდეს ტყბილ მეგობრებად. ნუ მოეკაროს მაგ წვეკლ თვალთ ნურა დროს ძილი, თუ არ იმისთვის, რომ სიზმარმა რამ საზარელმა უსახურ ეშმაკთ სამეოფთ ნახვით შიშში გაგხვიოს.

ოჲ, ტარტაროზის კერძო ღორი, მუცლით ნახსენებულ
შენ, რომელსაც დაგაჭდეკეს შობის დროს დანად,
როგორც ბუნების მოხას და წილს ჯოჯოხეთისას.
შენ, დედიშენის ორსულობის ცილის წამებაჲ,
მამიშენისა სამარცხენო შთამომავლო,
პატრიარქების დაღუპილო, ნაგლეჯ-ნაფუთო,
ყოვლად საზინდო...

გლოსტერი. მარგარიტა.

მარგარიტა. რინარდ!

გლოსტერი. რა გინდა?

მარგარიტა. მე შენ არ გინმობ.

გლოსტერი. უკაცრავად, ისე მეგონა,

რომ მაგ უწმაწურ სახელებით მე მიწოდებდი.

მარგარიტა. შენ გიწოდებდი, მაგრამ პასუხს როდი გელოდი.

ალარ დამაცდი, მოკადეკნო ამ წყევლას ბოლო?

გლოსტერი. აჰი მე ბოლო მოკადეკნე, ვთქვი: „მარგარიტა“.

ელისაბედ დედ. მაშ შენა წყევლა ისევ შენვე დაგიბრუნდება.

მარგარიტა. ოჲ, შე საბრალო დედოფალე, ჩემის დიდების
ფუფე აჩრდილო! რისთვის უფენ გზაზედ წინ შაქარს
მაგ სქელ-მუცელს ობობასა, რომელიც თავის
მოწამლულ ქსელში გზეკვს და გაბაკს? უტკეო, სულელი!
დახას შენთვისვე ილეხ; ერთ დროს მომიწოდებ მე,
ერთად გწვევოთო, ეს გომბეშო კუზ-გესლანია.

ქასტინგსი. ცრუდ-მაყებდარო დედაცნო, ეკეთ ცოფიანს
წყევლას დაეხსენ, რომ მოთმენით გამოსულებმა
არა გაკნოთ-რა.

მარგარიტა. თქვენ მომისმეთ თავ-ლაფ-დასხმულნი
მე მოთმინება.

რივერსი. რომ ერთგული გეჰედეს შენ ვანმე,

ჩაგაგონებდა, გასმენდა შენს მოკალეობას.

მარგარიტა. მაშ მიერთგულეთ, შეასრულეთ თქვენი ჩემდამო
მოკალეობა; ჩამკონეთ, ვით გიდედოფლოთ

70.



და თქვენც თქვენს კალსა ნუ უძტუენებთ ქვეშევრდომულსა.
დორსკები. ნულარას ეტყეით, აკად არის სამთვაროთი.

მარგარიტა. ბრწყინო მარვიზო, ხმა გაჰქმინდე! კერ დიდი ხანი
არ გასულა, რაც კეთილშობილთ სარისხი მოგნეს
და ღმერთმა ჰქნას, რომ მაგ დიდებამ ახლად ნამცნვარმა
მაღლე სცადას, ვით მწარე არის პირველ დამხობა.
ვინც კი მაღლა სდგას, ყოველ მხრიდან მათ ქარი არეებს
და როს ცვივან, იმსხვრევიან ნაკუწ-ნაკუწად.

გლასტერი. არა უჭირს-რა რჩევას, მარვიზო, ყური დაუგდე.
დორსკები. ეგ რჩევა, მილორდ, გგონებ, თქვენც კი გამოგადგებათ.

გლასტერი. მე კიდეკი უფრო, მაგრამ ისე მაღლა მაქვს ბინა
ჰანდრის წვეროზედ გამართული, რომ ქარიშხალს
სწორობს, მეკობრობს და თვით მშესაც არ ეპოება.

მარგარიტა. და თვითონ მშესაც ჩრდილს აყენებს. ვაიმე, ბედგროულს;
მოწამე არის ჩემი შვილი აწ ჩრდილ-მიმდგარი,
რომლის ბრწყინვალე შუქნი ჩანთქა მაგ მძვინვარებამ
და საუკუნოდ მიაბარა სიკვდილის მწველიად.
ჩვენს ბინაშია გამართული ეგ შენი ბინა.
გულთა-მხილავო ღმერთო, ამას ნულარ მოითმენ:
ვით სისხლით ჰპოვეს, გამოსწირე ისევ სისხლითვე.

ბუკინგამი. გრცხენოდეს მაინც, შეწვალება თუ აღარ იცი.

მარგარიტა. ნუ გამასხენებთ ნულარც სირცხვილს, ნურც შეწვალებას;
თქვენ მე უწვალოდ მომეპყარიო და უსირცხვილოდ
ამომიუღიბეთ ყოველივე ჩემი ნუგეში.
მე მოწვალება გარდამიქმნეს უწვალოებად,
ჩემი სიცოცხლე სირცხვილად; მაგრამ სირცხვილშიც
აღარ დაცხრება არა დროს ეს ცოფი და ბრახი.

ბუკინგამი. კარგია, კმარა.

მარგარიტა. დიდებულთა ჩემო ბუკინგამ,
შენ ხელთ გემთხვევი მეკობრობის და ზავის ნიშნად,
ღმერთმა სიკეთე მოგანიჭოს შენც და შენს სახლსაც,—



ეროვნული
ბიბლიოთეკა

შენს სამოსს ჩვენი სისხლის ღაჭა არ აჩნევია და არც ეს წვეკლა გეცემა შენ.

ბუკინგამი. და არც სხვას ვისმე, რადგანაც წვეკლა არსად მიდის მთქმელის ტუჩით გარეთ.

მარგარიტა. მე კი მგონია, რომ ზეცასაც ააწვეს იგი და იქ თვით ღმერთსაც აუშვოთებს მუდროების ძილს კრიდე მკვას, ოჰ, ბუკინგამ მკვ ძაღლს კრიდე კვ ალერსით გებენს და ნაგებნარს მაგისი კესლი ანთებს მოკერის და მოაკედენს, კრიდე მეთქმე! ცოდვას, სიკვდილს და თვით ჟოჯოხეთს თავიანთ დაძლადუჭდეკვით მაგაზკედ და ყოველნი მათნი ხელისუფალნი მსახურებენ მკვ არამზადას.

გლოსტერი. მიღწერდ ბუკინგამ, კვ რას ამბობს?

ბუკინგამი. მაგის ღაჭარაკს

ყურს არ კათხოვებ.

მარგარიტა. არ მიძაღლი მაშ კეთილ რჩევას?

ელაქეცები ტარტაროზსა, მე რომ გარიდე? მაშ მოიგონე ეს დღე მაშინ, როცა კვ ტანჯვით მკვ გუელს გაგიბობს და იტყუა, რომ წინასწარმთქმელის ნიჭი ჭჭონდაო იმ საბრალო მარგარიტასა! იცოდესლეთ ყველამ საგნად მაგის მძულვარებისა, კვ თქვენა გძულდეთ და საერთოდ გრისხავდეთ ღმერთი!

(გაღის.)

ქასტინგსი. ეს თმა სულ ეაღუზედ დამიყენა მაგისმა წვეკლამ.

რივერსი. სწორედ მეც კვრე მომივიდა, მიკვირს, რად არის თავისუფლად.

გლოსტერი. არ გამტყუნებ, ღვთის-მშობელს ვფიცავ:

ბეერი გამოვლო მაგან ტანჯვა და იმას ვწესვარ, მეც წილი მიდექს იმ სატანჯვლის მიყენებაში.

ელისაბედ დედ. მე არაფერი არ მიგონია, კვონებ, მაგისთვის.

გლოსტერი. მაგრამ მანინც კი მაგის ტანჯვამ შენ გაგაკეთა.

მე მეტად ფიცხად ვირჯობოდი და ის, ვისთვისაც



ასე ვცდილობდი, განეღდა და აღარც კი ახსოვს. ^{გარკინის}
კლარენსს კი მალე გადაუხადეს. ესლა ბოსკელში
დაუშვევდეკიათ, მოსუქდესო ნაჭათარეკი.

ღმერთმა შეუნდოს, ვინც ამ საქმის მიზეზი იყოს!

რიგერსი. კვ ქრისტიანის შესაფერი მოძღვრება არის, —
ვიღოცოთ სათნოდ მათთვის, ვინც კი ბოროტად გვაჩვენებს.

გლასტერი. მე მაც მოძღვრებას მივდეკ მუდამ დამშვიდების დროს.
(იქით.) რომ დამეწეკვლა, დავწეკვლიდი სომ ჩემს თავს ისეკ.

(შემოდის კატესბი.)

კატესბი. თქვენ, დედოფელო, გინმობთ მათი დიდებულება; —
თქვენც, მთავრო; — დიდებულნო, აგრეთვე თქვენც.

ელისაბედ დედ. მოკალ, კატესბი. — ბატონებო, წამობრძანდებით?
რიგერსი. მიბრძანდი და ჩვენც გიანსლებით.

(გაღიან ყველანი **გლასტერს** გარდა.)

გლასტერი. ^{ბოროტის თავი}

მე თითონა კარ და მევე ვტეხ ალაქათსა.

ჩემგან ფარულად შესრულებულს აქსა განზრახვას
სხვებს თავზედ ვახვეკ: აი, სომ მე ჩავსვი ციხეში
მთავარი კლარენს და მევე კი ვევენსი, ვვავლანობ
სულელ ჰასტინგსის, ბუგინგამის, სტენლის წინაშე;
კამობ, ხელმწიფე დედოფელმა და იმის მომხრეთ
წაჭვიდეს მეთქი ჩემს ძმას კლარენსს ცრუ დაბეზლებით.
ამთაც სჯერათ და თითონვე მაქეხებენ მე,

გადაეუნადო რიგერსს, ვოგანს, გრეის ეს საქმე;
მაშინ ვოხრავ და ვეუბნები საღმთო წერილით,
ღმერთმა გაებრძანა, ბოროტს უზღუთ კეთილით მეთქი.

გერე ჩემს შიშველ ავსულობას ვახვეკ და ვმოსავ

ძველის წიგნების იგავებში და წმიდანადც

ვეჩვენები ხალხს, როს ვადგავარ კმშაკის გზასა.

ესლა გაჩემდე, ჟალათები მოდიან ჩემნი. —



(ორი კაცის-მკვლელო შემოდის.)

ოჲ, რა ამბავი, ჩემო მარჯვე, მსნე ამხანაგნო.

აბა, მზადა ხართ თქვენ იმ საქმის შესასრულებლად?

ზარგელი კაცის-მკვლელო. ჩვენ მზად გახლავართ და იმისთვის
გიახვლით, რომ

ბარათი მოგვცეთ იქ შესვლისთვის, სადაც ის არის.

გლასტერა. კარგია, რომ ეგ გიფიქრათ. აი, ბარათი.

(აძლევს ბარათს.)

როს შესასრულებთ საქმეს, კროსბის მოედანს მოდიით.

მაგრამ მტკიცედ კი მოიქცეთ, ძალე მოჰკალთ;

უურს ნუ დაუგდებთ მის ღაშარაკს, თორემ კლარენსა

ტეზილი მტკიცეა არის და გულს სიტყვით მოგიღებოთ.

1 კაცის-მკვლელო. ღაშარაკისთვის არ გეცადიან, ბატონო ჩემო.

ებედა მოსაქმე როდი არის. მაგახედ გვენდეთ,

ჩვენ სელებს უფრო ეამუშავეთ, ვადრე ენასა.

გლასტერა. აი, ეგ მომწონს: როს სულელნი იცრემლებიან,

თქვენ მაშინ თვალთა გცვივით მხოლოდ წისქვილის ქვები.

წადით, ისაქმეთ.

1 კაცის-მკვლელო. გაიხსლებით, ბატონო ჩემო.

(გაღიან.)

სურათი IV

იგივე ქალაქი. ოთახი ტოუერის ციხეში.

(შემოდინ კლარენს და ბრაკენბიურა.)

ბრაკენბიურა. ბატონო ჩემო, დღეს მწუხარე სახე რადა გაქვთ?

კლარენსი. ძალიან ცუდად გაგატარე წუხელის დამე,

აჲ სიზმრება მაშფოთებდენ და საშინელნი

მოჩვენებანი. ქრისტიანის სულს გეფიცები,

ისე საზარო იყო ეგელა, რაც კი მე ენახე,

რომ თუნდ მომცემდენ ბაღდად ურიცხვ ბედნიერ დღესა,

არ ვინდამებდი კელავ ამ გვარის ღამის გამოკლას



ბრაკენიური. რა ხსხეთ სიხმრად, გთხოვთ, მიბძნოთ. **კლარენსი.** მე ვხსხე, ვითომ

ტოუერიდამ გაუიქერ და სომალდში ჩავექე
ბურგუნდიაში წასასვლელად. ჩემთანვე იყო
ჩემი ძმა გლოსტერ, რომელმაც მე სომალდის ბანზედ
სასეირნოდა ამიწვია ჩემის სამყოფით.

იქიდან ინგლისს ვუყურებდით და კიგონებდით
ათასს სხვა-და-სხვა მძიმე ამბავს, რაც ჩვენს ქვეყნას
შეემთხვა იორკთ და ლანკასტერთ წაყიდუბის დროს.
რომ დაკდიოდა დაუდგრომელ გემის ფიცრებზედ,
უერად გლოსტერ წაბორძიკდა; მე მივეშველე,
მაგრამ წაქცევის დროს მერა ხელი და გადამტეორცნა
აქეთებულის ზღვის ზვირთებში. ოჲ, ღმერთო, ღმერთო!
რა სტანჯველი უნდა იყოს წყალში დაღწობა:

რადაც საზარო სმაურობა უურებს მიჭედლა,
სიკვდილი თვალ-წინ წარმომიდგა სხვა-და-სხვა სახით;
ვნახე აშკარად გემ-სომალდთა ურიცხვო ნამსხვრეპნი,
თვეზნი ურდაზნი ღრღნიდენ ათას მკვდარ ადამიანთ,
ზღვის ფსკერს ეყარნენ ოქროს ზოდნი, გემის ღუზები,
თვალ-მარგალიტნი გროვა-გროვად ფას-დაუდებნი;
ზოგთ მკვდრების თაჲში დაებუდნათ და თვით იმ ხერელში,
სადაც თვალეი ისხდენ უწინ, — ბრწყინალე ჭვანი
ჩატედილიუენენ თითქო მათთა გამოჯავრებით
და დაჭხაროდენ ოკეანის ღამიან უფესკრულს,
თან დასცინოდენ მიმობნეულ ადამიანთ ძვლებს.

ბრაკენიური. როგორ ასწრობდით მიწურული თითქმის სიკვდილსა
კიდეკ გასინჯვას ზღვის უფესკრულის იდუმალ საქმეთ?

კლარენსი. არ ვიცი, როგორ, გასწრობდი კი. ბევრჯერ გნდილობდი,
სული ტანიდან ამომსვლოდა, მაგრამ ზღვის ტალღა
გზას არ აძლევდა, თითქო შერდა თავისუფლებას
დაუსრულებელს ცის ჭაერში არ მიენიჭა;



მემწეუდია სული ეგრედ ამ ჩემს მღელვარე მკერდში
რაიც ღამოდა სკდომას, ოღონდ, აჟუა იგი.

ბრაკენბიური. მერე მკ სულ-ხორცი გაურის დროს არ გამოგე-
ლჯიბთ?

კლარენსი. არა, სიზმარმა ჩემმა სიკვდილს გადააბიჯა
და მაშინ სულიც გამიტაცა მძაფრ ქარიშხალმა.
მე შემხანა, რომ გადავცურდი სევდის მდინარეს
მგოსანთა კალმით აწერილ მკაცრ მენჯის ნაკით
და შეველ მკვდრების ქვეყანაში, უკუნეთის ბნელს.
იქ ჩემს უცხო სულს ჯერ ზირველად წინ შეეყარა
სახელოკანა, დიდი ვარკიბ, სიმამრი ჩემი
და შემომეყვლა: „აბა, როგორს სასჯელს უნიშნავს
„ეს ბნელთ სამეფო მუსთაღ კლარენსს, ფიცის გამტკესო?“
მსუგან გაქტრა და გამოხნდა მეორე ჩრდილი,
ანგლოზთ მზგაკსი, ოქროს თმითა, შესვრილი სისხლში
და დაიძვას მძლავის სმით; „კლარენს მოვიდა,
„კლარენს ორგული, ცრუ, მუსთაღი, ფიცის გამტკესი,
„ტიუქსბერში რომ მომიკლა მე. აბა, ალჭაჟნო,
„შეიზერით ეგ და აწვალეთ!“ ამ დროს მომცვივდა
ბილწ სტანათა ლეგიონი საზიზღ კიჟინით
და ამ ხმამ ისე შეშფოთებით გამომაღვია,
რომ დიდხანს კიდეც გონს ვერ მოველ სიზმრის შიშითა
და მეგონა, რომ ჯოჯოხეთში კიჟავი ისევ.

ბრაკენბიური. რა საკვირველი არის ეგ, რომ შეშინებულხართ,
როცა მე მარტო ამბის სიმანამ შიში მომტკვარა.

კლარენსი. ოჰ ბრაკენბიურ, რასაც კი ჩემს სულს ავედრიახ,
მე მოვიქმედე ყოველივე ედვარდისათვის
და ქსედავ, როგორ მიხდავს იგი! ოჰ, გვედრები,
მღაერო ღმერთო, თუ კი ჩემი მსურავლე ღოცვა
ვერ შემიწვალებს და შურს აგებ ამ ბოროტ საქმეთ,
მარტო მე მრისხე, ნურას ავნებ ჩემს უბრალო ცოლს
და ჩემ საწყალ შვილთ!—მოდა, მცველო, აქ ახლო დაჟექ,
სული მიმძიმს და მსურს ცოტა ხანს ძილს მივეცე თავი.



ბრაკენბიურ რი. კარგი, გასლდებით, დმერთმა მოგცეთ მშობლის
ძილი.—

(კლარენსი სკამზე დაიძინებს.)

დარდი-კარამი სიფხიზლის და მოსკენების ჟამს
ერთმანეთს ურეკს; ღამეს დღედ სცვლის და დღეს ღამედ.
დიდებულთ მთდა სდიდებლად, გარეშე ნიშნად
მარტო ხარისხი აქეთ შინაგან ღელვის სანაცვლოდ
და სშირად ამ ფუჟე, ფუჟის დიდებისათვის
ითმენენ ურიცხვ ზრუნვას და შფოთს. მათ და მდაბიოთ
გამოსარჩევად არსებობს-ღა მხოლოდ სახელი.

(შემოდის ორი კაცის-მკვლედი.)

1 კაცის-მკვლედი. ეი, ვინ არის აქა?

ბრაკენბიური. კაცო, შენ ვილა ხარ, რა გინდა, ან აქ რამ მოგი-
უვანა?

1 კაცის-მკვლედი. მე კლარენსთან ღაპარაკი მინდა და აქ ჩემს
ფეხებმა მომიუვანა.

ბრაკენბიური. აგრე მოკლე ზასუხი რა ამბავია?

2 კაცის-მკვლედი. ასე სჯობს გაჭიანურებას.—ჩვენე მონდობი-
ლობა და გაკათვოთ.

(პირველი კაცის-მკვლედი აძლევს ქაღალდს ბრაკენბიურის და ის
კითხულობს.)

ბრაკენბიური. მე მიბრძანებენ ამ ბარათით, მთავარი კლარენს
თქვენ სელში მოგცეთ. ეს რას ნიშნავს, სჯავს არ მოუვებები,
რადგან არ მინდა მეც საქმეში ცუდად გავება.

აი, აჭა, ეს გასაღებიც. აგრე მთავარსაც
იქ სძინავს სკამზედ, მე კი ესლავ მეფესთან წავალ
და ეარნობებ, რომ ჩემი ვალი თქვენ გადმოგცნით.

1 კაცის-მკვლედი. ძალიან კარგს იზამ და მავით ჭკუასაც დაამტკი-
ნებ. მშვიდობით.

(ბრაკენბიურა ვადის.)



- 2 კატის-მკვლელი. სხვალი მძინარეს ჩაუკეთ?
- 1 კატის-მკვლელი. არა, ზგრე რომ ექნათ, ღაჩარს დაგვიძახებს, როცა გამოიღვიძებს.
- 2 კატის-მკვლელი. როცა გამოიღვიძებს! სულელო, რაღა გამოიღვიძებს განკითხვის დღემდე!
- 1 კატის-მკვლელი. ჰო და მასინ ხომ იტყვის, მიღში მომკლესო.
- 2 კატის-მკვლელი. მაგ განკითხვის დღის სსენებამ თითქო სინიდისი ამიშალა.
- 1 კატის-მკვლელი. რაო, გეშინიან?
- 2 კატის-მკვლელი. არა, მოკვლისა არ მეშინიან, რადგან მაგისი ნება-რთვა თანა გვაქვს. იმისი მეშინიან, რომ ამ კატის-მკვლისთვის იქ დაგვსჯიან, სადა ნება-რთვა გელარას გიომკვლის.
- 1 კატის-მკვლელი. მე შენ უფრო გამბედავი მეგონე.
- 2 კატის-მკვლელი. და ვარ კიდევ, თუ ჩემი გაბედულობა მაგას გადაარჩენს.
- 1 კატის-მკვლელი. მამ წაუღლ მთავარ გლოსტერთან და ზგრე შევატეობინებ.
- 2 კატის-მკვლელი. არა, არა, ცოტა მოიცადე. იმედია ეს წმიდანობა მალე გადავივლის. ჩეულებად მაქვს, კიდრე ოცს დასთვლიდენ, გუნება გამომეცვლება სოღში.
- 1 კატის-მკვლელი. ჰა, ესლა მზადა ხარ?
- 2 კატის-მკვლელი. ცოტა სინიდისის ნაღვეი-ღა დაბრჩა აქა.
- 1 კატის-მკვლელი. გაისსენე, რა საჩუქარი მოგვლის, როცა საქმეს მოვრჩებით.
- 2 კატის-მკვლელი. ჟანი გავარდეს, მოკვდეს. საჩუქარი მართლად სულ გადამაკიწოდა.
- 1 კატის-მკვლელი. ესლა შენი სინიდისი სად არის?
- 2 კატის-მკვლელი. მთავარ გლოსტერის ქისაში.
- 1 კატის-მკვლელი. მამ როცა მთავარი ქისას გახსნის საჩუქრის მოსაგვამად, ხომ ამოფრინდება.
- 2 კატის-მკვლელი. დეე, ამოფრინდეს, მგონია, სახლში ბეკრმა არავინ შეუშვას.

1 კატის-მკვლედი. შენ რომ დაგებრუნდეს?

2 კატის-მკვლედი. მეც ისე ღელავს გაგებრუნება. ის ღელავს სწორედ ზღუდრისთვის, ღელავს: კატის ისე კერძო მოუხმარება, რომ მძინევე ბრალი არ გამოუმდებდეს; ფიცის რომ აწერებდეს, ის ყანუარტოში მისწვდება; მესობლის ცოდნის ისე კერძო გაუარდებდა, რომ იმას ქვეყანას არ მოსდოს. სინაღოსი მორცხვი, გაუბედავი აწერდებდა; ღელავს გულს უღელავებს და ყველგან გზავნის წინ ეხადება. ერთხელ ბედ-ზედ ოქროთი სავსე ქისა ვიხმარებ და იმას მატრონიისთვის დამხმარებინა. ღელავსაჲ კი დაბრუნებს, გლახად გარდა-ქმნის და ავი ყველგან გამოაწმინდურებს კიდევ; ქალაქებს და დაბებში ბინა ვერსად მოუკიდებია. ვისაც კეთილ-ცხოვრება სურს, თავის თავს უნდა მიენდოს და სინაღოსზედ კი სე-ლი ღელავს.

1 კატის-მკვლედი. აი, ესეც ჩემს იდეასთან ღვას და მიხურნუ-ლებს, მთავარს ნუ მოჰკლავო.

2 კატის-მკვლედი. ეშმაკი გაისესე და მგვან ყურს ნუ დაუდებ, თორემ გულში შეგებრუნება და სულ ვაი-ჟუის გაძახებს.

1 კატის-მკვლედი. მე გულ-მაგარი ვარ, ჩემთან ვერას გაძდება.

2 კატის-მკვლედი. აი ეგ სიტყვები კაი ვაჟგანის შესაფერია. აბა, საქმეს შეუდგეთ?

1 კატის-მკვლედი. შენი სმლის ტარი თავში ჩაჰყარ და მერე მე-ორე ოთახში მღუგანის ღვინის კათხაში ჩაგვადო.

2 კატის-მკვლედი. ეგ კაი ფიქრია, ბოდლიაო გაგებრუნო.

1 კატის-მკვლედი. ჩუმად, იღვიძებს.

2 კატის-მკვლედი. დაჰყარ!

1 კატის-მკვლედი. არა, ჟერ მოგელაშარაკო.

კლარენსი (იღვიძებს). მცველო, რა იქნა? მომერ ერთი ჭიჭა ღვინო.

1 კატის-მკვლედი. ღვინო მადე სამუოფი გეძნება.

კლარენსი. შენ ვინა ხარ? მითხარ ღვინის გულისათვის.

1 კატის-მკვლედი. ღელავსაჲ ვარ შესავით.

კლარენსი. არა, ჩემსავით დიდებული არ იქნები.



1 კატის-მკვლელო. და არც შენა ხარ ჩვენსაკით ერთგულად...
კლარენსი. შენა ხმა ჭეხილსა ჭკაკს და სახე კი მდაბილს გაჭკის.

1 კატის-მკვლელო. ჩემი ხმა ესლს სელმწიფეს კეთუნიის, სახე კი ჩემია.

კლარენსი. რად ღაშაბუკობ აგერ ურუდ და აგრე საზარლად?
თქვენი თვალები თითქო სიკვდილს შემუჭრებთან.
ფერ-მკრთალნი რად ხართ, ვინ მოგვ ზაენათ, სიდან მო-
დისართ?

ორივე კატის-მკვლელო. ჩვენ, ჩვენ...

კლარენსი. მოდისართ ჩემ საკლავად?

ორივე კატის-მკვლელო. ჰო, სწორედ, სწორედ...

კლარენსი. გული არ გერჩით სათქმელადაც და თვითონ საქმეს
თქვენ როგორა იქმთ? მეგობრებო, რა დაგიშვეთ?

1 კატის-მკვლელო. შენ სელმწიფესა დაუშავე და არა ჩვენა.

კლარენსი. მე ჩემს სელმწიფეს ისევ ისე შევურავდები.

2 კატის-მკვლელო. ვერა, ვერას დროს. მოემზადე სასიკვდილოდა.

კლარენსი. მთელ ქვეყნის საღსში განა მისთვის გამოერჩიეთ,
უმანკო მოჭკლათ? აბა ერთი, რა ბრალსა მდებენ,
ან რა საბუთი მოაქვთ ამის დასამტკიცებლად?
ან ჩემი საქმე რა კანონმა გამოიძია
და დაუდგინა განაჩენი სასტიკის მსაჯულს?
ან ვინ წამოსთქვა მწარე მსჯავრი ჩემის სიკვდილის?
ვიდრემდე ისე არ გამსჯიან, ვით კანონს ჰფერობს,
უკანონობა არის სიკვდილს შემუჭრებოდენ.
გთხოვთ, თუ იმედი გაქვთ სულთა სხნის იმ წმიდა სასი-
სლათ,

რაიც შესწირა ქრისტემ ჩვენთა მძიმე ცოდვათა,

წადით აქედან, ხელს ნუ მხსლებთ, ნურაფერს მერჩით;

ვოჯოხეთს ჩაგვრით კვ საქმე, რაც თქვენ განგიზრახათ.

1 კატის-მკვლელო. ჩვენ მას ვასრულებთ, რაც გვიბრძანეს.

2 კატის-მკვლელო. და მბრძანებელი
ჩვენი მეფეა.

კლარენსი. ოჰ, მონანო გზა-დაბნეულნო!
ყოვლად ძლიერმა მეფეთ-მეფემ მცნებათ ფიცარში
თქვენ დაგიწერათ, არ მოჰქლათო და რას ჩადისართ?
არღვევთ მის კანონს და ასრულებთ კაცის ბრძანებას!!
გაფრთხილდით, თორემ ხელთ უშურიან მკაცრი სასჯელი,
რასაც თაქს დასცემს მის ბრძანების უარ-ყოფელსა.

2 კაცის-მკვლელი. სწორედ იმ სასჯელს დაგცემს შენ თავს, ვით
ფიცის გამტკის
და ვით კაცის-მკვლელს. შენ ღანგასტკრთ ფეხსი შეჭფირე,
იმში თქვენს მხარეს დავიჭერო.

1 კაცის-მკვლელი. მერე ის ფიცი,
აღთქმა გასტყე და ჭბე ღმერთი. შენის მსკვილით
მუხანათურად გამოსწელე შეილი შენისვე
მბრძანებელისა.

2 კაცის-მკვლელი. რომელსაც შენ დაჰპირებოდა
ერთგულებასა და სიყვარულს.

1 კაცის-მკვლელი. როგორღა ჰბედავ
და გვაგონებ ღვთის სასტიკს კანონს, როდესაც თვით შენ
იგი უარ-ჰყევი, დაარღვიე, ფეხით გასთელე!

კლარენსი. და ვაი ჩემს თავს! ვისთვისა ვქმენ ეგ ავი საქმე?
ედვარდისათვის მხოლოდ, ჩემის ძმის გულისათვის.
იმასაც ჩემებრ წილი უდევს ცოდვა და ბრალში
და მაგისთვის ჩემ მოსაკლავად რად მოგვგზავნიდათ?!
კარგად იცოდეთ, თუ ეგ საქმე არისხებს ღმერთსა,
გამოაჭყეუნებს კიდეც თავის მტკიცე განაჩენს.
ხუ ერიღებით მის ძლიერ ხელს განსჯა-განკითხვას,
არ საჭიროობს იგი მრუდე, უკანონო გზას,
რათა ორგულები თვისნი მოსპოს, განადგუროს.

1 კაცის-მკვლელი. მერე შენ ვილამ მოგვცა მკაცრი ხელის-უფლება,
რომ სასიკვდილოდ არ დაინდე ის ნორჩი ჰერინგი,
გაზაფხულივით მოწითულე ჰლანტაგენეტი?

კლარენსი. ეგ მაქმნეკინა სიყვარულმა ჩემის ძმისაძა,
ჩემმა სიბრალემ და სატანამ.



საქართველოს
ხალხთა მწიგნობრობის
სამართლებრივი
სამსახური

1 კაცის-მკვლედი.

სწორედ მაგ შენის

ძმის სიუყვარული, ჩვენი კალი, შენი ცოდვები

გაიწვევენ ჩვენს ჯე, რომ მოგვლათ შენ.

კლარენსი.

თუ სწორეს აშბობთ

და მართლად გიყვართ ჩემი ძმა, არც მე გეძულებით,

რადგან მეც ძმა ვარ ხოლმე მისი და ფრიადაც მიუყარს.

თუ თქვენ დავაბრუნებ ჯილდოს რასმე, წადით უკანვე,

ჩემს ძმას გლოსტერთან გაგზავნით მე და ის თქვენ მეტად

დაგასახუჭებთ ჩემის ცოდნად დატოვებისთვის,

გიდრე ედვარდი მოკვლისათვის ჯილდოს მოგცემდეთ.

2 კაცის-მკვლედი. სცდები: შენ სმაგხარ შენს ძმას გლოსტერს.

კლარენსი.

ოჰ, არა, არა!

მე მეტის-მეტად უყვარვარ მას. ჩემ მაგიერად

წადით იმასთან.

ორივე კაცის-მკვლედი. მაინც წავალთ.

კლარენსი.

და მოგონეთ,

რომ როცა ჩვენმა დიდებულმა ძმამ, იორკმა,

თავისი სამი მე დალოცა ბედნიერ სელოთ

და დაგვაგულა სიუყვარული ერთმანეთისა,

არ ეგონა-თქო თუ ეს მტრობა დამკვიდრდებოდა,—

უთხარით მეტეი გლოსტერს ასე და ტირილს მოგვრით.

1 კაცის-მკვლედი. ჰო, წისქვილის ქვეს ცრემლის ნაცვლად დაჭურის

თვალთვან,

როგორც ჩვენ გვითხრა.

კლარენსი.

ცილს ნუ სწამებთ, ის კეთილია.

1 კაცის-მკვლედი. შენ მართლად აშბობ: როგორც რთილი მო-

საკვლისათვის.—

რა დაგიძლათ, შენ საკვლელად სწორედ ის გეგზავნის.

კლარენსი. არ დაგიჯერებ; დატყრილი რომ დამიხსნა,

გულზედ მიმიფრდნო ცრემლიანმა და შემომფიცა

ოხვარა-გენესითა, ტყვეობიდან გამოგვიყვანო.

1 კაცის-მკვლედი. მაინც აგრე იქმს, ბორკილს აცხსნის დედამიწისას

და იქ აგაფურენს, მადლა ზეცას, ნეტარებაში.



2 კაცის-მკვლედი. ღმერთს შენი სული შეაკუდრე, სიკვდილის დროს.

კლარენსი. თუ კი ეგ წმინდა გრძნობაცა გაქვს, რომ რწევას მძღვე, ღმერთს შეაკუდრო ჩემი სული, რისთვის არ ზრუნავ შენის სულისთვის, ჩემის მოკვლით ღმერთს რად არისსებ? ოჲ, იცოდეთ, რომ კინც ეს საქმე ჩაგაგონათ თქვენ, თითონ იმასვე შესძგდებით, როს აუსრულებთ.

2 კაცის-მკვლედი. მაშ რა უნდა კწნათ?

კლარენსი. გულისთ მოღებით, სულნი ისხენით.

1 კაცის-მკვლედი. გულისთ მოღებობა დედაკაცის შესაფერია, ეგ სიღაწრეა.

კლარენსი. არ მოღებობა შესაფერია მხეცის, ნადირის, კშპაცისა. თქვენ რომ ჩემსკით ხელმწიფის შეიღნი იყოთ ციხეს დატყვევებულნი და თქვენებრ მკვლენი თავს დაგადგენ, სიცოცხლეს სთხოვდით, შეპირადებით თქვენც კი თქვენს თავს. — ოჲ, მეგობარო, სიბრალულს გამჩნევ მაგ თვადებში; ზირ-მოთხეობა თუ არ არის ეგ, შემეწიე, მიმსრე მაგასთან, — რომელი გლახა ზრინც-მთხოვარას არ შეიწყნარებს?!

2 კაცის-მკვლედი. ზატონო, იქით მიიხედე, აქ ნუ გვიუბრე.

1 კაცის-მკვლედი. აჲა, აი შეწყნარება. (ხანჯალს ჩაისცემს) თუ ეს არ გასჭრის მალეუწიის კასრში ეხლავ ჩაგიღწიოთ თავსა.

(გაიტანს მკვდარს კლარენსს.)

2 კაცის-მკვლედი. რა საქმე მოხდა, როგორ მალე მოკლა ბოლო! ოჲ, ნეტა ხელი დაეიზანო ზილატესკით და არ მომეცხოს ამ კაცის-კვლის სამძიმო ბრადი.

(ზირგელი კაცის-მკვლედი დაბრუნდება.)

1 კაცის-მკვლედი. რატომ არ მშეკლი, რასა დგახარ? ღმერთს გე-
ფიცები,
მთავარს უთუოდ შენს სიღაწრეს შეკატუობინებ.

2 კატის-მკვლელი. ნეტა იმის შმა დამეხსნა და ის გუგუნობა შენ.
წადი და უთხარ, რასაც კამობ, ჟილდორ შენ გუგუნობა
შე მთავრის სიკვდილს დიდად კნანობ.

(გადის.)

1 კატის-მკვლელი.

შე არა კნანობ.

დამიღორცნია გზა, ღახარო!—წავალ, ორმოში
დაკმადავ სადმე შე ამ გეამსა; მერე მთავარი
ბრძანებას გასცემს დამარხვისას. ჟილდოს მივიღებ
და კიდრე სჩქე გამელანდება, გადვიმღებია.

(გადის.)



ქართული
ენის ინსტიტუტი

მოქმედება მეორე

სურათი I

ლონდონი. ოთახი სასახლეში.

(შემოდინან ავადმყოფი მეფე ედვარდ, რომელიც ხელით მოჰყავთ.)
ელისაბედ დედოფალი, დორსეტი, რივერსი, ჰასტინგსი, ბუკინგამი,
გრეი და სხვანი.)

ედვარდ მეფე. კეთილი საქმე გქმენ მე დღესა. მაშ ასე, პერნო,
მუდამ გეჭირათ ერთმანეთთან მჭიდრო კავშირი.

მე კი უოკელ დღე შიკრიკს კელი ჩემის მხსნელისას,
რომ მიმიწოდოს თავისთან და დამხსნას საცოცხლეს.

აწ ჩემი სული აფრინდება მშვიდობით ზეცას,

რაკი მშვიდობა დაგუმყარე აქ ჩემთ მეგობართ.

რივერსი და ჰასტინგსი, ჩამოართვით ერთმანეთს სელი,

მხოდა შეჭფიცეთ, გულში ძვირსა ნულარ იმარსავთ.

რივერსი. მე ძვირისაგან განმეწმინდა სული, ვიფიცავ ცას

და ამ ხელთაც აწ ვამოწმებ მტკიცე საიუარულს.

ჰასტინგსი. მწედ მუჯდეს ღმერთი ისე, როგორც მართალს ფიცსა
კდება მეც მაგახედვე.

ედვარდ მეფე. გაუფთხილდით მეფის წინ ტუეილს,

რომ უძღლესმა მეფეთ მეფემ, უზენაესმა

დაფარულ, ავთა ზრახვითათვის არ გსჯოთ მკაცრად

და ერთმანეთი ბოროტად არ დაგაღუპინათ.



ჰასტიანგსა. მეშველოს ისე, ვით ნამდვილს ფიცს კდებ მემობისას.
რივერსა. მერ სწორედ ისე, ვით ჰასტიანგსა გულისთ მშვერდეს.

ედვარდ მეფე. ეს ამბავი შენც შეგეცება, ჩემო მეუღლე,
შენც, შვილო, დორსეტი, შენც, ბუკინგამი. თქვენ ერთმანეთთან
წაკიდებულნი იყავით მტრად. მიეცა ხელი
ლორდ კანტლერს ჰასტიანგსს, დედოფალს, რომ ზედ გემ-
თხვიოს

და გაეყარდეს ეგ. ამის იქით თქვენს მოქმედებას
ნულად დაახსენეთ ორ-პირობას.

ელისაბედ დედ. აჰა, ლორდ ჰასტიანგს.

ძველს მძულვარებას აღარა დროს არ გავიხსენებ,
ვფიცავ ჩემს თავს და ჩემთა თვის-ტომთ.

ედვარდ მეფე. დორსეტი, ერთმანეთს
გადაესვიეთ შენ და ჰასტიანგს. — ჰასტიანგს, გაეყარდეს
შენც მარკიზ-დორსეტი.

დორსეტი. ვფიცავ ზენას, რომ ჩემის მხრითა,
არსად ვუმტყუნო მეგობრობას ერთმანეთისას.

ჰასტიანგსა. მერ მაგას ვფიცავ.

(ერთმანეთს ეხვევიან.)

ედვარდ მეფე. დაიდებულა ბუკინგამი, აწ შენ

დაჰქარ ბეჭედი ამ კავშირს და გადაესვიე

ჩემ ცოლის მომხრეთ; მაგ ერთობით ბედნიერ მყავით.

ბუკინგამი (დედოფალს). თუ კი როდისმე ბუკინგამ თქვენს დიდ-
ბულებას

წუენას აკადრებს და ჟეოროვან სიყვარულითა

არ გაერთგულებთ თქვენ და თქვენთა ნათესავთ, მომხრეთ,
ღმერთმა დამსჯოს მაშინ იმით, რომ სიძულელია

კპოვო იქ, სადაც ერთგულებას უნდა კელოდე.

მაშინ, როდესაც დამჭირდება მეგობარი მე,

კპოვო თვით იგი, ვინც მეგობრად და ძმად მიმაჩნდეს,

ცბიერ მოსისხლედა, მუხანათად. მომიხდეს ასე,

თუ ცდა დავაგლო თქვენს სამსახურს, თქვენს ერთგულებას.

(მოესხევას რივერსს.)

ნახი



ედგარდ მეფე. მალამოსავით, ოჲ, ბუკინგამ, ეგ შენი მოყენსა ამ ჩემს სნეულს გუელსა. ესლა გუკელია მხოლოდ ჩემი ძმა გლესტერ მისთვის, რომ ამ მშვიდობას სთავსი ბოლო მოკადკენოთ.

ბუკინგამი. და აი სწორედ აქ მობრძანდება თვით მთავარი, როგორც კი ბრძანეთ.

(შემოდის გლესტერი.)

გლესტერი. ბედნიერებას ვუხატრი მე ჩემს სელმწიფეს და ჩემს დედოფალს. — გამარჯვება თქვენ, დიდებულნო.

ედგარდ მეფე. მართლა ეს ყამი ჩვენთვის სწორედ ბედნიერია: კაცთ-მოყვარების საქმე ჩვენ დღეს დაეთესეთ, ძმაო, მტრობა მშვიდობად გარდაკქმენით, ბულებს მშობად ამ გოროზთ, ცხარე და მრისხანე დიდებულთ შორის.

გლესტერი. აგურთხოს ღმერთმა, სელმწიფეო, ეგ თქვენი შრომა! მეც თუ კი ვინმე ამ დიდებულ კრებაში მისახვს თავის მოძულედ, ცრუდ მიტანილ ამბის წყალობით, ან უსაფუძვლო წარმოდგენით; თუ უცაბედად, ან სიბრზის დროს გაწყეიანე აქ მდგომსა ვისმე, — მსურს შეურიგდე, დაუძვარო აწ მეგობრობა. სიკვდილი არის ჩემთვის მტრობა, უმზრასხად ყოფნა და ყოველ კეთილ სულთანა მსურს ამა კავშირი; ჟერ, დედოფალო, შენთან ვითხოვ გულ-წრფელ მშვიდობას, რასაც ჟეროვნად გამაგიერებ მხნედ სამსახურით. შენცა გთხოვ, ჩემო ნათესავო, დიდო ბუკინგამ, მე მშვიდობისა ჩამოგდებას, თუ კი როდისმე იგი ჩვენ შორის აღდგენულა. შენც, ღორდო რიკერს; ღორდ გრეი, შენცა, — თქვენ ყოველთა, კინც უმიზეზოდ ჟავრობდით ჩემსკედ: მთავართ, გრაფებს, ღორდთ, კეთილ-შობილთ.

არც ერთ ინგლისელს მე არ ვინცნობ იმისთანასა, ვისთანაც მტრობა მქონდეს თუნდა იოტის ტოლი.



როგორც არა მძევს მტრობა წუხელ ნაშობ ბავშვისა
მე ვმადლობ ღმერთსა ამ სამდაბლის მონიჭებისათვის
ელისაბედ დედ. დღესასწაულად დავდეთ ეს დღე საკვლავიოდან, —
ღმერთმა ყოველ შეფოთს მოადგენოს კეთილი ბოლო. —

ესლა, გთხოვ, ჩემო დიდებულო მეფე-ბატონო,
ჩვენი ძმა კლარენს შეიწყალო, მძურად შეიტეხო.

გლესტერი. სიყვარულს განა მისთვის გძღვნობდი, ბატონო ჩემო,
რომ მასხარადან აგებდე თვით მეფის წინაშე!

ეგ ვინ არ იცის, რომ საბრძოლო კლარენს მკვდარია?

(ყველანი გაიოცებენ.)

თქვენ იმის გაქმის შეურაცხ-ჭყოფთ აგრე დაცინვით.

რიგერსი. ვინ არ იცის, რომ მკვდარიაო!! აბა, ვინ იცის?

ელისაბედ დედ. გულთა-მხილავო მეუფეო, რა დროში ვცხოვრობთ!

ბუკინგამი. დორსეტი, მეც ისე ნაწრის-ფერი მდევს, როგორც
სხვებსა?

დორსეტი. დიაღ, ბატონო. არც შენ, არც სხვას მთელ ამ კრებაში
ღაწვთა სინათლე აღარ შერჩა.

ედვარდ მეფე. კლარენს მკვდარია?!

აჰი მოკშლეთ ის ბრძანება.

გლესტერი. თქვენმა პირველმა

ბრძანებამ მოჭკლა ის საბრძოლო. იგი წაეღო

ფრთიანს ოტარიდს და მეორე იმის მომშლელი

ვიღაც საპურისთვის აკიდათ, რომელიც მხოლოდ

დამარცხის შემდეგ მისულიყო. მე ბევრნი ვიცი

სამეფო სასახლთან მასწავდ უფრო შორეულ მეოფნი,

თუმც დიაღ დიარსნი სასჯელისა მოსასხლობისთვის,

რომელნი ესლაც თავისუფლად დასეირნობენ.

(შემოდის **სტენლი** და მეფეს დაუჩოქებს.)

სტენლი. წყალობას ვითხოვ, მეფე, ჩემის სამსახურისთვის.

ედვარდ მეფე. დამესვენ, ესლა სული სკვდით შემძიმებია.

სტენლი. კიდრემდე თხოვნას არ მომისმენთ, რე არ ავდებია.



ედგარდ მეფე. მამ მოაწი ჩქარა, სთქვი, რასა გეოსოვ და გეოსოვ
სტენდი. გეოსოვ, რომ სიცოცხლე ამატოვო, მეფე, ჩემს მსა-
ხურს,

რომელსაც ერთი ჭირვეული კეთილ-მოხილი
მოაკარ ნორფოლკის ამალისა შემოკედომა.

ედგარდ მეფე. ეს ენა განა იმისთვის მქვს, რომ მიუყვარ

ძმის სიკვდილი და ჰატიება ვილაც მონასა?!

ჩემს ძმის კაციც კი არ მოუკლავს, ეჭვის აღება

მწარე სიკვდილი განუზინა. იმის გულისთვის

ვინ შემეკედრა, ანუ ჩემის გაცოცხლების დროს

ვინ დამიბოჭა და მარნია მშვიდად მეფიქრა?

ვინ გამასხენა სიუყვარული, ძმობა, ერთობა?

ვინ მომგონა, იმ საბრძოლმე თუ ვით უარ-ჭეო

ძლიერი ვარკვი და იბრძოლა ჩემის გულისთვის?

ანუ კადეკ ის ამბავი, ვით ტიუქსინის ველს,

როცა ოქსფორდმა დამამარცხა, მან გამოძისხნა

და მითხრა, „მეფედ იცოცხლეო, ძვირფასო ძმაო?!“

ვინ მაიმო კელა, —როს კეყარნეთ ოხრად მინდოდა

და მკაცრმა უინვამ მიგვიყვანა სიკვდილის ჰიარად,

ვით გამახვია თვის სამოსში და თავის ტანა

მიშველი, სენით შეჰფრობილი ანდო ცივს ღამეს.

ესე ყოველი ამომაღა ჩემის სსოკნიდან

მხეცურმა რისხვამ, ცოდვიანმა და არც ერთ თქვენგანს

მადლი არ ჰქონდა იმდენი, რომ ეს გაესხენა.

მაგრამ თუ თქვენი მეუბნა, ამალის მონა,

ვაცს სიმთვრალეში მოჭკლავს სადმე და შეამწიკვლებს

ჩვენის ძვირფასის მსხველს სხეს, თქვენ აქ განდებით

და მუხლ-მოღრქვით მთხოვო წყალობას, ჰატიებას!

ამ უსამართლო თხოვნას გისმენთ... ჩემის ძმისთვის კი

არ ამოიღო სმა არც ერთმა და მეც უწყალოდ

ჩემ სინიდანთან იმ ბედკრულს არ გუშუადგომდე.

თქვენ ყველას, თითონ უამყესო მის სიცოცხლის დროს



მოგატონდებით რამ სიკეთე მისგან და ნაცულად
ერთსელად კი არ წაესარნლეთ, უმადურებო!
ოჲ, კშიშობ, ღმერთი ამ საქმისთვის სასტიკად დაგესჯის,
მერ, თქვენცა, ყოველ ჩემ მახლობელთ, თქვენიანებსაც. —
მიშველე, ჭასტანგს, მიმიყვანე ჩემს ოთახამდე.
ოჲ, შე საზრადო კლარენს, კლარენს!

(გაღიან ხელმწიფე, დედაფაღი, ჭასტანგს, რიგერს, დორსეტი
და გრეი.)

გლასტერი. აი, ეს იცის

აჩქარებამა. — არ შენიშნე, თუ ვით გაფითრდენ
ნაიკესაგები დედოფლისა ცოდვით სავსენი,
კლარენსის მოკვლას რომ შეიტყეს? ეგენი იუვნენ,
მეფეს რომ მუდამ აქესებდენ მის მოსავლავად.
ღმერთი გადუხდის. — ღაშაბაკით, წავიდეთ, აბა,
გაგართოთ შეფე.

ბუკანგამა. მიბრძნდით და ჩვენც გახსლებით.

(გაღიან.)

სურათი II

იკივე ქალაქი. მეორე ოთახი სასახლეში.

(შემოდინარკის მთავრის მეუღ. ჰატარა ვაჟი და ქალი კლარენსისა.)

კლარენსის ვაჟი. კარგო ბებიას, გვითხარ, მართლამაჲ მოგვიკვდა?
იარკის მთავრ. მეუღლე. არ მოგკვდომიათ.

კლარენსის ქალი. მაშ რად ტირი, სულ გულში იცემ,

აზრობ: „ვამე, ჩემო კლარენს, ბედერულო შეიღო!“

კლარენსის ვაჟი. თუ ცოცხალია, აქეთ იქით თავს რაღად იჭეო,
და სიბრალულოთ სედ დაგვტყერი, გვიძახი ობლებს,
უპატრონოებს, უბედურებს?



ხეობა
მედიკალინური

იორკის მთავრ. მეუღ.

შვილიშვილებო, ორნივე სცდებით; მე გგლოვობ მხოლოდ
მეფის სწულად დაუბრუნსა, გგლოვობ იმისთვის
და არა მამითქვენის საიკვდილს. რაც საუკუნოდ
დაკარგულა, იმის გლოვა უნაყოფოა.

კლარენსის გაჟი. შენის სიტყვიდან სჩანს, რომ მამა მკვდარი უო-
ფილა.

მეფის ბრალა, ბიძიქმის, გადუხდის ღმერთი,
რომელსაც მუდამ ღოცვა-სვეწნით ამას გამოვითხოვ.

კლარენსის ქალი. და მეც ზგრე ვიქ.

იორკის მთავრ. მეუღ.

ჩემად, ბავშვანო, ჩუმიდ იყავით!
გულთ უფვარსაოთ თქვენ მეფესა, უმანგო გერიტო,
მამითქვენის მკვლელს ვერ მიაგნებთ და ვერც მიხვდებით.

კლარენსის გაჟი. რატომ, ბებია, ავი მია გლოსტერმა მითხრა,
რომ დედოფალსა წაეჭყა მეფე და იმას
მამიქმისთვის თურმე რაღაც რილი ეწამა
და დაეძწუდა ბნელ ციხეში. როცა ბიძა
მეუბნებოდა ამ ამბავსა, ტიროდა მწარედ,
მიაღვრსებდა, მიბრალებდა, ზიარედ მკოცნიდა
და ესეც მითხრა, მენდე ისე ვით მამაშენსა
და მეც შვილივით შეგიტებოდა.

იორკის მთავრ. მეუღელე.

ჩხედავთ, სინტრუე
როგორ იფერებს მადლის სახეს და ვით ზიარადეს
სათნოებისას იკეთებს ღრმა ბიწიერება!
ჩემი შვილია იგი და მეც ამისი მრცხვენის,
თუმც ჩემს ძუძუებს სინტრუე არ უწოვიათ.

კლარენსის გაჟი. ვითომ გკონია, მია გლოსტერ ტყუილს ამბობდა?

იორკის მთავრ. მეუღ. ტყუილსა, შვილო.

კლარენსის გაჟი.

არა, ბები, არ დავიჯერებ.—

ეს რა ხმა არის? აბა ერთი, უური დაუბდე.



(შემოდინ: ელისაბედ დედოფალი არეულის სახით, რავერს და
დორსკტი.)

ელისაბედ დედ. ოჲ, კინ დამიშღის გლოკა-ტირიდს, ამ ბედის წევას,
ჩემის თავისკე მწარედ ტანჯვას! დაუზადებია
განწირულებას შავსა და ბნელს და ომს აუტეს,
უწყალო მტრადა გადგეჭეკვი ჩემს მჭმუნვარე სულს.
იორკის მთავრ. მეუღ. ნეტა რას ნიშნავს ესეთ უცებ კარმის სუ-
რათი?

ელისაბედ დედ. მწარე დასასრულს წუთი-სოფლის მასხარობისას.
აღარ გვევს ედვარდ, შენი შვილა, უფალი ჩემი,
ჩვენი ხელმწიფე! ფესვი გაჭრა და შტოების ზრდა
ვიღას რად უნდა! ან ფოთოლნი რად არ ტყეობან,
რაკი გაუშრათ წვენი მათი მსაზრდოებელი?
იტირე, თუ კი გსურს იცოცხლო და თუ სიკვდილი
გწადიან, ბარემ ჩქარა მოკვდი, რომ ჩვენი სულნი
ელვის სისწრაფით შეუერთდენ ხელმწიფის სულს;
ან ვით მორჩილნი ჭკეშუკდომნი იახლენ უკან
იჲ, საუკუნოდ განსკვნების ახალს სამეფოს.

იორკის მთავრ. მეუღ. მეც წილი მიდევს მაგ ნაღველში, ვით მჭონ-
და წილი

შენის მეუღლის სიცოცხლისა. მე ღირსი ქმარი
გამოვიგლოვე და სიცოცხლეს ის მანიჭებდა,
რომ შევეურებდი იმის სახეთ. მაგრამ სიკვდილმა
მიმზგავსებელი ორი სარკე ნაგუწ-ნაგუწად
უწყალო ხელით დამიმსხვრია. აწ ჩემს ნუგეშად
დარჩა-და სარკე მატყუარა, რაც უარესად
მაგმუნეებს, როცა მასში ვხედავ ჩემსაჲ შერცხენას.
თუმცა დაჭერივდი, მაგრამ მაინც დედა ხარ შენა
და ქმრის ნაშთენი შვილნი მაინც განუგეშებენ.
მე კი სიკვდილმა გამომგლიჯა ხელიდან ქმარიც,
მომისპო ორი უკარგენი დასაურდნობელი
კლარენს და ედვარდ. შენი დარდი ნახევარია



ამ ჩემის სეკდის და ნება მაქვს მაგ შენს საზიგარს
ხმა ჩაუკმინდო, შენი კენესა ამ ცრემლით წავრღვნა.

კლარენსის გავი. არ გიგლოვია, შენ, ძალუა, მამს სიკვდილი
და მისთვის ცრემლებს შენს გლოვას ვერც ჩვენ მივაშველებთ.
კლარენსის ქალი. ჩვენ ობლად დავრჩით და არავინ არ გვისამძიმრა,
დეე, ნურავინ ინაღლებს შენს დაქვრივებასაც.

ელისაბედ დედ. არავის შეუღა მე არ მინდა, მე ვეპარვარ მარტო,
ჩემი ვარაში კენესით მოვთქვა. ეს მწუხარება
ვრცელ დედამიწის წყაროთა წყალს მოგვრის ამ თვალს
და მეც, წვიმიან მთვარისაგან წაქეზებული,
ცრემლით ზღვას დაჰანთსევე მთელის ქვეყნის ამოსარღობად
და ვიგლოვებ ჩემს ძვირფასს ედვარდს, ჩემს საუყარელ ქმარს!
ბავშვები. ჩვენც ვიგლოვებთ ჩვენს ძვირფასს კლარენსს, საუყარელ
მამას.

იორკის მთავრ. მეუღ. მე კი ორივეს, ორივე ჩემ შვილს, კლარენსს
და ედვარდს.

ელისაბედ დედ. ედვარდ-ლა მუჟდა მე ნუგეშად, ისიც გამშორდა.

ბავშვები. კლარენს-ლა გუჟდა ჩვენ ნუგეშად, ისიც გაგშორდა.

იორკის მთავრ. მეუღ. კი ორნი მუჟდენ მე ნუგეშად, ორნივე გამ-
შორდენ.

ელისაბედ დედ. ესეთი განძი ჯერ არა ქვრივს არ დაუჟარგავს.

ბავშვები. ესეთი განძი არა ობოლთ არ დაუჟარგავთ.

იორკის მთავრ. მეუღ. ესეთი განძი არა დედას არ დაუჟარგავს.
გაი რომ მე ვარ მთელ ამ ვარძის ჭირისუფალი!

ჩემი საერთო ღარდი მაგათ დაუოფილი აქვთ!

ის სტირის ედვარდს, მეც მას გტირი; გტირი კლარენსსაც;

ის მას არ სტირის. ეს ბავშვები სტირიან კლარენსს,

მეც მასვე გტირი. გტირი ედვარდს, ხმას არა მცემენ.

მამ თქვენ სამთავე, რაც ცრემლი გაქვთ, დამადინეთ მე,

მე ერთი სამად უბედურსა; თქვენის ნაღველას

ძამად შეეჭმინდვარ, ოსვრა-კენესით გაგიძღობთ ვიდეც.

დორსეტი. ძვირფასო დედა, ინუგეშე, ღმერთს ნუ არისხებ

და უმადურად იმის სჯიმეს ნუ ეგებები.

დაუნასკეს უწოდებენ ამ ქვეყანაში,

ვინც კეთილ სულით მოცემულ ვაღს სამდურავითა
უბრუნებს პატრონს, და ვინც ზეცას წინააღმდეგობს.
როდესაც იგი ითხოვს უკან ძვირფასს ნასესხებს,
ამით ხომ უფრო ამტკიცებს თავის უმადურობას.

რიკერსი. დაო, იუიჭკე, როგორც მხრუნავს დედას შეჭუერის
იმ ახალგაზდა პრინცისთვისაც, შენის შეიღისთვის:
დაიბარე და თავს დაადგი მალე გვირგვინი;
შენი ნუგეში იგია, მკვდარ კვარდის კუბოს
თან ჩატანე მწუხარება ეგე სასტიკო
და სიხარული სთესე ცოცხალ კვარდის ტახტზე.

(შემოდინა გლასტერი, ბუკინგამი, სტენდი, ჰასტინგს, რატკლიფ
და სხვანი.)

გლასტერი. დარდს ნუ გაჭეები, ჩემო დაო, თვითუღეს ჩვენგანს
ჩვენის ბრწყინვალე მხატობისა დაბნელებისთვის
ტირალი მართებს, მაგრამ თავის დარდს ვინ გაჭეურებს
ტირალით, გლავით? — დედაჩემო, უგაცრაოდ ვარ,
ვერ დაგინახე; გთხოვ დალოცვას მუხლ-მოდრეკილი.

იორკის მთავრ. მეუღლე. დაგლოცოს ღმერთმა, თან სამშვიდე,
კაცთ-მოუყვარება,

მორჩილება და სიუყვარული გუფს ჩაგინერგოს.

გლასტერი. ამინ. — (იქით) და ღმერთმა საბერკმდე მიმადწეკინოს,
მაინც ეს არის დედის ღოცების თავი და ბოლო.

მიკვირს, არა სთქვა.

ბუკინგამი.

პრინცნო სახე-მოდრეკილეობო,

გულ-სკედაინო დიდნო პერნო, რომელთაც ვეკლას
ეს მწუხარების ტიართი გაწეკო, — გამხსნედიო მტკიცედ
და ერთმანეთიც გამხსნეკოთ სიუყვარულითა.

ჩვენის ხელმწიფის ეანის მკას თუმც ვერ დავესწარიო,
შვილის მიმიდადს ეუერთგულათ. განსეთქილება,



რაც თქვენ ჰმე გუფთ შუა მოსდა, ძლავს ამ ბოლომდე
 ზირი შეკრა და შედუღდა. დე, სამუდამოდ
 დამკვიდრებულა იყოს ესე მტკიცე კავშირი.
 გგონებ, კარგს კიწამთ, მარტო მცირე ამაღლით პრინცი
 მოგაყვანიოთ ლედლოდან და მოსკლის უმაღლეს
 კაკურთხოთ შეივდ აქ ღონდონში.

რაიკრსი.

მაგას რად ბრძანებ,

ლორდო ბუკინგამ, მარტო მცირე ამაღლითაო.

ბუკინგამი. იმად, ბატონო, რომ ხალხის დიდ სროკაში ზირი
 არ იხსნას მტრობის წყლულმა ახლად განკურნებულმა.
 ეს საშიშია მით უფრო, რომ ჩვენი ქვეყნა
 მისუსტებული არის ჯერედ და უპატრონო.
 როცა კი ცხენებს ასწილი აქვთ მათი სადავე
 და სადაც უნდა გაიწევენ, მაშინ, ვეფიქრობ მე,
 უნდა ვეცადოთ ავიცდინოთ არამც თუ ვნება
 აშკარა, ცხადი, არამედ თვით შიში ვნებისა.

გლოსტერი აკი ხელმწიფემ დაამყარა ჩვენ შორის ძიობა
 და იმ ზიარობას ვადგავარ მე მტკიცედ, ერთგულად.

რაიკრსი. აგრეთვე მეცა და ყოველნი ჩვენგანნიც, გგონებ,
 მაგრამ ეს საქმე რადგან სრულად ახალი არის,
 უნდა კვიდოთ აურზაურს ერთმანეთ შორის,
 რაც დიდ კრებულში უფრო ხშირად მოსალოდია,
 და ამის გამო კეთანხმები მეც ღორდ ბუკინგამს,
 რომ პრინცს ცოტანი მოჰყენენ თანა.

ჰასტინგსი.

მეც აგრე ვეფიქრობ.

გლოსტერი. მაშ აგრე იყოს. აბა, მოდით და გადავწყვიტოთ,
 თუ ვინ გავეზავნოთ ესლავ ლედლოს პრინცის მხლებელად.
 მობრძანდები შენც, ჩემო რძელო, ან შენა, დედაც,
 რომ თქვენი აზრი ამ საკანზედ შეგვატყობინოთ?

(გაღიან ყველანი ბუკინგამს და გლოსტერს გარდა.)

ბუკინგამი. ღუთის გულისათვის მოვასწავნოთ, რომ ჩვენ ორნივე
 არ დაგვრეთ აქა; სხვა, ერთია, ვინც უნდა იყოს.



გზა-გზა კიბოვი, იმედი მაქვს, მარჯვენა შემთხვევაში
პრინცს განვაშორო იმის დედის ნათესაობა
გატაცებული სიამაყით და წინ წავწიო
ამით ის საჩქე, რაზედაც ჩვენ კლავარაკობდით.

გლასტერი. ოჰ, ჩემო ეველაჲ, გამტყუებელი ჩემ განზრახვათა,
წინასწარ მთქმელი, გულთ-მისხნო, ძმაო და თვისო!
მე უკან მოგდეკ ბავშვივითა, შენ გზა მიჩვენე.
ახა, წავიდეთ მალე ღუდღოს, აქ ნუ დავრჩებით.

(გაღიან.)

სურათი III

იგივე ქალაქი. ქუჩა.

(ორი მოქალაქე ერთმანეთს შეეყრება)

- 1 მოქალ. დილა მშვიდობის, მეზობელი, საით ისწრაფი?
- 2 მოქალ. მეც თითონ კარგად არ ვიცი, თუ საით მივდივარ.
ახალ ამბავს არ მოჰყარ ყური?
- 1 მოქალ. დილა, გავიგე,
მეფე მომკვდარა.
- 2 მოქალ. ცუდი არის, ღმერთს გუფიცება,
ძვირად მოჰყვება უკეთესი მეგვიდრე მეფეს.
გაი თუ უფრო აირიოს ჩვენი ქვეყანა,
თავბრუ დაესხას.

(შემოდის მესამე მოქალაქე.)

- 3 მოქალაქე. მეზობლებო, გამარჯვება თქვენ.
- 1 მოქალაქე. ღმერთმა შენც მოგცეს გამარჯვება.
- 3 მოქალაქე. მართალი არის
მეფე ედვარდის საკუდილის ხმა?
- 2 მოქალაქე. დილა, დამტკიანდა.
ჩვენი მფარველი ღმერთი იყოს.



3 მოქალაქე.

არეკ-დარეკს ბერსა კნახათ.

მამ მოკეძმადოთ,

1 მოქალაქე.

მაგას რად ამობ?

იმისი შვილი, ღვთის მადლითა, მეფედ დაჯდება.

3 მოქალაქე.

კაი ქვეყნას, რომელსაც კი ბაგში გნახებს!

2 მოქალაქე.

რადა, კიდრემდე მცირე-წლოვნად იქნება იგი,

რჩევა იმეფებს მის სახელით და როდესაც კი

მოიწიფება, ჩაიბარებს თვითვე მეფობას.

ორთავ დროს, გვონებ, გეჭმნდეს კარგი განწყობილება.

1 მოქალაქე.

აგრე არ იყო ქვეყნის საქმე, როცა შარიუში.

ქანრი მეექვსე, ცხრა თვის ბაგში, მეფედ აჭურთხეს?

3 მოქალაქე.

აგრე არ იყო!! არა, არა, ღმერთმა ხომ იცის,

მაშინ მრავალი ჭეუჭდა გამე დაზნისელი,

ბრძენი მმართველი ამ ქვეყნას. მაშინ მეფესაც

სათნო ჰირები გარს ესვივნენ მფარველ-შატრონად.

1 მოქალაქე.

ბიძეები აკი ამასაც ჭეუჭს: მაშინ მსრდიანაც

და დედიდანაც.

3 მოქალაქე.

ნეტა მარტო მაშიდან ჭეუჭდეს,

ანუ ამ მსრდიან არა ჭეუჭდეს არც ერთი ბიძა;

რადგან ცილობა იმათ შორის, თუ მეფის ხელს

კინ უნდა იყოს, დაასუსტებს ამ ჩვენს ქვეყნას,

თუ ღმერთმა თავის მფარველობა არ გაგვიწია.

მეტად საშიში თეატრები აქვს მთავარს გლახსტერსა

და მძა-შვილნიცა დედოფლისა მედიდურობენ.

გბენი რომ სხვის ხელ-ქვეშ იყვნენ, არ შობდნებლობდენ,

გბებ ამ მსარეს სახუგეშო რამ მოკლენოდა.

1 მოქალაქე.

ტუილად ვმიშობთ, ღმერთი საქმეს კარგად მოაწყობს.

3 მოქალაქე.

ღრუბლიან დღეს წამოსასხამს ისხმენ ჭკვიანნი.

როცა ფოთლები ცვივას იწყებს, ეს ზამთარს გაამტნებს

და მზე რომ ჩავს, კინ არ ელის დაღამებას!

ავდარს უდროოს თან სდექს მედამ სორაგთ სიძვირე.

იქნება კარგად მოხდეს ყველა, თუ ღმერთსა ნებავს,



- მაგრამ არც კელი კეთილს და არც იმის ღირსნი კარნი.
- 2 მოქალაქე. უკელანი შიშში კი არიან; კაცს კერ შეხედებით,
გულ-სეკდიანი არ ელოდეს სასწარულ აშბებს.
- 3 მოქალაქე. ცკლილების წინად მუდამ აგრე მოხდება სოღმე:
რალან ღვთიურის ჩაგონებით ადამიანნი
საშიშ მოძაკალს წინად გრძნობენ, ვით, მაგალითად,
ქარიშხალ-აუდრის წინ ზღვის ზვიართი იწეებენ შფოთვას.
ქს, ღმერთმა ის ჰქმნას, რაც ენებოს. — შენ საით მიხვალ?
- 2 მოქალაქე. ჩვენ მოსამართლემ დაგვიბარა და იქ მიუდევართ.
- 3 მოქალაქე. თქვენთან წამოვალ, მერ იქვე ვარ დაბარებული.
(გაღიან.)

სურათი IV

იგივე ქალაქი. ოთახი სასახლეში.

(შემოდინა იორკის არქიებისკოზოზი, იორკის ახალგაზდა
მთავარი. ელისაბედ დედოფალი და იორკის მთავრის მეუღლე.)

არქიებისკოზოზი. კმ მითხრეს, წუხელ ნორტამპტონში გაუთეკათ.
სტანი-სტრატფორში იქნებიან თურმე ამაღამ
და სვალ, ანუ ზეგ მოვლენ აქა.

იორკის მთავრ. მეუღ. მოუთმენელად
კელი მე ჰრინცსა; იმედი მაქვს, ტანს აიურიდა
მას აქეთ, რაც კი არ მინახავს.

ელისაბედ დედ. სთქვეს, რომ არაო.

ამ ჩემს შვილს იორკს გაუსწვრია თითქმის სიმაღლით.

იორკი. მართალი უთქვამთ, მაგრამ ნეტა აგრე არ იყოს.

იორკის მთავრ. მეუღ. რადა, ბიჭიკო, განა გაზრდა კარგი არ
არის?

იორკი. აი, რად: ერთხელ ვახშამს ეჭამდი და მია რიკერს
ამბობდა, როგორ გავასწარი ჩემს ძმას ტანითა.

„ხო, მართლაცა?“ უმასუხა მია გლოსტერმა,



საქართველოს
წიგნისწამართვის
კავშირის

„გარკი ბაღახი დაბადება, ცუდი მალაღი“

და მეც მას აქეთ ჩქარა გაზრდას აღარა ვნატრობ,
ლამაზ უკავილებს რაგი ღვარძლი სიმალღით სჯობნის.

იარკის მთავრ. მეუღ. შორიშორს მოდის იმის სიტყვა, ვინც კგ
გითხრა შენ

თვითონ მის ბედთან: ისე ნელა და ღოღიანად
იზრდებოდა მის სკე-უბადრუკს უმაწილობაში,
რომ თუ მართალი იყოს კგ, ის იქნებოდა
აღსავსე მადლით, სიკეთითა.

არქიკისკოპოზი.

და არის კიდევ,

ბატონო ჩემო მოწყალეო.

იარკის მთავრ. მეუღ.

ნეტავი აგრე,

მაგრამ დედის გულს მაინც ეჭვი როდი ასვენებს.

იარკი. იცი, ბებია, ნეტავი კგ მომგონებოდა

და მის მასზედ უფრო მარჯვედ გავერადი კბილსა
მის გაზრდის გამო.

იარკის მთავრ. მეუღ. როგორ, ბიჭო, აბა მითხარი.

იარკი. აი როგორა: ბიძახში, აშობებენ, ჩქარა

იზრდებოდა ისე თურმე, რომ ჯერ ორ საათს

არ გაეგლო მის შობის შემდეგ და ღრღნა დაეწყო

პურის ქერქისა. მე კი კბილი ძლივს ორის წლისას

ამომივიდა, განა ეს არ გააზრახებდა?

იარკის მთავრ. მეუღ. შემატყობინე, კგ ვინ გითხრა, ჩემო ლა-
მასო?

იარკი. იმისმა ბიძამ.

იარკის მთავრ. მეუღ. ბიძამაო! იმისი ბიძა

ჯერ შენ ნაშობი არ იყავ, რომ მაწაში იდო.

იარკი. მაშ სხვამ თუ მითხრა; ესლა კვლავ მომიგონია,

ვინ იყო ის სხვა,

ელისაბედ დედ. ჩემად, ებედო, რას მასკილავობ!

არქიკისკოპოზი. ნუ უწყრებით ბავშვს, დედოფალო.

ელისაბედ დედ. ესლა კვდლებსაც

უურნა ასხიათ.

არქივისკონსერვ. ოპ., შიკრიკი!

(შემოდის შიკრიკი.)

რა ამბავია?

შიკრიკი. ის, რომლის თქმაც კი მეზარება, ბატონო ჩემო.

ელისაბედ დედ. როგორ ბრძანდება ჰრინცი?

შიკრიკი. კარგად, მშვიდობით განდევნო.

იორკის მთავრ. მეუღ. მას რასაც ამბობ, სწორედ სთქვი.

შიკრიკი. ზომიერეც გაჭკვალეს

იქ ციხეში ტყვედ ჩასასძელად ღორდ რიგურს, გრეი

და მათთან ერთად თამას კოგან.

იორკის მთავრ მეუღ. კვ ვის ბრძანებით?

შიკრიკი. ბრძანებით მთავართ გლასტერის და ბუკინგამისა.

ელისაბედ დედ. დანაშაული რა აქვთ მერე?

შიკრიკი. მე რაც ვიცოდი,

სულ მოგასხსენეთ, დედოფლო. არა ვიცი-რა

ამაყედ მეტი იმ დიდებულთ დატყვევებისა.

ელისაბედ დედ. ჩვენის ოჯახის ქვე-დამხობის ნიშნები არის:

კეფეს წყნარი შეგლი შეუზერია და მტარკალობა

ურცხვადა ქქელაგს უმანგო ტასტის, უმწეოდ შთენილს.

გზა, გზა მიეცით სისხლს, კაცის-გვლას, ელტან-გრეკას!

ცხადდა ვხედავ, ვით რუკაზედ, ქვეყნის დასასრულს.

იორკის მთავრ. მეუღ. ოპ, რამდენ ერთსა მოვსწრებივარ დაწვე-

ვლილ დღესა,

შეფითის და ჩხუბის დაღ-დანეულს: ჟერ ჩემსა ქმარმა

ტასტის ძეხნასა შეაღია თავის სიცოცხლე

და სშირად ჩემ შვილთ ბედი ზვირთებრ ზე-ქვე ისროდა,—

მერც ეხარობდი მათ გამარჯვებას, მარცხსა ვტიროდი.

როს მოიძოვეს გამარჯვება და შინა-შეფოთი

სრულად კვალ-წმინდად გაქქრა, მაშინ ომი ერთმანეთს

გამარჯვებულთა აუტყეს: მის აღდგა მძაყედ,

სისხლნი და სორცნი გადიმტურნენ სასიკვდილოდა.



ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა

ოჲ, უბუნებო სამუდამო ცოფ-მორეულო,
გადამარჩინე წვეულ რისხვას, მომიღე ბოლო,
მომკალ, რომ საიკვდილს ამ თვალებით ჯღარ ვუყურო.

ელისაბედ დედ. წამოდი, შეილო, სალოცავში. მშვიდობით, დედაკ.
იორკის მთავრ. მეუღ. მეც თქვენთან მოვალ, მომიცადეთ.
ელისაბედ დედ. თქვენ რაღასთვისა?

არქიპისკოპოზი. მალე მოხვდებით, დედოფალო. თან წამოიღეთ
თქვენი საუნჯე და ჭონება, მეც თქვენ მოვართმევთ
ბეჭედს ჩემდამი მოხარებულს. როგორც ერთგულად
გემსახუროთ თქვენ და თქვენს თვის-ტომს, უფალმაც ისე
გადამისაღოს. წაგიძღვებით სალოცავისკენ.

(გაღიან.)



4/1/29
გვ/1/29

მოქმედება მესამე

სურათი I

ლონდონი. ქუჩა.

(საყვირის ხმა. შემოდის უელსის პრინცი, გლასტერ, ბუკინგამი, კარდინალი ბორჩერ, კატესბი და სხვანი.)

ბუკინგამი. კეთილამც იუოს მობრძანება თქვენს სამეუფო ლონდონის ქალაქს.

გლასტერი. მეც მას ვნატრობ, ძვირფასო შვილო, უფალო ჩემთა ზრახვა-ფიქრთა. მნელი მგზავრობა ალბად მოგბეზრდა, მოგეწეინა?

პრინცი. არა, ბიძია, ერთმანეთ შორის კინკლაობამ მგზავრობის დროსა უფრო დამღალა, ამიშფოთა სული და გული. ნეტა ბიძებო ჩვენი სხეულები წინ დამსკედროდენ.

გლასტერი. ოჰ, ტკბილო პრინცი! შენი ნორჩი უმანკოება ჟერ ჟერ მიმსკდარა ამ ცხოვრების ბიწს და სიყალბეს. კაცში შენ არჩევ ჟერედ მხოლოდ გარეგანს სახეს, რაიც არ ჭფერობს სრულიად მის გულის წადილსა. სპიშინი იყენენ ის ბიძანი, ნახვას რომ ნატრობ; შენ იმათ შაქარ-მოყრილ სიტყვებს ტკბილად ისმენდი



და კერძო ამხნეველი გულში გესლსა. ღმერთმა გაშრობა
ისინიცა და იმათ მეზავსნი ცრუ შეგობარნიც.

ზრინცი. ცრუ შეგობარნი კი მამორას, მაგრამ ისინი
ცრუნი არ იყვნენ.

გლახტერი. ხელმოწიფის ბეკ, ღონდონის მერი
მოსაგებებლად მოდის შენთან.

(შემოდის ღონდ-მერი თავის ამალით.)

მერი. ღმერთმა სიმართლე

და დღეგრძელობა მოსცეს თქვენსა უმაღლესობას.

ზრინცი. გამაღობ, ღონდ-მერო, ზგრეთვე თქვენც მადლობას გი-
ძღვნი.

(მერი და იმის ამალი გადიან.)

მე მეგონა, რომ დედაჩემი, ჩემი მამა იორკ
შეგვეყრებოდენ წინ აქამდის. რცხუნოდეს ჰასტინგსს,
რომ წარმაცობს და არ დაგვიხვდა იმის საცნობლად,
მოდან თუ არა.

ბუკინგამი. აი, სწორედ ნატურა შესრულდა,
ჰასტინგსი ოფელში გაწურული მოდის აქ ჩვენთან.

(შემოდის ჰასტინგსი.)

ზრინცი. ოჰ, გამარჯობა, დედაჩემი არ მოდის, მიღორდ?

ჰასტინგსი. დედა-თქვინიცა და თქვინი მამაც წმიდა სალოცავს
რალაც მიწეზეთ შეგუილან. ზრინცს თუმიცა სწადდა,
წამომეფოდეს აქ თქვენთანა მოსაგებებლად,
მაგრამ დედა არ გამოუშვა.

ბუკინგამი. ოჰ, რა უწესოდ,

უმართებულოდ იქცევიან! ღონდ-კარდინალო,
გთხოვთ, რომ წაბრძნდეთ და დედოფალს ჩააგონოთ, რომ
მთავარი იორკ გამოგზავნოს ესლავ თვის მმსთან.



თუ უარი სთქვას, — ჰასტინგს, შენც თან წაჰყევი და ძალის-ძალად გამოგლავნო მის კტვიან სელთ.

კარდინალი. მიღორდ ბუკინგამ, თუ კი ჩემი მწიარ-მეტყველება დაათხოვინებს თავის დედას იარაგის მთავარს, ესდგე იგი აქ განდებ, მაგრამ თუ თხოვნამ არ გასტრას მათზედ, ვერ დავარდევ პტკიცე უფლებას ცით მონატკეულს ღვთივ დალოცვად სალოცავისას. მთელი სამეფოც მომცეთ, მაინც ესეთ დიდ ცოდვას მე ვერ ვიკისრებ.

ბუკინგამი. კე საბუთი უსათუძლოა; ტუილად მისდევ დახვსებულს ჭირვეულობას და წეს-რიგობას. გონიერულად ასწონ-დასწონე: ჰრინცს თუ სელს ახლებ, სალოცავს მით არ შეურაცხ-ქოფ, რადგან უფლება შეკედრების იმას კეუთენის, ვინც საჭიროობს თვის ნაქმნარის მივარველობას, ან ჭეუა უტრის იმდენად, რომ ითხოვოს იგი. ჰრინცს სამფარველო არაფერი მოუქმდნია, არც უთხოვნია მივარველობა და ჩემის აზრით, ვერც შეაფარებს თავს სალოცავს. თუ გამოიყვანო, თქვენ არ დაარდევთ არც ძველ სიგელს, არც ძველს უფლებას.

გამიგონია ვაჟი-კაცი შეკედრებული, მაგრამ ბავშვების შეკედრება ჰირველად მესმის.

კარდინალი. მიღორდ, კე შენი აზრი სჯობნის ამ ჩემს მსჯელობას. —

ღორდ ჰასტინგს, გნებავს ჩემთან ერთად წამოხრძახება?

ჰასტინგსი. დიაღ, ბატონო.

ჰრინცი. ბატონებო, გთხოვთ დახმაროთ, რაც შეიძლება. —

(გადიან კარდინალი და ჰასტინგსი.)

მია გლასტერ, ერთი მითხარი, თუ მოვა ჩემი ძმა, სად დავდგეთ ჩემს კურთხევაზედ, —



გლახტერა. სადაც ენებოს ეოფნა თქვენსა უმაღლესობასა
მაგრამ თუ რჩევას უმაღლესისა მიაღებ ნემგას,
ორს ანუ სამს დღეს მოისვენე ჟერ ტოუერში,
მასუკან სადაც დაინახო სამჯობიანაროდ
სამართლისათვის და დროს კარგად გასატარებლად.

პრინცი. უჰ, ტოუერი მძვინვარეობს მე ფრად, ექვსჯერ მეტად.

ის იუღიოს კეისარმა არ ააშენა?

ბუკინგამი. იმან დაიწყო აშენება, სელმწიფის შეიღო,
მაგრამ შემდეგში რამდენჯერმე ახლად ააგეს.

პრინცი. კე ქალღღებში სწერია, თუ გადმოუციათ
მხოლოდ სიტყვითა საუკუნით საუკუნემდე?

ბუკინგამი. ქალღღით ვიცით.

პრინცი. მე ვგონებ, რომ არც ჩაეწერათ,
არ გაჰქრებოდა წელთა სვლაში მაინც სამართლე,
შთამომავლობას თუნდა ქვეყნის დასასრულამდე
შთამომავლობით გადასცემდენ.

გლახტერა. (იქით.) ამბობენ, ესეთს
ტეუ-მოსწრებულს ბაჟს თვის წერა გადაიტანსო.

პრინცი. რას ამბობ, ძა?

გლახტერა. მე მას ვამბობ, დაუწყებლად
სასკლის გათქმა შეიძლება. (იქით) ესრედ კათ ძველმა
მოარაკმა ორჯობობით ვიღაზარაკო.

პრინცი. აი, კეისარს თვის სასკლი ღირსად გაუთქვამს,
მხნედ უზრუნვია ტეუ-გონების შესამენად
და ამ გონებას იმის სამხნე უკვდავ-უქმია.
სიკვდილსაც სკლი ვერ უსლავ და ეს ძლიერი
ქვეყნის დამხრობი დღესაც კიდევ სასკლით ცოცხლობს.—
ბუკინგამი, იცი, მე რას გეტყვი?

ბუკინგამი. რას, ბატონო?

პრინცი. დაკავებება თუ დამცაღდა, მაშინ საფრანგეთს
ძველის უფლებით დაუბრუნებ, ან თავს შეაკლავ
და ჯარის-კაცის ღირსებაზედ გავცელი შეფობას.



გლახტერი. (იქით.) ადრე გაზაფხულს უკან მოსდევს მოგზაობა.

ბუკანგაში. მაღლობა ღმერთსა, მობრძნდება მთავარი იორკი.

(შემოდის პატარა იორკი, თან მოსდევენ კარდინალი და ჰასტინგსი.)

პრინცა. ოჰ, რინარდ იორკი, როგორა ხარ, ძვირფასო ძმა?

იორკი. კარგად, ხელმწიფე, — ეს არ უნდა გიწოდო მე შენ?

პრინცა. ჩვენ ორივესთვის საკვლასოდ იგი აღარ გეყავს,
ვისაც ხელთ ეყურა ხელმწიფება, რამაც დაჭკარვა
თვის ბრწუნივალება მის სიკვდილით.

გლახტერი. ჩემო მძისწულო,

შატარა იორკი, როგორა ხარ?

იორკი. კმაღლობ, ბიძა. —

რომ მითხარ, ძაღვ იზრდება რუდი ბაღსა,

აი ჩემი ძმა ჩემსედ უფრო ძალადი არის.

გლახტერი. ჰო, ძაღვლიან.

იორკი. მაშ ჩემი ძმა რუდი ყოფილა.

გლახტერი. ჩემო ღამისო მძისწულო მე ეგ როდი შეთქმის.

იორკი. მაგას ახმებ, მე კი გინდა, რომ მაწყვინო?

გლახტერი. მბრძნებელია ეგ ჩემი, ჩემი ხელმწიფე

და შენ კი ისე გეშურობი ვით თვის-ტომს, ნათესავს.

იორკი. ძა, მომეცი ეგ ხანჯალი.

გლახტერი. რა ხანჯალსა მთხოვ,

ჩემო შატარა? მოგცემ დიდის სიამოვნებით.

პრინცა. როგორ იჭნება მთხოვრობა?

იორკი. მერე ეისა ვთხოვ!

ჩემს კეთილ ბიძას, — გიცი კარგად, რომ არ დამიჭერს,

ან მაგისთანა მცირე რამ რა დასაჭერია.

გლახტერი. მე კიდეკ უფრო დიდ საჩუქარს მივცემ ჩემს მძისწულს.

იორკი. კიდეკ უფრო დიდს? ეგ უთუოდ ხმალი იჭნება.

გლახტერი. უფრო მსუბუქი ყოფილიყო, ხმალსაც მოგცემდი.

იორკი. მსუბუქ საჩუქარს, როგორც გატუობ, ამეტკებ მხოლოდ

და კუხნები ციკს უარსა ძვირფასის მთხოვნელს.



გლასტერი. ხმალი ძალიან მძიმე არის და კერა ზიდავს გერმანული
ხელმოწერა

იორკი. ადვილად უზიდავ, უფრო მძიმეც რომ იყოს კბე.

გლასტერი. გამკვებინე, მართლა მოხუკ ხმალს, ჩემო ზაწია?

იორკი. დიაღ, რომ ისე დაგიმადლო, როგორც მიწოდებ.

გლასტერი. რაო, არ მესმის.

იორკი. რომ ზაწია მადლობა გითხრა.

ზრინცი. ჩემს ძმას ბაასში კინკლაობა ჩვეულებად სჭირს,
უნდა სულ-გრძელად აიტანო კე, ბიძაჩემო.

იორკი. აძიტანოს, თუ ამიუყანოს? ძია, ჩემი ძმა
ორთავე დაგვცინის, შენცა და მეც. მაიმუნივით
რომ შატარა ვარ, გუუხნება მსრითა ზიდუო.

ბუკინგამი. (ჩუმად ჰასტინგსს) კით ეშმაგურად ღაჰარაკობს: თვის
ბიძისადმი

მძულვარებისა დასაფარად კითომ ოხუნჯობს
და მოხდენილად თავის თავსკე მწარედ დასცინის.
ხორხ ბაჰშეს ამდენი სიმხსვიდე კინ მისცა ნეტა!

გლასტერი. ბატონო ჩემო, მობრძანდები? მე და ბუკინგამ
წავალთ კხლავკე დედათქვენთან და ტოუერში
კოხოკოთ, რომ დაგვისჯდეთ.

იორკი. ტოუერში მიდისარ განა?

ზრინცი. აგრე ნებულობს ბიძა-ჩემი, ჩემი მიფარველი.

იორკი. მე ტოუერში მოსკენებით კერ დავიძინებ.

გლასტერი. რატომ, რისა გეშინიან?

იორკი. ძია კლარენსის

მრისხანე სულის. იქ მოჰკლესო, ბეზამ მითხრა.

ზრინცი. მკვდარ ბიძებისა მე არას დროს არ მეშინიან.

გლასტერი. არც ცოცხლებისა, იმედი მაქვს.

ზრინცი. ოჰ, ისინი რომ

ცოცხლები დარჩნენ, არაფერს არ შეუუშინდები. —

ახა, წავიდეთ. მძიმე ფიქრით შემოფოთებული
მათს ბედ-იღბალზედ ტოუერში მოკდივარ აგერ.



(საყვირის ზმა: გალიან ჰრინდი, იორკი, ქასტინგსი, კარდინალი
და სხვანი.)

ბუკინგამი. მილორდ, მე კეთილშობილი ამ პატარა და უბედეს იორკის
აღზდად თავისი გველი დედა წააქეზებდა
ასე უწყალოდ რომ დაცინის და შეურაცხ-გუოფის.

გლასტერი. უეჭველია, უეჭველი. მეტად ღაჭღაჭა
ბავშვია ეგა, თან თამაში, ცელქი, ოსურვი,
ჭკვიანი, ზგავი, — დედა არის თავით ფეხმდე.

ბუკინგამი. ეჰ, რაც უნდა ჰქნან. — აბა, აქეთ მოდი კატესბი,
შენ წელან მტკიცე ფიცი მოგვერ, რომ შეგვისრეულო
განზრახვა ჩვენი და დაჭფარო, რასაც განცნობებო.
გზავნე უოველი ჩვენი აზრი შეგატუობინეთ.
როგორა ჭეჭირობა, არ იქნება ადვილი განა,
ლორდი ქასტინგსი უილიამ ჩვენსკენ მოვამხროთ,
და გავენდოთ, რომ გვსურს ამ დიდის მთავრის აუგანა
ბრიტთა კუნძულის სასელოვან სამეფო ტახტზედ?

კატესბი. მამის გულისთვის ისე უყვარს და ერთგულობს ჰრინდს,
რომ არას დროს მის წინააღმდეგს არ განიზრახავს.

ბუკინგამი. აბა, სტენლიზედ რადას იტყვი, კერძ მას მივამხრობთ?

კატესბი. ის ეველთფერში ქასტინგსს ბამაკს.

ბუკინგამი. კარგი კგ კმარა.

ჩემო კატესბი, შენ წადი და ლორდ-კანცლერს ქასტინგსს
ჩვენს აზრზედ სიტყვა ჩამოუგდე, როგორც შორეულს
საგანს რაზედმე; ხან, როგორ მიიღებს იგი.

სთხოვე აგრეთვე, რომ ვეირგინის კურთხევისათვის
მოვიდეს სვალა ტოუერში. თუ შეამჩნიო,

რომ იბარებდე, წააქეზე, წინ გადუშალე

უოველი ჩვენი საბუთები და თუ დაატო

უარზედ დგომა, გულ-ციუობა, ტყუილის სიმძიმე,

შენც ატრე დახვდი, სიტყვა მოსჭერ და მსწრაფლ განცნობე,

თუ რა წადილი უდევს გულში, რადგანაც სვალე

ორგანიზაციები ვერც ფრიად მძიმე საქმისთვის, სადაც შენც უნდა ხომ დაესწრო.

გლასტრი. ჩემ მსგავსად ღორდი ჰასტინგსი მოაციტს, უთხარ, კატესბი, რომ იმის ძეგლსა და საშიშ მტრებს სულ ერთიანად სვალე უმთვრეტის ციხეში სისხლს გამოუშვებენ. მოაგონე, რომ კარგ ამბებით განარბულმა ტებილად აკოცოს ერთხელ კიდეც შოურის ცოლსა.

ბუკინგამი. აბა, კატესბი, შენ ამ საქმეს მარჯუდ მოექმდ კატესბი. გეცდები, რაც კი შემიძლიან, ორთავე გარწმუნებთ.

გლასტრი. დამინებამდე ხომ გპაწნობებ?

კატესბი. დიად, ბატონო.

გლასტრი. კროსბის მოედანს გენახავ მას ჩვენ ორივეს ერთად.

(კატესბი გადის.)

ბუკინგამი. რა გქნათ, მთავარო, თუ შევამჩნევთ, რომ ღორდი ჰასტინგსი,

არ ემსრობა ჩვენს შეთქმულობას?

გლასტრი. როგორ თუ რა გქნათ!

გაგადებინათ მისეუ თაჳი. — არ დაგავიწყდეს, როცა მე შევედ გეგურთხები, მაშინ მომთხოვე წირფორდთ საგრაფო სრულის თაჳის მოძრაჳ ქონებით, რასაც ჩემი მძა შევე წელლობდა.

ბუკინგამი. მე მოგატონებ

მაც დაპირებას.

გლასტრი. შეგისრულებ მეც სიაშითა.

ადრე ვიკახშმოთ აბა, ერთი, რომ კასშასს შემდეგ ეს შეთქმულობა მოკინელოთ საზრდოსთან ერთად.

(გადიან.)



სურათი II

ლორდ ჰასტინგსის სასახლის კარმიდამო.

(შემოდის შიკრიკი.)

შიკრიკი (კარებს აბრაზუნებს). მიღობრდ, ბატონო!
ჰასტინგსი. (გარედან). ვინაა სარ. მანდ, ვინ არახუნებ?
შიკრიკი. ღობრდ სტენლის კაცი.
ჰასტინგსი. რა დრო არის?
შიკრიკი. მალე ოთხს დაჭკრავს.

(შემოდის ჰასტინგსი.)

ჰასტინგსი. რაო, მიღბ თუ დაჭკრავა ამ გრძელ ღამეებში
შენმა ბატონმა?

შიკრიკი. მომისძინეთ, მაინც აგრეა.

ჟერ მოკითხვასა მოახსენებს თქვენს ბრწყინვალეობას...

ჰასტინგსი. მერე კიდე რას?

შიკრიკი. მერე გითვლით, რომ ამ ღამეში
სიზმრადა ნახა, ვითომ ტახმა თავიდან იმას
ზუნი მოჭელიდა. ამას გარდა ორი კრებაა,
დღეს დანიშნული და ერთსეუდ რაც გადაწყდებაო,
იგი გვანახებს მეორესეუდ დასწრებას ორთავე, —
და აი მგზავნის თქვენთან, მიღობრდ, რომ, თუ ინებებთ,
ცხენსეუდ შებრძნდეთ და ესლავე იმასთან ერთად
ჩრდილოეთისკენ გაეშუროთ. ესრედ აგრდებათ
ხიფათი, რასაც წინადა გრძნობს იმისი გული.

ჰასტინგსი. წადი, დაბრუნდი შენს ბატონთან და დაამშვიდე.
ცაღ-ცაღკე კრების ნუ ეშინის: ერთს დავესწრებით
მე და ის თითონ და მეორეს ჩვენი კატესბი,
ჩემი ერთგული მეგობარი. იქ ჩვენ შესახებ



რაც გარდაწმდება, ყოველივეს მალე შევიტევო. უთხარ, კე შიში ფუფუა-თქო და უსაფუძვლო; და რაც კი სიზმარს შეესება, მე დიდად გვეირობ, რომ მოუსვენარ ძაღლის ნაყოფს ის ვუფროს ათხოვებს.

კაცი თუ ტანსა გაქცევა, რაიც მას არ სდევს, მხეცსა კე უფრო წააქეზებს გამოსადგომად, თუმცა იქნება უკან დევნას სულ არ ჭთიქრობდა. წადი, უთხარი შენს ბატონს, რომ ადგეს და ესლავ ჩემთან მოვიდეს, — ტოფურში ჩვენ ერთად წავალთ.

და თითონ ნახოს, ტახი როგორ ტეხილად მოგვეპურას.

შეკრავი. წავალ, ბატონო, მოვასსენებ თქვენს ნაბრძნებსა.

(შეკრავი გადის. შემოდის კატესბი.)

კატესბი. მრავალ კარგ დიდას გუნატრი თქვენს ბრწყინვალეებსა.

ჭასტინგსი. ჩემო კატესბი, გამარჯვება! ადრე ამდგარხარ.

რა ამბავს მეტყევი ამ ძელეკარე სახელმწიფოსას?

კატესბი. მართლა რომ, ძილორდ, იგი ფრიად ცუდად ირუება,

და წელშიან ვერ გამაგრდება, ვადრემდე რაინად

არ დაიშენებს თავს გვირგვინით.

ჭასტინგსი. რა გვირგვინს ამბობ,

ნუ თუ საძეულოს?

კატესბი. სწორედ, ძილორდ.

ჭასტინგსი. — უწინამც თავი

ტანხედ ნუ მშობა, ვადრე ვნახო მეფის გვირგვინი

დადგმული ეგრე უკადრისად. განა გგონია,

ცდილობს შოვნასა?

კატესბი. დამიჯერე, ძაღლიან ცდილობს,

იმედინა აქვს შენა, როგორც შირველ მომხრესი

და ვილდოს ნაცვლად გაცნობებს ამ საამო ამბავს,

რომ დედოფლისა ნათესაებს, შენს უწყალო მტრებს

დაესვენ შიშივრეტში ამოსწევეტენ.



ჭასტიანგსი.

მართლაც ისინი

მუდამ ყოფილან ჩემი მტრები და იმათ საკვდად მძიმედ
მე არ ვაგლოვებ. მაგრამ მაინც თუნდ ეხლაჲ მომკლან,
არ გუღალატებ ჩემის მეფის ნამდვილ მემკვიდრეთ
და არ მიგვერძებ რაინადს ტახტსა.

კატესბი.

ღმერთმა ყოველთვის

ამყოფოს თქვენი ბრწყინვალეობა მაგ კეთილ ჯარსად.

ჭასტიანგსი.

არა და, კარგი ის არის, რომ ვინც მძულვება
ჩემს სელმწიფესა, ეხლა იმათ დასასრულს ეხებაჲ, —
წელიწადიც კი არ მეუფა სასანილოდა.

იცი, კატესბი, ვიდრე ორი კვირა გაივლის,
მაგვ მწარე გზას გავუყენებ ბევრს კიდეც სხვასაც,
რომელთ თვის ბედი ჯარითაც კეს გამოუსახავთ.

კატესბი.

სამაგლობაჲ, ოჲ, საკვდილი, ბატონო ჩემო,
როცა მისად არ ხარ და არც ელი.

ჭასტიანგსი.

საშინელება

არის მართლაც. აი ზეი კე დაემართათ
რევერსს, კოვანს და გრესს; სხვებსაც კეკე მოუვით
ზოგაერთებსა, უნებლად რომ ჭკონიათ თავი,
ისე როგორც ვით მე და შენა, და მიხეუდნიც,
შენც კარგად იცი, ჭყავს ბუკინგამს და მთავარ რაინადს

კატესბი.

ორნივე შენ პატარს გნებენ დიდსა. (იქით.) და მაგ შენ თავსა
საპატრიოტად ხადის ეურზედ ძელს ატეკენ.

ჭასტიანგსი.

კე კარგად ვინც და ღირსადან დაემისხურე. —

(შემოდის სტენდი.)

მშვიდობა შენი, კარგად ყოფნა. აბა, რა უყავ
სატახე შუბი? გეშინიან, რომ ტახს არ შესვდე
და უსატურელოდ გამოდიხარ?

სტენდი.

დილა მშვიდობის.

მიღორდ კატესბი, გამარჯვება. — შენ ხუმრობ, მაგრამ
კვარს ვეფიცავ, სულაც არ მომწონს ეს ცალ-ცალკე კრება.



ჰასტიცისი. მილორდ, მე შენზედ ეს სინოცხლე ნაკლებ ზრდასა და აწოდეს არ უოფილა ისე მერყვასო.
უფიცავ ას ჩემთვის, ვით ღლეს არის. როგორ გგონია, ჩვენს თავს უნებლად რომ არ გგრძნობდე, ასე ვიქნები კმაყოფილი და მხარუდი?

სტენლი. როცა ის ღორდნი, ჰომიდერეს რომ სსკდან, ღონდონიდან გავიდენ, მათაც თავი უნებლად გგონათ და მხარულობდენ.
ან კი რა სჭირდათ საშინაო! მაგრამ ხომ ესედავ, როგორი ბნელი დღე დაუდგათ; არ მომწონს სწორედ ესე უნები მტრობის ჩენა, წინლის ჩაყვას.
ღმერთმა ინებოს, რომ ეს შიში ტუფილი იყოს.—
ახა არ წაკვლით ტოურში? გათენდა კიდეც.

ჰასტიცისი. აქ მო, რა გითხრა.—იცი, მილორდ, იმ ვაჟბატონების, შენ რომ აწობდდი, ღლეს თავები დააურკენეს.

სტენლი. იმათ შეკმდოთ თავი ტანზედ უფრო ზარ-ხათლად ეტარებინათ, ვიდრე თავზედ ქუდი მათ მსახუროს.
ესლა კი წასვლის დროა, მილორდ.

(შემოდის გზარი.)

ჰასტიცისი. ამ კაბ კართან.
სათქმელი რამ მაქვს, თქვენ წინ წადით.—

(გაღიან სტენლი და კატცისი.)

როგორ გიკითხო,

ამ ქვეყანაში როგორ სცნოვრებ?

გზარი. კარგად, ბატონო,
იმით უფრო, რომ ღირსი გახსნი თქვენგან კითხვისა.

ჰასტიცისი. მერ ესლა უფრო კარგადა ვარ მსმინდელზედა,
როცა აქვე ერთხელ შეგხვდით. მაშინ დედაოფლის
მომხრე, თვის-ტომთა ჩაგონებით მე ტოურში



ტუქუდა მგზავნიდენ; და დღეს ვია, ჩუმიდ განცობებ
ზრავის უთხრა, — იმჟ ჩემს მტრებს თავები დასწრეს
და მეც უკეთესი გუნებაჲდ არსად ეყოფილვარ.

გზირი. ნუ მოგიშლათ ეგ ჭეიფი ღმერთმა ნურა დროს.

ხასტიანგსი. მადლობელი ვარ. აჰა, ეს შენ ჩემ სადღეგრძელოდ.

(ქისას გაღუგდებს.)

გზირი. შინაცხლოს ღმერთმა თქვენი თავი.

(გადის. შემოდის მღვდელი.)

მღვდელი.

ოჰ, კარგად შეგსკდით.

შისაზრის დიდად თქვენი სალვა, ბატონო ჩემო.

ხასტიანგსი. სულით და გულით გმადლობ, მღვდლო. მართლჲ შე
შენთვის

იმ დღეჲსადელი საწირავი არ მომიცია.

შაბათს მოდი და ჩაგაბარებ.

(შემოდის ბუკინგამი.)

ბუკინგამი.

ლორდო კანცლერო,

მღვდელთან ბასით შეეჭრევი. მღვდელი სჭირათ

შენს მეგობრებსა, აჲ ჰომოფრეტის ცახეს რომ სხედან,

შენ ვა ჟერ, კვანებ, არა გაჭკს-რა საჯლსარებო.

ხასტიანგსი. მართლჲც, როდესაც შევეყარე ამ წმიდა მამას,

მეისეჲ ისინი გამახსენდენ. ტოუერს მისვალ?

ბუკინგამი. დიაღ, მივდივარ, მაგრამ დიდხანს იქ გერ კაუოუნებ

და შენზედ ადრე წამოვალ მე.

ხასტიანგსი.

უეჭველია,

რადგან სადილად მე იქ ვრჩები.

ბუკინგამი. (იქით).

და კასშმადაცა,

თუმც შენ ეგ აზრად არ მოგსვლია. — აბა, ბატონო,

წამობრძანდები?

ხასტიანგსი.

მიბრძანდი და მეც გაახლებით.

(გადიან.)

სურათი III

პომფრეტის ციხის კარმიდამო.

(შემოდის **რატკლიფა**. **დარაჯებს რაგერს** და **ვოგან** დასასჯელად მოჰყავთ.)

რაგერსი. სერ რიჩარდ რატკლიფ, ამის გეტყვი, რომ დღეს შენ
ნახავ

ერთ ჭკეშევრდომის საკვდილს მისის სიმართლისათვის,
ერთგულობისთვის, თავის კალის შესრულებისთვის.

გრეი. შოროს ღმერთმა პრინცი მაგ თქვენ ურჯულ სროვას,
ბრბო შეკრებილხართ დაწყევლილთა სისხლის-მოკვლელთა.

ვოგანა. ერთ დროს ამ საქმეს თქვენც იგლოვებთ ვაი-კუთა.

რატკლიფი. თქვენის საცოცხლის ჟამმა განულო, ჩქარა, კარგია.

რაგერსი. ოჰ, პომფრეტ, პომფრეტ, ციხეკე სისხლში ამოკლებულა,
დადებულათთვის სახედშვო და საკაღალო!

მაგ შენ ცოდვიან კედლებ შიგნით რიჩარდ მუარე

ცოცხლივ აჭკაფეს ასო-ასო და აი ჩვენცა

ესლა უმანკო სისხლს გასმევთ, რომ შენმა დანახვამ

უიმისოდაც საზიზღმა კაცთ თრთოლვა მოჰგვაროს.

გრეი. ჩვენ აგვისრულდა მარგარიტას წვეკლის სიტყვები,
ქასტინგსს, თქვენ და მე რომ მოგვმართა იქ დასწრებისთვის,

როცა იმის შვილს ჩასცა ღანა რიჩარდ გლოსტერმა.

რაგერსი. იმან რიჩარდიც ხომ დასწევლა, თან ბუკინგამი,

ქასტინგსიც მათთან. შეუსრულე წვეკლა მათკედაც,

მაღალო ღმერთო, როგორც ჩვენზედ უსრულეს დღესა!

მაგრამ ჩემს დას და იმის შვილებს აკმარე ჩვენი

უბრალო სისხლი, ღანთხუელი უსამართლობით.

რატკლიფი. ნუღარა დგახართ, დრო გავიდა.

რაგერსი.

მოდი აქ, გრეი,

ვოგან შენც მოდი, ერთმანეთსა გადაკეცოთ;

მშვიდობით, კიდრე ცაში ერთად ჯერ შევიყრებით.

(გაღიან.)

სურათი IV



ლონდონი. დარბაზი ტოუერში.

(სტოლთან სხედან ბუკინგამი, სტენლი. ჰასტინგსი, ელის ებისკოპოზი, რატკლიფი, ლეველი და სხვანი. ხელქვეითი მათ მსახურობენ.)

ჰასტინგსი. ჩვენ შევიყარეთ, დიდებულნო, დღეს იმისთვის, რომ წესი გვიჩვენოს კურთხევის დაკბოფოთ.
ახა, გთხოვთ, ბრძანოთ, რა დღეს გინახათ ტახტზედ ასვლისთვის?

ბუკინგამი. მან დღესასწაულს რაც კეთების, ეკელა შინა არის?
სტენლი. უოკელისფერი, მხოლოდ კადა უნდა დაგინახოთ.
ელის ებისკოპოზი. მას ჩემის აზრით, სჯულ რომ მოხდეს, კარგი იქნება.

ბუკინგამი. ღორდი-მფარველი ამ საგანზედ ნეტა რას ჭეშმარიტებს, — არავინ იცის? ვინ გვეტყვის მის გულის-მასუსსა?

ელის ებისკოპოზი. შენს უკეთესად, კგონებ, არვის ეცოდინება.

ბუკინგამი. ჩვენ ერთმანეთის სახე ვიცით, გულის-მასუსს კი იგი ჩემსასაც ისე იცნობს, როგორც მე თქვენსაც და მეც იმის გულს ისე, როგორც თქვენ ჩემსას იცნობთ.
ღორდ-ჰასტინგსი, თქვენ-კი ერთმანეთი ძალიან გიყვართ.

ჰასტინგსი. დიდად მწყალობს თუმც მთავარი, მადლობა ღმერთისა, მაინც იმისი აზრი მეფის კურთხევის გამო არ შემიტყვია და არც თითონ უნებებია თავის სურვილის გამჟღავნება. მაგრამ დრო-ჟამი თვით თქვენ დანიშნეთ, დიდებულნო, მეც ჩემს სამს მოგცემთ მთავრის სასჯელით, რასაც კგონებ ის არ უარ-ჭეოფს.

ელის ებისკოპოზი. აი, მთავარიც მობრძანდება თითონვე აქა.

(შემოდის გლესტერი.)

გლესტერი. დილა მშვიდობის, ნათესავნო და დიდებულნო!
დიდხანს მეძინა მე დღეს, მაგრამ ვიმედულობ,



ჩემი არ უოფნა კეთილს აზრს არ დააბრკოლებდა და უჩემოდან ჟეროვანს გზას ამოირჩევდით.

ბუკინგამი. მისწრებასავით ესლავ რომ არ მოსულაოვით, ღორდი ჭასტინგსი აბარებდა თქვენ მავარად გურთხევის გამო ხმის მოცემას.

გლასტერი. ნებაცა ჭქონდეს: ჭასტინგსი კარგად იცნობს ჩემ გულს, უყვარვარ კიდევ. — მართლა შენს ბაღში, ჩვენო ელას ეპისკოპოსო, ამას წინადა რომ ჭლდობრნს ვიყავ, მე შევაძწნე ძალიან კარგი მარწყვი; გთხოვ, რომ მოატანო.

ელის ეპისკოპოსი. ესლავ მოგართმევთ სიხარულით.

(გადის.)

გლასტერი. ბუკინგამი, შენთან სათქმელი რამ მქვს. —

(განხედ გაიყვანს.)

ჩვენს საქმესად გამოუცდაი კატებსი ჭასტინგს; ჭირვეულობს თურმე და ცხარობს, ამბობს, თავიც რომ მომკეთონო, გერ დაუთანხმდება, ჩემს ბატონიშვილს, — მოწიყებით ასე უწოდებს — ინგლისის ტახტი წაართვანო.

ბუკინგამი. გადით აქედან პატარა ხანსა და მეც მოვდევთ.

(**გლასტერი** გადის, უკან **ბუკინგამი** მისდევს.)

სტენლი. ჟერ კიდევ მაინც, დღესასწაული გერ დაგნიშნეთ, თუ როდის იყოს. ხვალანდელი დღე არ ივარგებს, მეტად ახლოა და აი თვით მეც გერ მოვასწრობ მომზადებასა ისე, როგორც მსურს, გურთხევის დღეს თუ არ გადავდებთ.

(**ელის ეპისკოპოსი** უკან დაბრუნდება.)

ელის ეპისკოპოსი. მთავარი გლასტერ სად ბრძანდება? კაცი გა- როგორც მიბრძანა, ბაღში მარწყვის მოსატანად.

გზავნი



ჭასტინგსა. დღეს კარგ ჭეიფზედ, მხიარულად ბრძანდება იგია.

საამო ფიქრი დასტრიალებს ალბად რაღაცა,

რაკი მშვიდობის დილა ისე გულშით გვინატრა.

კაცს ვერ ვპოუბთ, რომ მაგასვით უძნელდებოდეს

დაფარვა თავის სიუყარულის და სიბუდილის.

მაგის წადილი სწანს სახეზე, ვით ხელის გულზე.

სტენდი. დღეს რა დანატე, რას ნიშნავდა იმისა სახე?

ჭასტინგსა. ის დანატე, რომ კმაყოფილი არის ეველასკან,

თორემ თვალეში შეკამწყდით.

(**გლასტერა** და **ბუკანგამ** დაბრუნდებიან.)

გლასტერა.

ერთი მითხარით,

ვაეისრებ, ვითომ ვუღალატე ედვარდის საწოლს,
გავრეენი ჩემ ქალსა, ღამაში სასეს დაგუსხანირებ;
ფარად დაკადებ სამარცხვინო ბუშის სახელსა,
ოღონდ მოსისსლე დანა იმას ნუ შეეხება

და უარსა ვუთოვ ედვარდისგან ჩამომავლობას.

რაჩარდი. ნუ არცხვენ ზრე, იგი მეფის სისხლისა არის.

ელისაბედ დედ. უარ-მიეყვია, ეგე მეტქი, ოღონდ იცოცხლოს.

რაჩარდი. უფრო იცოცხლებს როგორც მეფის შთამომავალი.

ელისაბედ დედ. რამ დაუნოცა ძმები, თუ არ მეფის-ძეობამ?

რაჩარდი. იმათ შობის დროს კეთილ გარსეკვავთ ხელი უშალეს.

ელისაბედ დედ. არა, ისინი ამოხოცეს ბოროტ მეგობართ.

რაჩარდი. გარდუვალა ბედის-წერა.

ელისაბედ დედ. დაად, ოღონდაც,

როს ბედის-წერას განაგებს თვით უწყალობა.



წილად სვდებოდათ ჩემ ჰაწიებს მშვიდი სიკვდილი
თუ მოგვენოდა მადლი მშვიდის ცხოვრებისა შენ.

რაინარდი. იმ გვარ კილოზედ ღაზარაკობ, თითქო მე თითონ
ჩემი მძის-წუღნი დამესოცას.

ელისაბედ დედ. ტყუილი არის?

ბოძამ წარსტაცა იმით შებვა, ნათესაობა,
თავისუფლება, სახელმწიფო, თითონ სიცოცხლე.

ვისმა ხელმაც კი ნაზი გული გაუზო იმით,

გე შენი თავი ხელ-მძლევანელად ეულებოდა;

უთუოდ მკვლელის დანა ჩლუნგი, კბილ-ჩაცვინული

მაგ შენს ქვის გულზედ უნდა ბასრად გაღესილიყო,

რომ ჩემ ბატონების გულ-მუცელში დაეტრიალათ.

ეს არის ძელი, სატანჯველის სანგრძლივ ტარება

გახვეკვს, გავდუნებს, თორემ ისე როგორღა უნდა

ვასსენო შენთან ჩემი ბავშვნი, რომ არ ჩაგჭიდო

ზღვის ღრუხასავით მაგ თვალებში აი ეს ფანხილნი

და თავგახწირვით მიღწეული სიკვდილის ყურეს

მცირე, უანძო, უიაღწო ბედგარულ ნაკვირვით

მაგ კლდოვან მკერდზედ არ დავიმსხვრა ნაკუწ-ნაკუწად!

რაინარდი. ისევე მწყალობდეს, ჩემო რძლო, მე ბედის-წყრა

და გამიმარჯვდეს ამ საშიშარ სისხლის ბრძოლაში,

გით მსურდეს შენთვის და ყოველთა შენანათათვის

უფრო სიკეთე, გიძრე ვნება მიჭმნია რამე.

ელისაბედ დედ. რაღა სიკეთეს მალავს ზეცა იმისთანასა,

რომ მანუგემოს ჩემს ყოფაში იმის მოცემით?

რაინარდი. შენის შვილების წინ-წაწევას, ზე ამაღლებას.

ელისაბედ დედ. დიად, იქ ასვლას, თავსატრელი სადაც სძვეს დანა.

რაინარდი. არა, იქ ასვლას იმ ღირსეულ, მძლავრ სიმძლევმდე,

სადაც ისახვის მეფის სახით ქვეყნის დიდება.

ელისაბედ დედ. აბა, მიაბე, გამიჭარწყულე ეს სატანჯველი,

მითვისარ, რა სახელს; რა ღირსებას, ან რა ჰატავსა

დაუთმობ ვისმე შენ ჩემს ნაშობს?



რჩინარდი.

გუგელას, რადგან იგი მისივე

დაიღ, თვით ჩემს თავს, უოკელითერს კაძლეკ ერთ შენ
შვილს;

მხოლოდ მდინარე ლეთას მიეც კგ გულის-წყრობა
და დაივიწყე უოკელიკე ის ბოროტება,
რადიკ ვითომ მე მექმნას შენთვის.

ელისაბედ დედ.

მას მოკლედ მოსტერ,

რომ კიდრე კეთილს წარმოსთქვამდეს კგ შენი ენა,
არ გასწოროს გესლმა, სმა უცრად არ ჩაგოწევიტოს.

რჩინარდი. გაიკე ეს, რომ გულისთ მიეყვარს შენი ასული.

ელისაბედ დედ. ჩემის ასულის დედის გულისაგ ნამდვილად სჯერა.

რჩინარდი. რაო, რა სჯერა?

ელისაბედ დედ.

ის რომ გულისთ გიყვარს შენ იგი,

როგორც გიყვარდა მისნი ძმანი და ამისათვის
უნდა მადლობა შემოგწირო მე გულისთადი.

რჩინარდი. ნუ ჩქარობ აგრე, სხვაფერე ნუ სსნი ჩემ განზრახვას;

აშკარად ვამბობ, მიეყვარს მეთქი შენი ასული
და ინგლისელთა დედოფლად მსურს იმისი დასმა.

ელისაბედ დედ. მეფედ მას ვილა ეუოლებ?

რჩინარდი.

რა საკითხია,

ის, ვინც დედოფლად დასვაძს ტახტზე.

ელისაბედ დედ.

როგორა, შენა?!

რჩინარდი. დაიღ, სწორედ მე; რასა ჭიფიქრობ, მითხარ ამისას?

ელისაბედ დედ. მერე რას ეტევი სატროფილოს?

რჩინარდი.

რასაც მასწავლი;

შენ უკეთ იცი იმისი ზნე, მის ხასიათი.

ელისაბედ დედ. დამიგდე კი ერეს?

რჩინარდი.

უეტკელად, დიდის ხალისით.

ელისაბედ დედ. მას გაუგზავნე იმის ძმების დამხრცის ხელით

ადამიანის წვეილი გული სისხლით მჭეფარე

ზედ ამოჭრილის სახელებით; „დედარდ და იორკ“.

იჭება ცრემლი წამოსცეიედეს, ამას რომ ნახავს,



და შენც მაშინვე, — ვით ოდესმე მარგარიტაძა
რუტლანდის სისხლში ამოსურელი სელის-სახოცა
მისცა მამაშენს — მიაწოდე შენც იმის ძეგლის
გემის გამწმენდი, აღისფერის წვენით გათხვრილი
და უთხარი, რომ მით შეიშროს ცრემლი თვალიდან.
თუ ამან შენი სიუყვარული გერ ჩაგონა,
შენთა დიდ-საქმეთ გაუგზავნე მოკლე მოთხრობა,
უაშუა, როგორ მოინელე იმის ბიძები,
კლარენს და რივერს, ან ვით სწრაფად იმის გულისთვის
საიქოში გაუსტუმრე ძალუა ანნა.

რაჩარდი. რისთვის დამცინი, მაგ გწით მის გულს გერ მოკებიარებ!
ელისაბედ დედ. სხვა გზა არ არის, თუ მაგ სახეს არ გამოიცილებ
და არ უარ-ჰყოფ რაჩარდობას ამდენის მომქმედს.

რაჩარდი. წარმოადგინე, რომ ეგ ყველა მის სიუყვარულით
მომქმედოს მე.

ელისაბედ დედ. მაშინ ისიც შენ შეგიყვარებს,
რაკი სიუყვარულს შეუწირავს მაგდენი მსხვერპლი.

რაჩარდი. რაც მოხდა, მისი ძნელი არის გამობრუნება.
ადამიანი სცდება ხშირად და მხოლოდ ბოლოს
სინანულითა იპატიებს შეცდომილებას.
თუ შენთა ძეთა გამოეწირე მე სახელმწიფო,
სამაგიეროდ დაუბრუნებ მას შენსა ასულს.
მართალი არის, დაგიხორცე მურღაით ნაშენი,
მაგრამ იმითი გაგაცხოველებ შთამომავლობას,
რომ შენს ასულსად კამენობ ჩემ გვარს შენივე სისხლისას.

ბებიად ეოფნა არა ნაკლებ სახატრელია,
ვიდრე ტარება გულ-მსურვალე დედის სახელის.
შეილი-შეილიც სომ იგივეა, რაც შეილი, მხოლოდ
ერთის ნაბიჯით უკანა სდგას: ზნერ იგივეა,
იგივე შტო, იგივე ტანჯვა მათ შობის დამეს
მისი, ვის გამოც შენც ის ტანჯვა აგიტანია.
შენი შეილები გაწალკებდენ სიუმაწვალის უამს,

ჩემი ნუგეშად სიბერეში გეუფლებიან.

თუმცა ვაჟიშვილს არ კლირსა ხელმწიფედ დასმა,

ნაცლად დედოფლად აკურთხება შენი ასული.

მსურს მრავალ-ფერად გადგიხადო, რაც გაწყეინე,

მაგრამ არ ძალმიძს და მიიღე, რასაც კი შეკდებო.

შენი ძე დორსეტ დამრწის გლახად უცხო მხარეში;

მას ეს კავშირი მოუწოდებს, მისცემს აქ ბინას

და მიანიჭებს დიდ ღირსებას, სასკლოვნებას.

მეფე, რომელიც შენს ღამაზე ქალს ცოლად დაისვამს,

შენს დორსეტსაც ხომ ძმობას ეტყვის. გახდება ისევე

ხელმწიფის დედა და რაც ეამძა შავმა, ბედგურელმა

დაგვაკლო, იგი ერთი სამად დაგვიბრუნდება,

გაგვიანდდება სიხარული, კმაყოფილება;

დაიღ, ჟერ კიდევ ბევრი დაგორსა სიხარულის დღე,

და რაც თვალთავან ცვარ-ცვარ ცრემლი წამოგდენია,

აღმოსაგლეითის მარგალიტად გადაიქცევა

და ათი იმდენს მოგცემს ბედი, რაიც დაგაკლო

მწუხარებამ. წადი, დედა, შენს ქალთან წადი,

გათათამე, დაარიგე მის მორცხვი გული,

ეურნი სასმენლად მოუმზადე საქმრის სიტყვების,

აუნთე აღი მის ნაზ გულში მალღა მფრინავი

ოქროთ შემოსილ დიდებისკენ; გააცან იგი

ცოლქმართ კავშირის სიხარულსა ტებილს და უსიტყვოს;

და როდესაც კი ეს მარჯვენა დასჯის იმ ურჩსა,

იმ წუწკ, ტვინ-თხელა ბუკინგამსა, მუის დაგბრუნდება

დამშვენებული გამარჯვების გვირგვინებითა

და შენს ასულსა წაკუძღვები გმირის საწოლში,

ეჭამობ წვრილად აქ ჩემს ამაჟს, ჩემს გამარჯვების,

რასაც იმისვე გადგულოცავ, როგორც კეისარს

თვით კეისარზედ დადგენილსა.

ელისაბედ დედ.

როგორ სჯობს გუთხრას?

მაძიშენის ძმა ცოლად თურმე გთხოვლობს მეტაქ?



თუ ბიძაშენი, თუ ის, ვისაც ძმები, ბიძები
დაუსოცნია სრულად შენი! ვიდრე წარგადგინო
რომ უხამსად არ მოგჩვენოთ შენი სახელი
იმის ნაზ ყურებს, რომ არ აღდგეს შენს წინააღმდეგ
ღმერთიც, კანონიც, იმის გულაც, ჩემი ღირსებაც?

რჩიარდი. უთხარ, მაგ კავშირს ჰგავს—თქო ანგლისის ბედი.

ელისაბედ დედ. რომელს მუდამ ბედგროვებს მოსდევს თვით მისი.

რჩიარდი. მეფე, ვის ხელთაც ბრძანება, გვედრება—თქო.

ელისაბედ დედ. ის შესაძლებელია, რასაც მეფეთ-მეფე უმრავლეს!

რჩიარდი. შენ განდებითო დედოფალი ყოვლად ძლიერი.

ელისაბედ დედ. და თვინ საჩინოა დედსავეთ უნდა იგულუოს.

რჩიარდი. უთხარ, რომ იგი მეუფება მე საუკუნოდ.

ელისაბედ დედ. კგ საუკუნო მერე ნეტა დიდხანს კი გასტანს?

რჩიარდი. მის ტბილ სინჯისლის მოსპობამდე საბოლოოდ.

ელისაბედ დედ. მერე რამდენ ხანს შერება კგ ტბილი სინჯისლად?

რჩიარდი. ვიდრე სურს კგ მალა ზეცას და ბუნების ძალთ.

ელისაბედ დედ. არა, ვიდრემდე ჯოჯოხეთისა და რჩიარდისა სურს.

რჩიარდი. უთხარ, მე, მეფე, შევიჩნები მის მორჩილი ვაჟი.

ელისაბედ დედ. იგი ჩინოვანთა უკუ-აგდებს მაგ ბატონ-უმობას.

რჩიარდი. გვედრები რომ შემეწიო მკვარის სიტუციითა.

ელისაბედ დედ. უბრალო სიტუკა უფრო სტრის, რომ საჭმე სწორია.

რჩიარდი. მამ უბრალოდ სიყვარული აცნობე ჩემი.

ელისაბედ დედ. უბრალოდ თქმული უხამსობა სამარცხვინოა.

რჩიარდი. შენი საბუთი ფუფე არის და ხელდახელი.

ელისაბედ დედ. არა, ღრმად გულში უდგას ფესვი, აქ ჩამკვდარია,

რჩიარდი. ღრმად არიან ჩამარხულნი ჩემი ბავშვებიც!

რჩიარდი. ხელს ნულარ ახლებს მაგ სიმეხს, რაც იყო, იყო.

ელისაბედ დედ. კერძო მოკვებები ამ გულის სიმით მთლად დაწვე-

რჩიარდი. წმიდა გიორგის, ჩემს საკვართულს, ამჩემს გიორგიანს...

ელისაბედ დედ. გმობილს, გაკიცხულს და წართმეულს ნაჭურდლად

სხვისგან.

რჩხარდი. კვიცაჲ მე შეთქა.

ელისაბედ დედ. ნუ, ნუ ჰფიცავ, ტყუილი ცდაჲ;

შენმა გიორგიმ თვის სიწმიდე შენით დაჰკარგა,
ვით შერცხუნილმა საკვართულმა რანდთ ღირსება,
როგორც გვირგვინმა ნაზარეკმა სამეფო ძალა.

თუ გწადს, უთუოდ დაიფიცო და დაგვარწმუნო,
ჰფიცე ერთი რამ, რაც ვერ შენით არ გაკიცხულა.

რჩხარდი. ცას-ჰქეშეთს კვიცაჲ....

ელისაბედ დედ. აკვაცობით შენით, სავსეა.

რჩხარდი. ჩემ მშობლის სიკვდილს....

ელისაბედ დედ. რაიც შენის სიცოცხლითა ჰგმე.

რჩხარდი. ჩემს თავსა კვიცაჲ....

ელისაბედ დედ. შენ შენითვე გაუბადრუკდი.

რჩხარდი. მამ ღმერთსა კვიცაჲ....

ელისაბედ დედ. ოჲ, ღმერთი ხომ უარ-ჰყავ სრულად!

რომ გშინებოდა მის სახელით ფიცის გატეხის,
არ დაარღვევდი შენის ძმისგან შექმნილს ერთობას,

ერთ-ხელმწიფეებს და ჩემს მძისაც არ მომიკლავდი.

რომ გშინებოდა მის სახელით ფიცის გატეხის,

გვ დიდებული ღათონი შენ თავზედ რომ გხურავს,

დაუშვენებდა ჭოროფა შუბლსა ჩემს ზაწასა

და ორივე ჰრინცი მე ცოცხალი მეყოლებოდა;

მაგრამ მაგ შენის ფიცის გამოვამ საბრალე ბავშვნი

მიწაში ჩაჰფულა, ორივე მისცა მატლებს საღრღნელად.

მამ რაღა დაგჩნა სიფიცარი?

რჩხარდი. მოძაკალი დრო.

ელისაბედ დედ. ზატყ-ახდილი წარსულთა. აი მე თათონ

წარსული ცოდვა უნდა მასზედ ცრემლით გაკებანო.

შვილნი ცოცხალან, მშობლები რომ ამოუხრცე

და სიბერეში იგლოვებენ ობლად დარჩენას;

მშობლებიც, შვილნი რომ დაუკალ, კიდევ ცოცხლობენ,

როგორც დამტყნარნი მტყნარენი, თესვებ-გამსმარნი



და დასტორიან საბურის ჟამს; ნუ ჰფიცავ მუდამდს
რასაც შენ ხირქი მოსცხე კიდეც შენის წარსულით.

რინარდი. როგორც მე აწ მსურს შენახება კეთილად ყოფნა,
ისე მფარველად მუკდეს ბედი ამ საშინელ ომში
უწყულო მტერთან. მაგრამ მამინ მთლად შკეიშალო,
მომაკლოს სრულად ზეცის რისხვამ ბედნიერება,
ნუ გამინათოს დღემ და შვება ნუ მომცეს ღამემ,
მტრად გადამქცნენ ცის მნათობნი ბედის მომცემნი,—
თუ წმინდა გულით, წმინდა ფიქრით, უმანკო გრძნობით
არ მიუყარდეს მე შვენიერი ასული შენი!

ბედნიერება ჩემიც, შენიც მასშია მხოლოდ;
უიმისოდ კი მეც, შენც, მასაც, ამ ქვეყნასაც
და ბევრს ქრისტიანს სხვასაც კიდეც მოელის მარტო
ტანჯვა, სიკვდილი, განწირულად განადგურება.
მასთან კავშირსა ძალუძს მხოლოდ ამის აცდენა.
მასთან კავშირსა, სხვა არაფერს. მამ, ტკბილო დედაკ,—
დედა გიწოდო, ნება მომეც—დასდეგ ჩქარად
ჩემ სიუკარულსა და მას შორის; წინ დაუსახე
არა რაც ვიყავ, არამედ ის, რაც მსურს რომ ვიყო,—
აწინდლის ნაცვლად ღვაწლი ჩემი მოსალოდნელი.
ჩააგონე, რომ დრო და ჟამი მას მოითხოვსთქო
და ნუ შეუშლია ზიზღით ხელსა დაიღს განზრახვას.

ელისაბედ დედ. ამ სახით უნდა შემაცდინოს განა კშმაკმა?

რინარდი. რატომ თუ ცდომით დაგაყენებს კეთილ გზაზედა.

ელისაბედ დედ. განა კი უნდა დაკვივიწო, ვინ, ანუ რა კარ?

რინარდი. დიალაც, თუ კი გახსენება გაგნებს შენ რასმე.

ელისაბედ დედ. შენ დამისოცე ჩემნი შვილნი.

რინარდი. მე მათ დაკმარხავ

შენის ასულის სუხნელოკან გულ-მკერდ ქვეშ, სადაც

შენდა ნუგეშად თავის-თავად განახლდებიან.

ელისაბედ დედ. მე უნდა ჩემი ქალი ნებას დაგიყოლიო?!

რინარდი. და ბედნიერი დედა გახდე მაგ დაყოლებით.



ელისაბედ დედ, კარგია, წაგაღ. შენ წერალი მომწერე მაღალ
და მეც გაცნობებ დაწერილებით მის გულს-პასუხს.
რინარდი. მშვიდობით! ჩემის ერთგულ ტრფობის ნიშნად აკოცე. —

(ჰელოენის. — ელისაბედ დედოფალი გადის.)

დაუდგრომელო დედაკაცო, ფუჟე ჰეუისაჟ! —

(შემოდის რატკლიფი, რომელსაც კატესბი მოსდევს.)

რა ამბავია?

რატკლიფი. ხელმწიფეო, დასავლეთისკენ
ხომაღდო ერებუღი მოდის დიდი; ზღვის ნაპირებზედ
მრავალი თქვენი უმა თავს იყრის ფრიად საუკლეო
უიარაღოდ, არ ჰფიქრობენ მტრის უეუ-ქრეკას;
ამბობენ, რიჩმონდ გემთ-ერებუღსა უფროსად ჰქაესო
და ხომაღდნი იქ იდგებიან მის მომლოდინე,
რომ ბუკინგამი მიეშველოს და ზღვიდან ჯარი
ხმელზედ გადმოსხას.

რინარდი.

აბა ერთი, მთავარ ნორფოლკთან

აფრინეთ ვინმე მსწრაფელ-მავალი. — რატკლიფ, შენ წადი...

ან შენ კატესბი... ის რა იქმნა?

კატესბი.

მე აქ განლაგართ.

რინარდი. მთავართან ჩქარა...

კატესბი.

გიახლებით იქ ფრიად ჩქარა,

ჩემო ხელმწიფეო.

რინარდი (რატკლიფს). შენ კი წადი სალისბიურის.

იქ რომ განხდები... (კატესბის) უგუნურო, უტკეო, მსეცო!

აქ რას უდგახარ, რად არ მისვალ მთავარ ნორფოლკთან?

კატესბი. ჯერ ის მიბრძანეთ, რაც გნებავთ, დიდა ხელმწიფეო,

ან რა ვაუწყო მთავარ ნორფოლკს თქვენ მაგიურად?

რინარდი. ოჰ, მართლა, მართლა, უგაცრავად, ჩემო კატესბი:

უთხარ, შეჭკრიბოს ძალე ჯარი, მთლად იგი ჯარი,

რაც მის ხელთაა და დამისვდეს სალისბიურში.

კატესბი. ესლავ, ხელმწიფეო. (გადის.)



რატკელიფი. შე რაღა ვქნა საღისებურში?
რას მიბრძანებდით?

რინარდი. ჩემს მოსვლამდე რას გააკეთებ?

რატკელიფი. აკი მიბრძანეთ, წინ წადიო. (შემოდის სტენლი.)

რინარდი. აზრი შეგცვალე. —

შენ რაღა ამბავს მეტყუი, სტენლი?

სტენლი. ჩემო ხელმწიფევე,

არც ისე კარგსა, რომ გაამოთ იმის მოსმენით,

არც ისე ცუდსა, რომ ვერ შევძლო ხამოდ მობოა.

რინარდი. რა საჭიროა გამოცანა? არც კარგს, არც ცუდსა!

რად ურბი გარსა, როცა მოკლედ შეგიძლიან თქმა?!

სწორე მატნობე.

სტენლი. რინარდი ზღვაზე გასვლათ, ხელმწიფევე.

რინარდი. მაშ ზღვაში ჩაღუბოს, მერე ზუდვე გადაეფაროს

იმ მოღალატეს ღვიძლ-ფერ-მკრთალსა! იქ რას აკეთებს?

სტენლი. არ გინი, დიდო ხელმწიფეო, მატრამ კი გგონებ...

რინარდი. რაო, რას ჭგონებ?

სტენლი. გგონებ, იგი წაქეზებული

დორსეტი, ბუკინგამი, ელისაგან ინგლისში მოდის

გვირგვინის ხელთა მოსაგდებლად.

რინარდი. ცარიელია

განა ეს ტასტი? ხმალი ხელში არვის უბურია?

მეფე მკვლარია? ეს ქვეყნა უმატრონა?

იორკს შემკვიდრე ჩვენს გარდა ჭყავს გინზე ცოცხალი?

და ვის ეკუთვნის, თუ არ მე შტოს დიდ იორკის

ხელმწიფედ უოფნა ინგლისელთა? მაშ მაცოდინე!

რა უნდა ზღვაზედ?

სტენლი. თუ არ იგი, რაც მოგასხენეთ,

მე ვერ მიმხვდარვარ.

რინარდი. ვერ მიმხვდარსარ! რად მოდის იგი,

თუ არ იმისთვის, რომ ხელმწიფედ თავსედ დაისვათ?!

შენ მიღალატე, გაიქცევი, გგონებ იმასთან.



სტენლი. არა, სელმწიფევე, ნუ მომაკლებთ მე თქვენს ნდობას,
რამაზდო. მას სადღა არას შენი ჟარი, მტერს რად არ სდევნი?

ან სელ-ქეითნი, აბა, სადა გეყვს, შენი ამალა?

თუ დასავლეთის ნაპირებზე მოგროვებულან,
რომ მტრის ღაშკარი უკნებელად გადმოსხან სმელზე?

სტენლი. არა, ბატონო, ჩრდილოეთით არიან ჩემნი.
რამაზდო. ჭოი, გულ-ცივო! ჩრდილოეთით რას აკეთებენ,—

როს იმით თავი დასავლეთით უჭირს სელმწიფეს?

სტენლი. მათთვის, სელმწიფევე, არაფერი უბრძანებიათ.

თუ ნებას მომცემთ, გახსლებით თავს მოუყურა მათ
და იქ გახსლებთ, სადაც, ანუ რა დროსაც გნებავთ.

რამაზდო. არა, წასვალ და რჩიმონდსავე შეუერთდები.

შენ არ გენდობი.

სტენლი. დიდო მეფევე, არ გაჭეთ მიზეზი.

ეჭვით მოეპურათ ერთგულებას ჩემსას თქვენდამი.

მე ჟერ ორგული არ ვყოფილვარ და არც ვიქნები.

რამაზდო. წადი მას ჟარი მოაგროვე, მაგრამ შენი მე,

გეორგ სტენლი გი აქ დასტოვე. თუ გიმტყუნია,

მაგ შენის შვილის თავი ტანზედ აღარ დარჩება.

სტენლი. ვით გიერთგულეთ, მოეპურათ ჩემ შვილსაც ისე.

(გადის.—შემოდის შიკრიკი.)

შიკრიკი. სელმწიფევე ჩემო, მოწყალეო! მე მეგობრებმა

შემატყობინეს, რომ დევონშირს აჯანყებულან

ედვარდ კორტნი და ამაჟი მის უფროსი ძმა,

კვისკოზოზი ექსეტერის. მათ მიმხრობიათ

მოკავშირენი სხვაც მრავალნი.

(შემოდის მეორე შიკრიკი.)

მეორე შიკრიკი. ჩემო სელმწიფევე,
აჯანყებულან კენტში თურქი გილდფორდელნი
და ყოველ საათს მათი ძალა დიდდება, რადგან
ემატებიან ყოველ მხრიდან თანამგრძნობელნი.

(შემოდის მესამე შიკრიკი)

მესამე შიკრიკი. დიდ ბუკინგამის ჯარი თუქმე, ჩემო ხელმწიფე...
რჩება. დაგწევდით ღმერთმა, პაიუშნო, რას ჩსავით სიკვდილს!
(დაჰკრავს მესამე შიკრიკს.)

აჰა, ეს კმა, სხამ ამავს კარგს მომიტანდე.

მესამე შიკრიკი. მოსახსენები მე ის შქონდა, რომ წყალ-დიდობას
და ნიღვარსა დაუშლია, გაუბნეკია
სრულად ღაშკარი ბუკინგამის. თითონ წასულა,
გადაკარგულა მარტოდ მარტო, არ ვინ იცის სად.
რჩება. ოჰ, უკარგავდი! აჰა, ქისა გქონდეს შენ ჩემი,
ამან გაგკურნოს ეგ ნიღვი; მითხარ, იქნება
მიხვდა ვინმე და დაუნიშნა ჯილდო იმას, ვინც
მოღალატეს ჩაგვაბრებს.

მესამე შიკრიკი. დიად, ხელმწიფე.

(შემოდის მეოთხე შიკრიკი)

მეოთხე შიკრიკი. თამას ლეკელი, ხელმწიფე და მარჯიზ დოქსეტ
იორკშირში აღჭურვილან, აჯანყებულან,
მაგრამ ნუგეშად ეს ამავი მომაქვს, ბრეტანის
გემთა კრებული ქარიშხალსა გაუბნეკია.
გაუგზავნია რინმონდს ნაღი დოქსეტშირში
ნაპირისაკენ და უკითხავს იქ მდგომ ხალხისთვის,
მეგობარნი სართ, თუ მტერნიო? უბასუხნიათ,—
ბუკინგამისგან მოგზავნილნი თქვენს საშველადო.
ის არ ნდობია, გაუშლია მუის იალქანი
და ბრეტანისკენ ისევ უკან გამგზავრებულა.

რჩება. აჰა, წავიდეთ საჭურვლითა კართ მოწეობილნი;
თუ გარეშე მტერს ვეღარ ვებრძვით, ეს მაინცა კნათ,
რომ ეს ორგულნი შინაურნი ზიარეკე დაკამხათ.

(კატესბი დაბრუნდება.)

კატესბი. ჩემო სელმწიფევე, ბუკინგამი დაუჭერიათ,
ეს საამერიკა აშავია, მაგრამ მეორე
არ გაიმეტათ, თუმცა სათქმელი ისევე სჯობს ითქვას:
დიდის ჯარებით გამოსულა გრაფი რინმონდი
მილფორდის ნაპირს.

რინმონდი. გავემგზავროთ სალასბიუ რის;
სანამ აქ ვლავობთ, დადა რამი გადაწყდებოდა.
ზოგმა ბრძანება წაიდეთ, რომ იქ მოიყვანონ
ბუკინგამიცა. დანარჩენი ჩემთან წამოდით.
(საყვირის ხმა. გადიან.)

სურათი V

ოთახი ლორდ სტენლის სასახლეში.

(შემოდის სტენლი და ქრისტოფერ ერსგეი.)

სტენლი. ქრისტოფერ, რინმონდს ასე უთხარ ჩემ მაგიერად:
დამწვედუელია ჩემი გეორგ სისხლით უძღების
ტახის ბუნგში, და თუ წავალ მის წინააღმდეგ,
თავს მოჭკვეთენ-თქო მუისკე ჩემს შვილს; ამისი შიში
უკან მათეებს და აბიტომ ვერას გშველი-თქო.
მაგრამ ეს მითხარ, ესლა რინმონდ სად იმყოფება?

ქრისტოფერი. იგია უელსს, ან ჰემბროკში, ან ჰარფორდ-გესტში.
სტენლი. დადებული შორის ვინ მიემხრო?

ქრისტოფერი. სერ ვალტერ ჰერბერტ,
გამოჩენილი მეომარი; სერ ჯილბერტ ტალბოტ,
მტრისთვის საშიში ჰემბროკი, სტენლი უილიამი,
ოქსფორდი, სერ ჯემს ბლენტი, რისაჲ თომას მამადის ჯარით
და ბეკრი კიდევ ღირსეული სახელოვანი.



ღონდონისაჲს წამოვიდენ, სურთ მის აღება, ^{თუ გზაზედ სადმე საბრძოლველად წინ არ დაუხვდენ.}

სტენლა. მშვიდობით! გულით მომივითხე შენი ბატონი,
უთხარ, სიამით დათანხმდა-თქო დედოფალი, რომ
თავისი ქალი ელისაბედ მას ცოლად მისცეს.

(წერილებს აძლევს.)

ეს წერილები აცნობებენ ჩემს გულის-პასუხს.

(გადიან.)

მეორე სქემა

სამხედრო ციხეშია აღმართული

საგმილო ციხეშია აღმართული



მთავარი... მომის უბრძოლველად... საგმილო...
...მთავარი... მომის უბრძოლველად... საგმილო...
...მთავარი... მომის უბრძოლველად... საგმილო...

...მთავარი... მომის უბრძოლველად... საგმილო...
...მთავარი... მომის უბრძოლველად... საგმილო...
...მთავარი... მომის უბრძოლველად... საგმილო...

...მთავარი... მომის უბრძოლველად... საგმილო...

...მთავარი... მომის უბრძოლველად... საგმილო...

...მთავარი... მომის უბრძოლველად... საგმილო...

...მთავარი... მომის უბრძოლველად... საგმილო...

...მთავარი... მომის უბრძოლველად... საგმილო...

...მთავარი... მომის უბრძოლველად... საგმილო...



საქართველოს
წიგნების კავშირი

მოქმედება მესხეთე

სურათი

სალისბიური. გაშლილი მოედანი.

(შემოდის შერაფი. იმას მოსდევნენ დარაჯები, რომელთაც ბუკინგამ დასასჯელად მოჰყავთ.)

ბუკინგამი. არ მამლეკს ნებას რიჩარდ მასთან ღაზარაკისას?

შერაფი. არა, ბატონო, სჯობს, რომ შენს სკედრს დაემოწმილო.

ბუკინგამი. ოჰ, ჰასტინგს, შვილნო ედვარდისა, რიკერს და გრეი,

წმიდა მეფეო ჰანრი, ედვარდ მის ტბილო ძეო,

ვოგან, თქვენ ეკელა, ვინც, ჩაცვივდით უსამართლობით

დაგებულ მასეს! თუ შრისხანე საბრადო სულნი

თქვენნი დრუბლებით დაჭურებენ ამ დრო-ყამის სკეს,—

ნიშნი მომიგეთ, რაკი ჰსედავთ ამ ჩემს დაღუპვას.—

დღეს, მეგობრებო, მიცვალებულთ სულის დღე არის?

შერაფი. დიაღ, ბატონო.

ბუკინგამი. სწორედ ეს დღე მიცვალებულთა

გადქცა ჩემის განკითხვის დღედ. მიცვალებულთ დღეს

მეფე ედვარდის დროს წარმოვთქვი,—დღე დამინელდეს,

თუ შენ შვილთ, ანუ ცოლის თვის-ტომთ ვემტყუნო

მეთქი,



და სწორედ ამ დღეს წილად შემსვდა ღალატი მისთვის
ვის ნდობაც მქონდა საუკუნო. ჩემს შემკრთად სულსა
ეს მიცვალეულთ დღე გადაქცა ცოდვების ბოლოდ,
აღსასრულის დღედ. ზეცურება გულთა-მსილკმა
ცბიერი ფიცი დამბრუნა თავს დამატესა
და ამისდინა ცხადად, რასაც სიტყვით ვამბობდი;
ბოროტ კაცთ სმადნი მიუბრუნა მათეუ მტკრულთ გულს.
აწ მარგარიტას წვეკლა მძიმედ ქედზედ მაწკება:
როცა გულს დარდით გაგიბობსო, ამბობდა იგი,
მამინ მისვდები, ვუფილვარო მე გულთ-მისანი.—
აჰ, წავიდეთ, მამიუვანეთ სამკასის კუნძთან.
დარდს დარდი მოსდევს და სირცხვილაც კვალად სირცხვილი.
(გადიან).

სურათი II

მინდორი ტამეორტს ახლო.

(შემოდინა დაფდაფებით და ბაირალებით რაინდონდი, ოქსფორდ,
სერ ჯემს ბლენტი, სერ ვალტერ ჰერბერტ და სსგანი. მათ რაზმ-
დაწყობილი ჯარა მოსდევს.)

რაინდონდი. ჩემო ძვირფასო მეგობარო, ბრძოლის მწუერკადნო,
მტარვლის უღელ-ქვეშ დანაცრულნო ქვე-დამბობილნო.
აგერ ამ ქვეუნი გულს მივაგნეთ ხელ-შეუშლელად
და აქ მოვიდა მამიკმის სტენლის ბართიც
ნუგეშით სავსე და მსნეობის ეურს ჩამწვეთელი.
ის ტასი თურმე ქერდი, სისხლით გაუმძღარი,
რამაც უანები, გენანები გაგინდგურთო,
რაც თქვენს თბილს სისხლს ეწაფება სარბად, ვით ნარცხს
და კარცლად სმარობს თქვენს გულ-გვამსა დატრეილ-დამბობილს,
ეს საზიზღარი ღორი მეთქი ბუნავად არის,



როგორც შეეიტყუე, ამ კუნძულის შეგულის აღზღეს,
ქალაქ ღვისტრის სიასლოვეს, სიდაც ტამოვრტით
ერთ ღღეს მივალწკოთ. მას კახსენოთ, მსნე მეკობარნო,
უფლის სასკლი და სიამით შევედგეთ საქმეს;
მოვიმკოთ მშვიდი მოსავალი დაუშრეტელი
ამ სასსლით მოწწუელ გაცსარებულ ერთბამის ბრძოლით.

ოქსფორდი. უოკელ ჩვენგანის სინიდასი ათას ხმლად იქცა

იმ წუწკ ავზაკ კაცის მეკლეღთან საბრძოლველად.

ჭერბერტი. მის მეკობარნი უეკველად ჩვენსკენ გადმოვლენ.

ბლენტი. იგი ვერავის იმეკობრებს, თუ არ შიშითა

და არ შერჩება არც ერთი მას გაჭირვების დროს.

რაიმონდი. ეკ უკეთესი! ღვთის სასკლით წავიდეთ, აბა!

წრფელი იმედი სწრაფი არის, როგორც შერცხალი,

მეფეთ ღმერთებს და მეფედ ჰხდის ამ ქვეყნის მატლთა.

სურბათი III

ბოსვორტის მინდორი.

(შემოდის რაჩარდ მეფე ჯარით, მთავარი ნორფოლკი, გრაფი
სერეი და სხვანი.)

რაჩარდი. ჩვენი კაცები აქ, ბოსვორტის მინდორში დადგით. —

მიღორდ სერეი, რად გაქვს ატრე შწუნარე სასე?

სერეი. სანაცვლოდ გული ერთი ათად მხიარული მაქვს.

რაჩარდი. შენ, მიღორდ ნორფოლკი...

ნორფოლკი. რას მიბრძანებთ, ჩემო სულმწიფე?

რაჩარდი. როგორა ჭფიქრობ, ცემა-ტემა ბეჭი აქნება?

ნორფოლკი. ჩვენ დაგვრავთ, მაგრამ არც ისინი დაგვზოგვენ, კგონებ...

რაჩარდი. ჩემი კაცები დადგით მეთქი. ამაღამ მინდა

აქ დავიძინო. სვალ შერე სად? აქ, სულ ერთია. —

შეიტყო ვინმე რიცხვი იმ წუწკ მოღალატეთა?



ნორფოლკი. სულ ბევრი იყოს, ექვსს, შვიდ ათასს კარგად ინდუქტა-
რჩიარდი. სამი მაგდენი გუყავს ჩვენ ჯარი და ჩვენს მტერს კიდევ
მეფის სახელი არ მუარველობს, რაც ცინე არის
მღიერებისა. — აბა, ჩქარა, კარავი დადგით. —
ჩვენ კი წავიდეთ, უმაწვალეო, გავსინჯოთ კარგად
ბრძოლას ადგილი. გამოცდილნი კაცნი მისმეთ აქ. —
ნუღარ ვგვიანობთ, დრო და ეამსა დაკუმოწმინდეთ.
ნუ დავივიწყებთ, რომ სვალ დიდის საქმის დღე გველის.
(გაღიან.)

(შემოდინ მინდვრის მეორე მხარეს რჩიმონდი, სერ უილიამ ბრან-
დონ, ოქსფორდი და სხვანი. რამდენიმე ჯარის-კაცი რჩიმონდის კა-
რავსა სდგამს.)

რჩიმონდი. მოქანცული მზე დღეს ბრწყინვალედ ჩაეშვა ქვესკნელს
და მის ცეცსლოკან ეტლის ნათელს კვალზედ ეტეოპა,
რომ სვალ კარგი დღე უნდა დადგეს. — სერ ბრანდონ, შენთვის
მომინდვია მე ჩემი დროშა. — საწერ-კალამი
აქ, ჩემს კარავში მომიტანეთ, ცოტა ქალღმერთი
მინდა, რომ ბრძოლის გეგმა მოგცეთ: ყოველს მოთავს
თავისი საქმე მიუყნინო და შესაფერად,
ჯეროვნად ჩვენი მცირე ძალა გავუნაწილო.
სერ უილიამ ბრანდონ, ოქსფორდ და ვალტერ ჰერბერტ,
თქვენ ჩემთან დაჩნით. — შემბროვის გრაფს თავისი რაზმი
ეზაროს ისევ. — კამიტანო ბლენტი, გთხოვ დიდად,
ჩემი სალაში მიუტანო შემბროვს და უთხრა,
რომ ჩემს კარავში მნახოს დიდის შიშველ საათსედ.
ერთი რამ კიდევ სათხოვარი მაქვს მე შენთანა...
ეს სომ არ იცი, ღორდი სტენდი თუ საითა დგას?
ბლენტი. თუ არ მოვსტყუედი მის დროშების ფერსედ, ის უნდა
თავისის ჯარით იდგეს მეფის მთავარ ბინიდან
ნასკვარ მიღით სამხრეთისკენ. ნამდვილად მჯერა,
რომ არა ვცდები.

რაინმანდი.

მას უშიშრად თუ შესაძლოა,

სცადე, ჩემო ბლენტი მასთან მისვლა და ღამაჩაგი

და ეს საკითხი პრაქტიკა გადაეცემა მასვე.

ბლენტი. სიცოცხლეს ვიფიქრებ, რომ ვერცხვები შესრულებას;

და მშვიდსა ღამეს, მოსვენებას ვისურვებ თქვენთვის.

რაინმანდი. ჩემო ბლენტი, ღამე მშვიდობისა. — (ბლენტი გადის.) აბა,
მოხრმანდით

ამ ჩემს კარავში, სვალისათვის გარჩიოთ რამე.

გარეთა ცივა, ცოტა სუსხავს.

(შევიწი კარავში. — გამოდიან თავიანთ კარვებთან მეფე რაინარდ, ნორ-
ფოლკი, რატკელი, კატესბი და სხვანი.)

რაინარდი.

ესლა რა დროა?

კატესბი. ვასშმას დრო გახლავთ, სელმწიფეო, ცხრა საათია.

რაინარდი. ამაღამ ვასშმას მე არა ვჭამ. მომეცით ერთი

საწერ კალამი და ქაღალდი. ჩემი შარადი

ვიწეროდა მქონდა, გააკეთეს? ან საჭურველი

მზად არის უკვლა, ჩემს კარავში შეტანილია?

კატესბი. უკვლა მზად გახლავთ, სელმწიფეო.

რაინარდი. შენ, ჩემო ნორფოლკი,

გასწი საჩქაროდ შენს საქმესედა, სიფრთხილით იყავი

სანდო დარჯჯნი დაარჩიე.

ნორფოლკი.

ესლაჲ მიუდივარ.

რაინარდი. სვალ ტოროლამაც ვერ დაგასწოროთ ადრე ადგომა.

ნორფოლკი. ადრე ადგებო, სელმწიფეო.

(გადის.)

რაინარდი.

აბა, კატესბი...

კატესბი. ბატონო ჩემო...

რაინარდი.

სტენლის ჯარში ჩქარა გაგზავნე

ერთი შიგრიკი და აცხოვე, მზის ამოსვლამდე

თავის ღამეაჩი აქ მომგვაროს, თორემ შეიღეს გეორგს

მე გავუსტუმრებ საუკუნო ბნელის ჯურღმულში. —

(გატესბა გადის.)

მომეცით ერთი ჭიქა ღვინო; ღვინის ღვინო...
ხვალისთვის უნდა შემიკმაზოთ თეთრი სერეი...
მასეილი მტკიცე უნდა იყოს და თან მსუბუქი...
რატკელიფ...

რატკელიფი. პატონო?

რაჩარდი. ნასე, როგორ მწუხარე იყო.

ლორდ ნორტუმბერლანდ?

რატკელიფი. ის და თომას გრაფი სერეი.

სწორედ ქათმების ქანდაკებულ შესხდომის დროსა

რამდენი რამდენი დედოფენ, ჟარს ამსეკებდენ.

რაჩარდი. მაშა სწორედ... ღვინო მეთქი... როგორღაც კერ კარ

ჩვეულებრივად მხიარული და სუფითაც მხენ.

(ღვინო მოაქვთ.)

აი, აქ დეგით... საწერელი, ქაღალდი მეთქი!

რატკელიფი. ისიც მზად გასწავთ.

რაჩარდი. გააფრთხილეთ ჩემი დარჩენი...

ასეა კი წადით.—რატკელიფი, მოდო შეაღმისას

შენ ჩემს კარავში და მიშველე საჭურჭლის ასხმა.—

აი გითხარით, წადით მეთქი...

(რაჩარდი მეფე შედის თავის კარავში და იძინებს. რატკელიფი და სხვა
ნი გადიან.—რიჩმონდის კარავი გაიხსნება და გამოჩნდებიან რაჩმონდ,
მისნი ოფიცრები და სხვანი. შემოდის სტენლი.)

სტენლი. პედნიერება

და გამარჯვება შენს მუხარადს ნუ მოაგდებს!

რაჩმონდი. მაშინაცაღო საუკარლო, მოგცეს შენც ღმერთმა

უკლა სიკეთე; რის მოცემაც ძალუძს პეულ ღმერთს!

როგორღაც არის მითხარ, ჩემი ძვირფასა დედა?

სტენლი. მე მონდობილი მაქვს, დავლოცო დედის მაგივრად,

რომელიც მედამ ღმერთს აკედრებს თავის შვილს რაჩმონდს.

შეწევით ჩვენ ეს მუსაიფი; დრო იმარება,
 აღმოსავლეთით ჰეარგას ძალას ბნელი მწვედია და
 და უნდა მოგვად მოვჭრათ სიტყვა, მეტი რა გზა გააქვს.
 დილა აღმოსავლეთით შენ საბრძოლველად,
 ღიანდუ შენი ბედი სისხლით მოსაწყევლე ველსა
 და ღმერთს ომისას თავის სახით სიკვდილის მზადვს.
 მეც როგორც შეგძლება, — ვერ ავეუბო თუმა ჩემს ნებას —
 ვეცდები, უაბი ამოვიგო და დაეხმარო
 ამ სათუო, მხელ გარდასაწვევტ შეტაკებაში.
 თორემ თუ ნახეს, შენს მძას, ჩემს შვილს, პატარა გეორგს
 თვით მამის თვალ-წინ თავს მოსჭრან. ესლა მშვიდობით,
 ეს საშიშარი და გულ-სწრაფი დრო აღარ გავცდის,
 რომ სიუკარული ერთმანეთსა გაგუსიაროთ
 და ტებელ საუბრით გადვეშალოთ ჩვენ ჩვენი გრძნობა,
 რაც გულს გვიმძიმებს ესრედ ხანგრძლივ გაურთილ მეგობართ.
 ღმერთმა ინებოს, რომ დაგვიდგეს ამისა უამიც,
 გიდეკ მშვიდობით, იუპი მხნედ და გაიმარჯვე!

რაიმონდი. გოსოვო, გაცილოთ, პატონებო, თავის ჯარმდე.

მე კი ვეცდები დავიმშვიდო მღელვარე გული
 და ცოტა თვალი მოვატეუო, თორემ სვალ დილით
 ძილის სურვილი ტყუილსავით ძინს დამწევს მამინ,
 როს გამარჯვების ფრთები მარდად უნდა შევისსა.
 გიდეკ ვისურვებ, პატონებო, თქვენთვის კარგ ღამეს. —

(გადიან სტენლი, ოფიცრები და სხვანი.)

შენ, რომლის ნების აღმსრულებლად ვთვლი მე ჩემს თავსა,
 გვედრებ ამ ღამეას გადმოსელო მოწყალე თვლით,
 ხელთ მისცე რვინის საჭურველი მტერთ შემმუსრავი,
 რომ მუნარადნი, შეძენილნი მათგან ქურდივით,
 ქვე დაუნარცხოს, დედამიწას სედ დატყელიტოს!
 გარდაგვქვენ ცოდვის შენდა დამსჯელ ხელ-ქვეითებად,



რომ გამარჯვების შემდეგ გიძღვნათ სოტბა და ქუჩა
ვიდრეძდე ძილი სედიის სარკმელს სრულად დამისხმის,
გოსოვ, შიიბარო თავი ჩემი და მფარველ მექმნა,
განუწევეტელად ძილის დროსაც და სიფხიზლისაც.

(რიჩმონდი იძინებს.—ორ კარავს შუა ამოდის სული პრინცის ედვარდისა, ჰანრი მეექვსეს შვილისა.)

სული პრინცის ედვარდისა. (რიჩარდს) სვალ შენს სულს მწარედ
დავაძმიძე, მოიგონე ის,

ტიუქსბერიში ჯერედ ნოჩნს რომ ხანჯალა ჩაძე,
მოიგონე და იმის გამო იტანჯე მოკვდი!—

(რიჩმონდს) გამხიარულდი, რიჩმონდ, რადგან უკვდავნი სულნი
მისგან დასოცდილ პრინცებისა შენს გვერდით იბრძვიან.
გამხნევედი, რიჩმონდ, მეფე ჰანრის შვილი გამხნევეს.

(ამოდის სული მეფე ჰანრი მეექვსისა.)

სული მეფე ჰანრისა. (რიჩარდს) როს სოარციული ვიყავ, მაშინ ცხუ-
ბული გვაძი

მზავლგან რკინით დამისვრიტე სასიკვდილოდა.

აწ მოიგონე ტოუერი, მომიგონე მე,

იტანჯე, მოკვდი. მეფე ჰანრი გიბრძანებს ამას!—

(რიჩმონდს) კეთილო, სათნო, გამარჯვება ნუ მოგეშალოს!

ჰანრი, რომელმაც სელმწიფეებს აღვითქვა წინად,

აწ გიტკბობს ძილსა, იცოცხლე და გადამიფურხენე!

(ამოდის სული კლარენსისა.)

სული კლარენსისა. (რიჩარდს) სვალ შენს სულს მწარედ დავაძმიძე.
მე ვარ კლარენსი.

შენგან ღვინოში ჩადრწობილი საბრალო კლარენს,

სასიკვდილოდა განწირული ცბიერის ძმისგან.

სვალ ზრძოლის დროსა მომიგონე და ჩლუნგი ხმალი

მუისვე სულიდან გაგვარდება. იტანჯე, მოკვდი!—

(რიჩმონდს) შენ, ღანკასტერთა ოჯახისა ჩამომაკვლო,



შენთვის იორკის შემკვიდრენი ტანჯულნი მისგან
ღმერთს ეკედრიან; ანგელოზნი ცხარე ბრძოლის უამს
სულს შეგაწეობენ, იცოცხლე და გადაიფურჩქნე!

(ამოდინ სულნი რივერსისა, გრეისა და გოგანისა.)

სული რივერსისა. (რიჩარდს) სვალ შენს სულს მწარედ დავაჰმძიებ.
მე ვარ ის რივერს,

პომფრეტს რომ მოჰყავლ, სამაგიეროდ იტანჯე, მოკვდი.

სული გრეისა. (რიჩარდს) მომიგონე მე, გრეი, სტანჯე კვ შენი
სული!

სული გოგანისა. (რიჩარდს) მომიგონე მე, გოგან და შეის ცოდ-
ვით შემკრთაღმა

სული აუშვი წვერ-მოტყნისს მაგ შენს მასვილსა.

იტანჯე, მოკვდი!

სამნივე. (რიჩარდს) გაიღვიძე, რაც ჩვენ რიჩარდმა

ტანჯვა დაგვძაწთა, იცოდე, რომ მასვე დაჰმსობს.

გამოიღვიძე, გაიმარჯვე!

(ამოდის სული ჰასტინგსისა.)

სული ჰასტინგსისა. (რიჩარდს) სისხლით უძღებო,
ცოდვით ზღსავსევე, მაგ ცოდვებმა ნუ მოვასვენოს,
გამოიღვიძე და ბრძოლაში დაღიე ღღენი.

მომიგონე მე ჯორჯ-ჰასტინგსი, იტანჯე, მოკვდი!—

(რიჩარდს) შეუშფოთველო სულა, ადექ, გამოიღვიძე,

შეისხი შეისვე იარაღი, იბრძოლე მედგრად

და გაიზრდე მთელ ინგლისის საბედნიეროდ!

(ამოდინ სულნი ორის ახალგაზდა პრინცისა.)

სულნი ორი პრინცისა. (რიჩარდს) შენნი მმისწულნი გვანხე საზმრად,
რომელნიც შენვე

დაღრწობინე ტოყერში. გულს დაგაწყებთ



და დაგაწყებით ტყუილსავე; გაშოგადვიდებით,
რამ შერცხენილმა, გასრესილმა სული დალიო.
შენ მის-წულთ სულნი გიბრძანებენ: იტანჯე, მოკვდი! —
(რიჩმონდს) ტეხილად გეძინოს, რიჩმონდ, მშვიდად გა-
მოიღვიძე;

კეთილ ანგელოზთ დაგიფარონ მტარვლის ხელთაგან!
იტოცხლე, შეჭქმენ შტო ბედნიერ, დიდ ხელმწიფეთა.
საბრძოლო ძენი ედვარდისა გიბრძანებ: აუჯგუდი!

(ამოდის სული ანნა დედოფლისა).

სული ანნა დედოფლისა. (რიჩმონდს) შენივე ცოლი, რიჩმონდ მეოვე,
ბედგარული ანნა,

ვის შენთან წუთიც სიამისა არ ღირსება,
მოჩვენებითა გიშფოთებს ძილს. მომიგონე მე
ხვალ ბრძოლის დროსა, დაჩლუნგებულს სძალს ხელი უშვი,
იტანჯე, მოკვდი! — (რიჩმონდს) დაიძახე, მშვიდო მშვიდადვე,
სიზმრად გეზმანოს გამარჯვება, ყოველი კარგი;
შენივე მტრის ცოლი შენს სიკეთეს ღმერთს ეკედრება.

(ამოდის სული ბუკინგამისა.)

სული ბუკინგამისა. (რიჩმონდს) გვირგვინი შენი მე ზირკე-
ლმა გამოვინე შენ

და მტარვლობა გამოვცავე უკანასკნელმა.

მომიგონე მე, ბუკინგამი, სწორედ ომის დროს

და მოკვდი შენის ცოდვებითა შემოფოთებულად.

თვალ-წინ გეზმანოს სიკვდილი და სისხლის საქმენი,

გული ტანჯვებმა შემოგუაროს და ტანჯვით მოკვდე! —

(რიჩმონდს) თუმც კერ გიშველე, მაინც მოშველა შეკლის სუ-
რვილმა,

მაგრამ მხნედ იუჯე, მხიარულად, ნუ შემოფოთდები:

ღმერთი, კეთილნი ანგელოზნი რიჩმონდს შეკლიან

და ქვე დასცემენ, დაამსობენ ამაყს რიჩმონდსა.



(სულნი გაჰქრებიან. რიჩარდი გამოიღვიძებს.)

რიჩარდი. სხვა ცხენი მეთქი!.. შემიხვეით აი ეს წელუღიც...
 იესო, ღვთის ძე, შემიბრძლე!... თუკმე მეზმანა...
 ჭოი, ღაჩარო სინიდისო, როგორ მაწესეს! —
 ღურჯადა ბუტყავს ეს სინათლე... შუალამა...
 მაგანკალებს და ცივს ოფლს მასხამს წვეთ-წვეთად ტანზედ.
 ვისი მეშინის? ჩემივე თუ? სხვას ვერცის ვხედავ.
 რიჩარდს რიჩარდი უყვარს სომა, მე სომ მევე ვარ!
 არის ვინმე აქ კაცის შეკლევად? არა... ჭო, მე ვარ...
 უნდა გავექცე... ვისა? ჩემს თავს? რატომ ვითომ,
 რომ ჩემს თავზედვე მე ჟავრი არ ამოვიყარო.
 ვაი რომ მიეყვანს ჩემი თავი! რაღა? მისთვის რომ
 ცოტაოდენი სიკეთე რამ მასსოვს ჩემგანვე?
 ოჰ, არა, არა, მე უფრო მძულს ჩემივე თავი
 ჩემგან ნაქმნართა საზიზღართა საქმეთა გამო!
 ავაზავი ვარ? რად ვიქნები? არა, ვტყუი მე!
 სულელა, კარგი სიტყვი შენს თავზედ... ნუ, თავს ნუ იჭეპ...
 თითქო ათასი ენა ებას ჩემ სინიდისსა,
 რაც სათითაოდ თუმც მომიტხრობს სხვა-და-სხვა ამბავს,
 ეკლავ ერთად კი ავაზავსა მიწოდებს და მსჯის.
 თიფის დაგმობა საშინელი, უსამინდესი,
 უსაზარდესი კიდეც უფრო უწყალო კანთ კვლავ,
 ეკლავ ცოდვები გარდასულნი ზომას და წონას, —
 ერთად იყრიან სამსჯავროს წინ თავს და ბღავიან:
 „ღმინამაყვა, ღმინამაყვა“... სრულად დავიბენ...
 არც ერთ არსებას არ გუეყვარვარ: როცა მოკვდები,
 არ დაუნანდები არავის; ან რად დაუნანდე,
 როცა მე თითონ ვეკვას ვბოეპ ჩემში დასანანს!

(რატკლიფი დაბრუნდება.)

რატკლიფი. ჩემო ხელმწიფეკ.

რიჩარდი.

ვინა ხარ მინდ?



რატკელიფი.

ეს მე გასლავართ?

სოფელად მამალმა ორჯერ ცისკარს სელამი უძღვნა,
თქვენნი მომხრენი აღენ კიდევ, სჭურველს ისმენ.
რაჩარდი. ოჰ, რატკელიფ, მეტად სამიწელი სიზმარი ვნასე!

გგონია, არვინ გვიღალატებს ჩვენს მეგობრებში?

რატკელიფი. არა, ბატონო.

რაჩარდი. მე გი ვშიშობ, ოჰ, რატკელიფ, ვშიშობ!

სიზმრად ვნასე, უკელა ჩემგან დასოცალოთ სულნი
მოგროვილიყვნენ ჩემ კარავთან და მეტუქროდენ
სვალისთვის ჯავრის ამოურასა.

რატკელიფი. ბატონო ჩემო,

სულისა როგორ გეშინიანთ?

რაჩარდი. მოციქულ ჰაველს

სასელსა ვფიცავ, რომ წუხანდელ აჩრდილოთ უფროდარ
მე, რაჩარდს, სული შემოძრწუნეს, ვიდრე ეს ძალუმს
თვით ათათასს თავქარიან რაჩმონდის ჯარსა
საგანგებოდა შეჭურვილსა და სისხლ-ხორც-შესხმულს.
ჟერ განთიადი არ დამდგარა: მოძიე, წავიდეთ,
ჯაშუშებივით დავუაროთ უკელა ჩვენ კარკებს.
და უური ვუგდოთ, განდგომას სომ არვინ გვიპირობს.

(რაჩარდი და რატკელიფი გადიან. — შემოდიან ოქსფორდი და სხვა
ლორდები.)

ლორდები. ბატონო ჩვენო რაჩმონდ, დილა კარგად უოფნისა!

რაჩმონდი. (იღვიძებს). ოჰ, მიუტევეთ, ბატონებო, ჩემს სიზარმაცეს,
რომ აგრე ფხიზელ ჩემ მეგობრებს მძინარე დაგხვდით.

ლორდები. როგორ მშვიდობით მოისვენეთ?

რაჩმონდი. ძალიან ტკბილად.

სიზმრებიც ვნასე, როს წასკედით, მეტად საამო,
რაც არა გგონებ სსვას როდისმე ძილში ენახოს.
მე ვნასე, ვითომ რაჩარდისგან დასოცალოთ სულნი
ჩემს კარავთანა მოსულიყვნენ და მზირდებოდენ

გამარჯვებასა. ეს სიზმარი რომ მაგონდება,
გული მიტოკავს სისარულით. რა დროა ესლა?

ღორდები. მალე ოთხს დაჯერავს.

ჩინმონდი.

დრო არის მას, რომ შევიტყუროთ,
შეგუდგეთ ბრძოლის სემზადისა. —

(წადგება წინ ჯარისკენ)

რაც კი გითხარით

წელან, ძვირფასო ჩემო თანა-მემაჟულენო,
მასეღ მეტის თქმის ნებას დრო და უამი არ მაძლევს.
ეს კი გახსოვდეთ, რომ ღმერთი და ჩვენი სიმატლელ
გაგკამხევენ და ჩვენ თვალ-წინ აიმატება
ჩვენდა მფარველად, მსგავსად მალა უმრავ ციხისა
ლოცვა წმიდანთა და მტარელისგან დასოცილ სულთა.
ვისაც ჩვენ ვებძვიოთ, ეველა ერთად, თვით რჩინადს გარდა,
ჩვენს გამარჯვებას უფრო ნატრობს, ვიდრე იმისას,
ვინც მათ მატრონოს... და ვინ არის მათი მატრონი?
მტარელი სისხლში ამოთხვრილი, კაცთა მელეტაჲ,
ზე-აწეული სისხლში, სისხლით დამკვიდრებული,
ვინ იცის რა გზით ამ დიდების მომპოებული
და ამომსოცი თვით იმათი, ვინც გზა გაუხსნა.
ქვა უვარგისი, საზინდარი, რამაც თვის ფასი
ცბიერებითა მოიპოვა ინგლისას ტასტსედ.
მუდმივ ღვთის მტერი, რომელსაც თუ ბრძოლას აუტკნო,
მაიღებო ჟილდოს ღვთისგან, როგორც მის ჯარის-კაცნი.
თუ ქვე დამხობო მტარელს, მაშინ, რაკი მოკვდება,
ნაჯარკენი მოიხვენებო მშვიდობის ძილით.
ებრძოლეთ თქვენის ქვეყნის მტერსა და ეს ქვეყანაც
არ დაიშურებს ჟილდოდ თქვენთვის თავის საუნჯეს.
იბრძოლეთ თქვენთა მეუღლეთა უმიშრობისთვის,
შინ მხარულად გამარჯვებულთ დაგისვდებიან;
და თუ თქვენს შვილებს გადაჩენთ ხმაფსა და მხვილს,
მოხუცებაში შვილის-შვილნი გადგისდიან.



მას ღვთის სასულით და ჟოკელ ამ სიმახთლის ძალით
გაშაღეთ დროშა, მომხსული ხმლები იშიშვლებთ!
მე კი სასჯელად ამ კადნიერ საქციელისთვის
ჩემ ცივის გვამის ცივ მიწაზედ გდებს მერგებს;
მაგრამ თუ მერგო გამარჯვება, უმცირესს თქვენგანს
გაგუნაწილებს მონაგარსა. დაჰყარათ დაფ დაფს,
საუვირს ჩაჰბერეთ, გამხსნეკდით და გამხიარულდით;
წმიდა გიორგი, ღმერთი, რინმონდ და გამარჯვება!

(გადიან. — შემოდიან რიჩარდ მეფე, რატკლიფი, ჰმალა და ჟარი.)

რიჩარდი. ნორტუმბერლანდმა, ერთი მითხარ, რა სთქვა რინმონდზედ?
რატკლიფი. რომ თავის დღეში იარაღი არ სჭერიაო.

რიჩარდი. მართალიც არის. მაგ სიტყვაზედ სერქიმ რა სთქვა?

რატკლიფი. მან სთქვა ღიმილით, ჩვენთვის უფრო უკეთესიო.

რიჩარდი. უკეთესია, დიად, სწორედ, მართალი უთქვამს.

(სათი დაჰკრავს.)

რამდენი დაჰყარა? კალენდარი მომეცით აქა...

ნახა ვინმე დღეს მზის ამოსვლა?

რატკლიფი.

მე არ მინახავს.

რიჩარდი. მას დღეს მზეობას არ გვიპირებს, თორემ ამ წიგნით

ერთი საათის წინად უნდა თავისი შუჭი

ადმოსავლეთით მოეფინა. ბნელი იქნება

ეს დღე ვისთვისმე. რატკლიფი...

რატკლიფი.

ბრძანეთ.

რიჩარდი.

კატეობ, რომ დღეს მზე

არ გამოჩნდება: რა ჭერუხობს და ჩვენს ჟარს დასწვიმს. —

ნეტა ეს ზეცის ცრემლი ნამი ღვთის მიწისა!

ნუ გაგვინათებს, რა მენადვლის! ეს დღე არ ადგას

განა რინმონდსად?! შავბედიად თუ დამცქერის რა,

იმასაც ესე მოღრუბლული დაჰუერებს თავსა.



(შემოდის ნორფოლკი.)

ნორფოლკი. გავიდეთ ბრძოლადა, ხელმწიფეო, მტერი სკიადად
საომარ კელზე დანავარდობს.

რჩინარდი.

აბა, აჩიჭა!

საჩქაროდ ცხენი შემიკმარეთ, მიხმეთ ღორდ სტენლის!

უთხარით ჯარი მოიყვანოს, მე ვუწინამდევრებ
თვით ჩემს ლაშკარსა, ბრძოლის წესსა ასე განვაგებ:

უნდა სიგძეოდ მოწინავე რაზმი გაკმდეთ,

თანაბრობით შედგენილია ცხენოსანი და

ჩვეითი ჯარით; ჩავუყენებ შუაში მსროლელთ.

ამ ჩვეითსა და ცხენოსან ჯარს მოთავედ ქვეანდეს

მოთავარი ნორფოლკ ჯონ და თომას გრაფი სერკი.

ჩვენ უკან მივდევთ, სად მოთავარი ბრძოლა იქნება

და ორივე მხრიდან დამსმარდა თან გვეყოლება

საუკეთესო ცხენოსანი ლაშკარი ჩვენი.

მაშ ასე, წმიდა გიორგიცა შემწედა გვეყვდეს! —

რას იტყვი, ნორფოლკ, ამ წესზედ შენ?

ნორფოლკი.

ჩემო ხელმწიფეო,

ოპში გათქმულა, ეგე წესი ჩინებულა —

მე ეს ბარათი ჩემ კარავში ვპოვე დღეს დილით.

(აძლევს რჩინარდს ბარათს.)

რჩინარდი. (კითხულობს) ჯონ ნორფოლკ, ნუ ხარ შენ ამაგი, ნუ
ხარ თავსედი;

გაუიდეა ელის მაგ შენს ბატონს, უწეალო პედი.

მტრის ამაზია. თქვენ თქვენს საშემს მიწსდეთ ეველამ.

უსუსურ სიზმრებს ნულარ ვუფერთსით. სინიდისიო!!

ეგ ლაჩართან მოგონილი სიტყვაა მსოფლოდ

ძლიერებისა შემფერხებლად. ჩვენ სინიდისად

მტკიცე მარჯვენა გვექონდეს ჩვენი, კანონად სმადი.

წინ, წინ წავიდეთ, მამაცურად, მტრის დაგერიოთ,

თუ ცას ვერ ავალთ, ჯოჯოხეთში მაინც შევცვივდეთ. —

(თავის ჯარს) იმაზედ მეტი წავა გითხრათ, რაც წელანა
 მარტოველი
 მისეული

ეს გაისხენეთ, თუ ვის ებძვით: ურცხვ მაწანწალებს,
 გამოარეკილებს მათის ქვეყნით, წუწკ გლეხუბებსა,
 ბრეტანის ჭუჭყსა პირზედ ქაფად მოტივტივეულს,
 გადმონთხეულსა მობეზრებულ სამშობლოს მიერ,
 გამოძეტებულს დასადუშად, განსაწირავად.
 მშვიდად გეძინათ, ჯღგიშფოთეს მათ მოსვენება;
 ჭოფლობით მამულებს, მშვენიერნი ცოლნი გვერდს გეხსათ,
 მათ სურთ წართმევა მამულისაც, ცოლთა შემწიკვლაც.
 ვინ უძღვის მათ წინ? საცოდავი ვიღაც, ბედგრული,
 გამოგვებული ბრეტანის დედი-ჩვენის წყალობით,
 რძით გაჟღენთილი; ის, რომელსაც თვის სიცოცხლეში
 თოვლის სიცივე არ უგრძნიათ ფეხის კოჭს ზევით.
 გაგრეგოთ ცემით ზღვას იქით ეს მთხოვარანი,
 გაგვლოთ ცოცხლად ეს ნათელენი საფრანგეთისა,
 ქუჩის გლახანი თავგასულნი დამპყულობით,
 რომელთ სიცოცხლე ისე რიგად მობეზრებით,
 რომ უნდა თავი ჩამოედგნოთ საბრძოლო თავებს
 სიმშვილთ, თუ ამ გიჟურს საქმეს არ აჭოლოდენ.
 თუ მართლა ბედად გვიწერია სხვისგან დაპყრობა,
 დეე დაგვიპყროს ხალხმა მძინც და არა ამ ბუშთ
 ბრეტანით მოსულთ, რომელნიც მათ ქვეყანაშივე
 მამაჩვენებმა სცემეს, ტყუპეს, განადგურეს
 და დაუტოვეს სამახსოვროდ ცოდვის შვილები.
 ჩვენს ქვეყანაში ამით უნდა იხარონ მერე?
 ესენი დაწვენენ ჩვენს ცოდულებთან, ქაღნი მოგვეტაცონ? —

(შორს დაფდაფის ხმა ისმის.)

სსუ! მათ დაფდაფის ხმა მესმის მე! — კეთილშობილხო
 ინგლისისა, მხნე ღაშკარო, აბა, ვიბრძოლოთ!
 მოზადეთ თქვენსკენ მედგრად შვილდსა, ისართ მსროლელნო,
 თქვენს თავ მოძიონ ცხენს დეზი ჭკათ, სისხლში შეცვივდით



და დახმეულთ ზეცა თქვენის ხმლების ნამსვრევით. (შემოდის შიკრიკი.)

რა სთქვა ღოღად სტენლიმ, მოჰყავს თუ არ თვისი ლაშკარი? შიკრიკი. მოსვლაზედ უარს ამბობს, მეფევე.

რაჩარდი. იმის შვილს გეორგს

გაადგენით ესლავ თავი!

ნორფოლკი.

ჩემო სელმწიფევე,

მტერი ჭაობებს გადმოსცილდა, სჯობს, ომის შემდეგ დაასჯევინოთ გეორგ სტენლი.

რაჩარდი.

ოჰ ამ ჩემ მეგრად ქვეშ

ათასი გული ერთად ფეთქავს. გაშალეთ დროშა, თავს დაესხით მტერს, სიმაშცის ძველ ნიშანო, წმიდა გიორგი სასიერო, ჩაგბერე რისხვა

შირით ცეცხლის შერეულ გველ-გეშაშის. დაჭკათ, დაჭკართ, ჩვენს მუზარადებს გამარჯვება ზედ აკერია! (გაღიან.)

სურათი V

მინდერის სხვა მხარე.

(ომის ხმაურობა. სენაზედ ჭარი შემოცვივა. შემოდის ნორფოლკი, რომელსაც აგრეთვე ჭარი მოსდევს. კატესბი წინ დაუხვდება.)

კატესბი. გვიშველე, მიღოვრდ, თუ ღმერთი გრწამს, ნორფოლკ, გვიშველე.

მეფე სასწაულს ჩადის სწორედ, რაც კაცს არ ძალუძს.

არავითარს შიშს ის არ უფრთხის: ცხენი მოუკლეს,

ქვეითი იბრძვის, სიკვდილს თითქო უელში უშვრება,

რომ რიხმონდ ჰპოვოს. შველა გვინდა, თორემ ვმარცხდებით.

(ომის ხმაურობა. შემოდის რაჩარდ მეფე.)

რაჩარდი. ოჰ, ცხენი, ცხენი, ჩემს სამეფოს ერთ ცხენში ვაძლევ!

კატესბი. უკან მობრძანდით, მეფევე, ცხენსაც ესლავ მოგართმევთ.



რაჩარდა. რას სჩხაზვ, მონავ! ეს სინოცხლე მე მთლად მოწონდება.
ბედის კამათელს, მინდა გცდო აწ გავოჩება.
გგონებ ამ კელზედ ეჭვსი რაიმონდ ერთად იბრძოდა,
სუთი მოკვალა დღეის ომში ერთის შვიგონად.
ოჰ, ცხენი, ცხენი, ჩემს სამეფოს ერთ ცხენში ვამდე!

(გადიან.—ომის ხმაურობა, სხვა და სხვა მხრიდან შემოდინან რაჩარდ
მეფე და რაიმონდი. დაიწყებენ ბრძოლას და ბრძოლით გავლენ. გაუ-
რის ბუკის ხმა. მასუკან შემოვლენ რაიმონდი, სტენლი, რომელსაც
გვირგვინი მოაქვს, სხვა ღორდები და ჯარი.)

რაიმონდი. იდიდოს ღმერთი, მეგობარო გამარჯვებულნო,
იქოს ეგ თქვენი საჭურველიც! ბრძოლა მოვიგეთ,
მოსისხლე ძაღლი მკვდარი გდია.

სტენლი. მამაცო რაიმონდ,

შენ შენი ვალი შეასრულე. აქ მოიხედე;
დიდის სნიდანვე მომარული მეფის ნიშანი
ავაგლიჯე ამ უბადრუკსა, სისხლათ უძღებსა
უსულო კეთით; დავიმშვენებ ამ კვირკვინით შუელს.
იხარე ამით, ღირსად ზადე და განძიერდი!

რაიმონდი. ოჰ, დიდო ღმერთო, ამინ დართე უოველ ამ სიტყვას —
ესლა ეს მითხარ გეორგ სტენლი ცოცხალი არის?

სტენლი. უვნებლად გასლავს, სელმწიფეო, ქალაქ ლეისტერს,
სადაც ჩვენც წავალთ, თუ ინებუთ.

რაიმონდი. შესანიშნავი

გვარების კაცი ორივე მხარეს ვინ და ვინ მოჰკლეს?

სტენლი. მთავარი ნოჩოფლუკ ჯონ და ღორდი ვალტერ ფერერსი,
ბრაქენბიური რობერტ, ბრანდონ უილიამი.

რაიმონდი. დამარხეთ ისე, ვით ჭეფრობს მათ ჩამამკლობას
და პატივებს განუცხადეთ იმ ჯარის-კაცებს,
რომელნიც მოვლენ მორჩილებით და თავს დაგვიკვრენ.
და როდესაც ჩვენ ფიცს მივიღებთ, მვის შევაერთებთ
თეთრს კარდს წითელთან; ამ ტკბილ გავშირს ცაც გაუღიმებს,



და ამდენ მტრობით მოღრუბლული, გაბეზრებული
ვინ მუხანათი გამიბედავს ამის უარს?
ინგლისი დიდხანს ჭკვა-შეშლილებს იტანჯებდა,
უწყალოდ ღვრიდა მძა მძის სისხლსა, მამა შეიღისას,
შეიღიც მამას არ ინდობდა და ყელს სჭრიდა; —
ესე უოკელი იორკსა და ლანკასტერს შორის,
ამ ორს ოჯახში ბადებდა შვიტის, სასარკელ შედღას
და აწ ღმერთმა ჭკმნას, რომ რიბმონდ და ელისაბედი
ამ ორ სამეფო სახლის ნამდვილ მემკვიდრეები
შეუღლდნენ ერთად და თუ ღმერთმა უბოძა შვილია,
მომავალ დროშიც დამყარონ ტახტილი მშვიდობა,
კეთილნი დღენი, სასიამო ნაყოფთ სიმრავლე.
მოწყალე ღმერთო, დაუზღუნეუ ხმლები მუხანათს-
ვინც ამ სისხლიან დღეთ აღდგენას კვლავ განიზრახავს,
ბედერულ ინგლისის დაწრეტასა სისხლის ცრემლითა,
ხუდარ იცოცხლებს, ნუ ნახავს ამ ქვეყნის სიკეთეს,
ვინც კი ღალატით აღუშოფოთებს სიამოვნებას!
ერთმანეთ შორის დაცხრა ომი, აღდგა მშვიდობა,
რასაც ნუ მოშლი საუკუნოდ, გვედრებ უფალო!

(გადიან)



